პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით:

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რ ე დ ა ქ ც ი ა
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10%. საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეძირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

პარასკევი, 29 აპრილი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 95 (1840)

დ ღ ი უ რ ი

— ფინეთში ჩავიდა ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აკკელი.
— საარის ოლქში მეღითონეებმა გაფიცვა გამოაცხადეს.
— პარიზის საავტომობილო ქარხნებიდან დაითხოვეს ათი ათასი მუშა.
— პირველ მაისს ფინეთში მოელიან [illegible] ქარხნების მუშათა გაფიცვას.
— ესპანეთის მთავრობამ მარო[illegible] გაგზავნა ჯარი.
— შესდგა ეგვიპტის ახალი მთავრობა სარვატ-ფაშას თავმჯდომარეობით.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პირველ მაისისათვის

კომუნისტურ ინტერნაციონალის მოწოდება

ყველა პროლეტარებს, ყველა მშრომელებს, ყველა ჩაგრულ ხალხებს, ჯარისკაცებს და მეზღვაურებს.

ამხანაგებო! ძმებო! 1 მაისის დღეს, მუშათა კლასის დიადი საერთაშორისო სოლიდარობის დღეს კომუნისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს ყველა პროლეტარებს, ყველას, ვინც სდგას შრომის მხარეზე, მოუწოდებს ჩინეთში ჯალათური ომის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ახალი მსოფლიო ომის მომზადების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

კომუნისტური ინტერნაციონალი ხდის ყოველგვარ ნიღაბს მუშათა კლასის მტრებს. კომუნისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს სასტიკი პროტესტისაკენ არა სიტყვით, არამედ საქმით ჩინეთის რევოლიუციის ჩახშობათა წინააღმდეგ.

ყველა დიდი ქვეყნების იმპერიალისტები რაზმავენ თავიანთ ფლოტს და თავიანთ არმიას რევოლიუციონური ჩინეთის წინააღმდეგ. სირიაში დახვრეტების შემდეგ, რიფების წინააღმდეგ მაროკოში ვერაგული ომის შემდეგ, იავაში და სუმატრაში აჯანყების ჩახშობის შემდეგ მუშათა კლასის უბოროტესი მტრების,—საბანკო და სამრეწველო ოლიგარხიის გაერთიანებული ძალები იკავებენ ჩინეთის ნავთსადგურებს, ბლოკადას უცხადებენ, თავიანთი ზარბაზნების ლულას უმიზნებენ ჩინეთის ქალაქებს, მხარს უჭერენ და რაზმავენ ადგილობრივ რეაქციონერებს, ჩამომხრჩობებს, როგორიც არის ჩან-ძო-ლინის ან მოღალატე ჩან-კაი-შის ბანდა.

მუშებო! არ დაუჯეროთ ბურჟუაზიული პრესის საზიზღარ სიყალბეს. მუშებო! ზიზღი გამოუცხადეთ მატყუარებს, რომელნიც ლაპარაკობენ „უცხოელთა სიცოცხლის დაცვაზე ,ჩინეთში“.

ჩინეთში იმპერიალისტები უძლიერეს ფლოტს გზავნიან რევოლიუციონური ქალაქების მუშების დასახვრეტად, პროლეტარების დასასჯელად, მუშებისა და გლეხების ამოსახოცად, რომელთაც გაბედეს პროლეტარული ბრძოლის დროშის და ეროვნული განთავისუფლების დროშის აღმართვა.

ომი ჩინეთში უკვე სწარმოებს.

ნუ დაიჯერებთ პროფესიონალური მატყუარების ნურც ერთ სიტყვას, რომელთაც სურთ თქვენი სიფხიზლის მიდუნება.

ომი უკვე ფაქტია.

ნუ ფიქრობთ, რომ იგი არ ეხება ყოველ ევროპიელ ან ამერიკელ მუშას. ომი ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ—ეს არის მზადება გიგანტიური, საშინელი და გამანადგურებელი ახალი მსოფლიო ომისათვის.

სწარმოებს გაუგონარი პროვოკაცია, რომ გამოიწვიონ ომი მსოფლიო მუშათა მოძრაობის დასაყრდენ—საბჭოთა კავშირთან.

ამ პროვოკატორების შტაბი იმპერიალიზმის ბანაკშია და უპირველეს ყოვლისა ინგლისის კონსერვატიული მთავრობის—ამ ერთა ლიგის ბელადის ბანაკშია.

იმპერიალისტები სისტემატიურად ამზადებენ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ომს ერთმანეთს შორის—ნადავლის განაწილებისათვის. ამ ომებში აუცილებლად იქნებიან ჩაბმული ყველა ქვეყნები, თუ პროლეტარიატი დაუშვებს იმას, რომ ახალი ბოროტმოქმედება იქნეს ჩადენილი კაცობრიობის წინააღმდეგ.

იმპერიალისტები სისტემატიურად ამზადებენ ამ ომებს. ისინი სდებენ სამხედრო ხელშეკრულებებს.

ისინი შეუთანხმდენ გერმანიას იმის შესახებ, რომ იმპერიალისტების გაერთიანებული ძალები იქნას გატარებული პროლეტარიატის რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედებისათვის.

ისინი საშინელის სისწრაფით იარაღდებიან ხმელეთზე, წყალზე, წყალქვეშ და ჰაერში. ისინი—კაცობრიობის ეს ჯალათები ამზადებენ ქიმიურ ომს, გაუგონარი გამანადგურებელი ძალის ომს.

მათ ხელისუფლების სათავეში თითქმის ყველგან დასვეს მუშათა კლასის უსასტიკესი მტრები. „პუანკარე—ომი“ საფრანგეთში, ჰინდენბურგი გერმანიაში, მუსოლინი იტალიაში, პილსუდსკი პოლონეთში, კონსერვატორები ინგლისში.

ისინი სასწრაფოდ ბორკილებს ადებენ მუშათა კლასს თავიანთ ქვეყნებში, რომ უფრო ადვილად აწარმოონ ჯალათური მუშაობა თავიანთ „საგარეო პოლიტიკაში“.

ინგლისში ბრძოლა მასების მხრივ მიმართული უნდა იყოს არა ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ, არამედ კონსერვატორების მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც იმდენად გათავხედდა, რომ მუშებს მონებად ხდის, ართმევს გაფიცვის უფლებას, არბევს პროფკავშირებს და სცდილობს 100 წლით უკან დასწიოს მოძრაობა.

საფრანგეთის ბურჟუაზია ხუნდებს ადებს მუშათა კლასს სამხედრო კანონებით. გერმანიის ბურჟუაზია ამასვე ახორციელებს 8 საათის სამუშაო დღის წართმევით. იტალიის ფაშიზმი სასტიკ რეპრესიებით უმასპინძლდება მუშათა ორგანიზაციებს. შეერთებული შტატების „განათლებული დემოკრატია“, რომელიც ყაჩაღურად დათარეშობს ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში და ჩინეთში, სიკვდილით სჯის უდანაშაულო ხალხს და ახრჩობს გაფიცულ მუშებს.

ერთა ლიგა აერთიანებს იმპერიალისტების ამ მოქმედებებს. მშვიდობიანობის დამამყარებლის ნიღაბით იგი ახრჩობს ჩინეთის ხალხს.

მშვიდობიანობის ნიღაბით იგი გაუგონარ მსოფლიო ჟლეტას ამზადებს.

ამ მზადებაში ბურჟუაზია ყოველმხრივ იყენებს თავის სოციალ-დემოკრატიულ აგენტებს. მუშათა კლასისადმი უდიდესი ღალატია, რომ საშინელი საფრთხეთა წინაშე. უმტკიცო მუშებს, რომ კაპიტალიზმი ეხლა მშვიდობიანია, რომ ერთა ლიგა არის მშვიდობიანობის იარაღი და რომ მუშათა კლასის ამოცანა მდგომარეობს ერთა ლიგის მხარის დაჭერაში და დემოკრატიზაციაში. ეს მუშათა კლასის გამცემლობაა.

არ არსებობს უფრო უსაზიზღარესი რამ, ვიდრე ის, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მზადების დღეებში სწარმოებს პროლეტარული რესპუბლიკის საწინააღმდეგო აგიტაცია და გამოსვლები, ბურჟუაზიული პრესისათვის მხარის დაჭერა, როგორც ამას სჩადის ეგრედ წოდებული „საერთაშორისო სოციალ - დემოკრატია“ გერმანიის პარტიის — ნოსკეს, შეიდემანის და ბარმატის მეთაურობით. ეს მუშათა კლასის გამცემლობაა.

არ არსებობს უფრო უსაზიზღრესი რამ, ვიდრე ხმის მიცემა საფრანგეთში სამხედრო კანონებისათვის (როგორც ეს ჩაიდინეს საფრანგეთის სოციალისტებმა), ვიდრე მხარის დაჭერა მთავრობისათვის ჩინეთის საკითხში (ტომასი, მაკდონალდი და კომპ. ინგლისში), ვიდრე პროფმოძრაობის მთლიანობის დარღვევა (როგორც ამას სჩადიან ინგლისის საყოველთაო გაფიცვის შტრეიკბრეხერები და მათი მოკავშირენი ამსტერდამით).

მუშებო! პროლეტრებო!

კონტრრევოლუციის ძალების წინააღმდეგ მხედრდებიან გაერთიანებული შრომის მძლავრი ძალები, ხალხთა უდიდესი გიგანტური მასები, რომელნიც ჯერ კიდევ ამას წინედ განუწყვეტელ ძილში იყვენ. მტკიცდება საბჭოთა კავშირი, მიაბიჯებს წინ ჩინეთის დიდი რევოლუცია მიუხედევად ბურჟუაზიის გამცემლობისა, იზრდება ევროპის პროლეტარიატის კლასიური შეგნება, სწარმოებს სამზადისი ბრძოლისათვის ინგლისში—საზღვაო მძარცველობის, მსოფლიო მჩაგვრელობის და კოლონიალური დარბევის ამ ციტადელში.

პროლეტარებო! დარაზმეთ თქვენი ძალები. 1 მაისის დღეს აღიმაღლეთ თქვენი მრისხანე ხმა. ააცახცახეთ ბურჟუაზიული ვერაგები. ემზადეთ იმისათვის, რომ იმპერიალისტების ყოველგვარი ომი გადააქციოთ რევოლიუციონურ და სამოქალაქო ომად ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მშრომელნო! მოიგონეთ, მასებისათვის როგორ მოულოდნელად ატყდა ომი 1914 წელში. გახსოვდეთ, თუ როგორ უსირცხვილოდ სტყუოდა ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატიული პრესა. დახედეთ თქვენს ჭრილობებს. ნუ დაივიწყებთ თქვენი ბავშვების სიმშილს და ტირილს. ნუ უღალატებთ მოკლულთა ხსოვნას: დაირაზმეთ პასუხის გასაცემად. შეადგინეთ მომქმედი კომიტეტები ომის წინააღმდეგ.

მუშა-ქალებო! გლეხის ქალებო! ნუ გასცემთ თქვენს შვილებს და ქმრებს.

დიდი ომის ინვალიდებო! გადახედეთ თქვენს ამხანაგებს, რომელნიც მოწყალებას ილებენ სპეკულიანტების, მუქთახორების, გენერლების და ბურჟუების დაცინვის ქვეშ. აღიმაღლეთ თქვენი ხმა ბოროტ-მოქმედთა წინააღმდეგ. შეუერთდით ომის წინააღმდეგ შეურიგებელი, დაუნდობელი და აქტიური ბრძოლის საერთო ფრონტს.

ჯარის კაცებო და მეზღვაურებო! ემზადეთ სათანადო პასუხის გასაცემად. მოაწყვეთ საიდუმლო ორგანიზაციები, რომ შეაბრუნოთ ხიშტები, როგორც მოითხოვს ხალხის ინტერესი, ემზადეთ სისტემატიურად, როგორც ემზადებიან ხალხის მტრები. ისწავლეთ მათგან. არ მოატყუებინოთ თავი. ნუ დააგდებთ იარაღს, არამედ ისწავლეთ მისი კარგად ხმარება.

პროლეტარულო ახალგაზრდობავ! მობილიზაცია მოუხდინეთ ყველა ძალებს. მოიგონეთ ვერაგულად მოკლული თქვენი ბელადის — ლიბკნეხტის ანდერძი. დადექით ომის წინააღმდეგ მოწინავე მებრძოლთა ავანგარდში.

დამონებულო ერებო! მშრომელო ინდოელებო! სხვადასხვა ფერის ხალხებო! ჩვენო ძმებო, რომელნიც გმინავთ იმპერიალიზმის კლანჭებში. აღიმაღლეთ ძლიერი ხმა მოძალადეთა წინააღმდეგ. თქვენ ასეული მილიონები ხართ. თქვენ მსოფლიოში უდიდეს ისტორიულ ძალას წარმოადგენთ. დარაზმეთ თქვენი რიგები. აქტიურად შეუშალეთ ხელი იმას, რომ თქვენი ხალხის შვილნი არ იქნან გამოყენებული, როგორც ზარბაზნის ლუკმა ჯალათურ ომში ჩინეთის და საერთაშორისო რევოლიუციის ძალების წინააღმდეგ.

ძირს ომი ჩინეთის წინააღმდეგ, ძირს იმპერიალისტები!

გაუმარჯოს ჩინეთის რევოლიუციას!

ძირს მზადება ახალი მსოფლიო ომისათვის!

გაუმარჯოს მზადებას მშრომელთა ომისათვის კაპიტალის წინააღმდეგ!

ძირს ერთა ლიგა!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

არც ერთი ჯარის კაცი, არც ერთი თოფი ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ!

გაუმარჯოს იმპერიალისტურ არმიების ჯარის კაცთა გადასვლას ჩინეთის რევოლიუციის მხარეზე!

გაუმარჯოს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობას!

გაუმარჯოს პირველ მაისს — პროლეტარულ ძალთა დათვალიერების დღეს!

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი.

ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი.

მოსკოვი, 28 აპრილი.

საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუცია

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-4-ე ყრილობამ დაამტკიცა და ძალაში შეიყვანა ახალი კონსტიტუციის ტექსტი, რომელიც მიღებული იყო მე-3-ე მოწვევის ცაკის მე-3-ე სესიის მიერ (სოხუმში).

საბჭოთა საქართველოს ძველი კონსტიტუცია მიღებული იყო სრულიად საქართველოს საბჭოთა პირველ ყრილობაზე 1922 წელს. იმ დროს არ არსებობდენ ისეთი სახელმწიფოებრივი ერთეულები, როგორიც არის ამიერ - კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირი. საბჭოთა საქართველო მაშინ თავის ურთიერთობას მეზობელ რესპუბლიკებთან და თავის შინაგან სახელმწიფოებრივ მართვა - გამგეობას ამყარებდა სხვა საფუძვლებზე, ვინემ ჩვენ ეხლა ვამყარებთ ჩვენს სახელმწიფოებრივ მართვა - გამგეობას. ამიერ - კავკასიის ფედერაციის შექმნის და მისი კონსტიტუციის გამოცემის შემდეგ საბჭოთა საქართველოს ურთიერთობა მეზობელ რესპუბლიკებთან აზერბეიჯანთან და სომხეთთან ემყარება შემდეგ 4 საფუძველს: 1) ამიერ - კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა მასების საერთო ღონისძიებით საგარეო საფრთხისაგან დაცვა, 2) მტკიცე ურყევი ბაზის შექმნა ამ რესპუბლიკების ხალხთა ეკონომიური და პოლიტიკური თანამშრომლობისათვის, 3) ნაციონალური განვითარების და კულტურის თავისუფლება მშრომელთა მასების ფართო თვითმოქმედების ნიადაგზე და 4) მტკიცე, ურყევი, მშვიდობიანობის დამყარება ხალხთა შორის. თუმცა ამ პრინციპებს ემყარებოდა ფაქტიურად ურთიერთობა ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, მაგრამ ძველ კონსტიტუციაში ეს პრინციპები არ ყოფილა ჩამოყალიბებული საკმაო გარკვეულობით და დაწვრილებით.

ამ ურთიერთობის გამოხატულებას ახალ კონსტიტუციაში წარმოადგენს მე-4-ე მუხლი, რომელშიაც ნათქვამია: „იმ მიზნით, რომ შეიქმნას საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანი ფრონტი კაპიტალისტური გარემოცვის წინააღმდეგ, უზრუნველყოფილ იქნეს საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო უშიშროება, მათი ეკონომიური და სამეურნეო წინსვლა, ხალხთა ნაციონალური განვითარება, რომ მტკიცედ დამყარდეს მშვიდობიანობა ერებს შორის. — საბჭოთა საქართველო, რომელიც საბჭოთა მე-2-ე ყრილობის დადგენილების თანახმად ნებაყოფლობით გაერთიანდა აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკასთან და სომხეთის ს. ს. რესპუბლიკასთან ამიერ - კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკაში ა.-კ. ს. ფ. ს. რ-ის კონსტიტუციაში მოყვანილ საფუძვლებზე შედის მისი საშუალებით საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კონსტიტუციის ტექსტის მეორე მუხლში ჩვენ ვღებულობთ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის ფორმის სწორ, სინამდვილესთან შეფარდებულ გამოხატულებას, რამდენადაც საქართველოში შედიან ავტონომიური რესპუბლიკები. მე-2-ე მუხლში ნათქვამია: „საქართველოს რესპუბლიკა არის მუშების და მშრომელი გლეხობის სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც აგებულია ნაციონალურ საბჭოთა რესპუბლიკების **ფედერაციის** ნიადაგზე. მთელი ძალა - უფლება საქართველოს ფარგლებში ეკუთვნის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოებს“. ამ რიგად ახალი კონსტიტუცია საქართველოს სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ფორმას განსაზღვრავს, როგორც **ფედერაციას** ნაციონალურ საბჭოთა რესპუბლიკებისას, რომლებიც ერთიანდებიან პოლიტიკურ და ეკონომიურ ინტერესების მთლიანობის ნიადაგზე. ერთ - ერთი მიზეზი, რამაც გამოიწვია ძველი კონსტიტუციის შეცვლა, მდგომარეობდა იმაში, რომ კონსტიტუციაში უნდა ასახული ყოფილიყო ის შინაგანი ცვლილებანი სახელმწიფოებრივ მართვა - გამგეობის ორგანოების სისტემაში, რომლებიც მოხდა 1-დან მე-4-ე ყრილობამდე. მაგალითად, ძველ კონსტიტუციაში ნახსენები იყვნენ ისეთი კომისარიატები, როგორც გარეშე საქმეთა კომისარიატი, ნაციონალურ საქმეთა განსაკუთრებული სამმართველო, საგარეო ვაჭრობის კომისარიატი და სხვ., ხოლო ასეთი ორგანოები ფაქტიურად უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში არ არსებობდენ. ახალი კონსტიტუცია ითვალისწინებს აგრეთვე საბჭოთა არჩევნების ახალ წესს. საბჭოთა რესპუბლიკების ეხლანდელი მშვიდობიანი განვითარების პირობებში, როცა საჭიროა მოსახელობის ფართო მასების ჩაბმა მშენებლობაში, აუცილებელი იყო სათანადოთ შეგვეცვალა კონსტიტუციის თავი საბჭოების არჩევნების შესახებ ისე, რომ მასში, გამოგვეხატა ის გაფართოებული სოციალური ბაზა, რომლის ნიადაგზე სწარმოებდა საბჭოთა არჩევნები თუნდაც უკანასკნელი საარჩევნო კამპანიის დროს.

ახალ კონსტიტუციაში კი ავტონომიურ გაერთიანებებს დათმობილი აქვთ სპეციალური თავები, რომლებიც დაწვრილებით განსაზღვრავენ, როგორც ამ რესპუბლიკების შინაგანი მართვა-გამგეობის წესს, ისე მათ ურთიერთობას საქართველოსთან.

მთავარ მომენტებს, რომლებიც გამოხატავენ ამ ურთიერთობას, წარმოადგენენ ახალი კონსტიტუციის შემდეგი დებულებები:

ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკების და ოლქების ფარგლებში ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს წარმოადგენენ მათი საბჭოების ყრილობები და ამ ყრილობებზე არჩეული ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები. ამ რესპუბლიკების ცაკები ირჩევენ თავის აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოებს — სახალხო კომისართა საბჭოებს და სათანადო სახალხო კომისარიატებს. ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით ავტონომიურ რესპუბლიკებს ცაკებს აქვთ უფლება შესცვალონ სახალხო კომისარიატების რაოდენობა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაეს ორგანოების მიერ მთელ საქართველოს ფარგლებში სამოქმედოთ გამოცემული კოდექსებს, დეკრეტებსა და დადგენილებებს სავალდებულო ძალა აქვთ ავტონომიურ რესპუბლიკების და ოლქების ტერიტორიაზე. ამავე დროს ავტონომიურ სახელმწიფო მმართველობის საკითხებში და საქ. საბ. სოციალისტური რესპუბლიკის კანონმდებლობის განსავითარებლად ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები სცემენ საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც სავალდებულოა ამ რესპუბლიკების ტერიტორიაზე. აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა კი, განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით, შედის საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში და მისი საშუალებით ა. კ. საბჭოთა ფედერატიულ სოციალისტურ რესპუბლიკაში. სრულიად საქართველოს ცაკის მიერ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე სამოქმედოთ მიღებულ კოდექსებს, დეკრეტებს და დადგენილებებს სავალდებულო ძალა აქვთ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მაგრამ ამავე დროს აფხაზეთის ხელისუფლების უზენაეს ორგანოებს ამ აქტების შესავსებად და განსამარტებლად შეუძლიათ საკუთარი საკანონმდებლო აქტების გამოცემა.

საერთო და გაერთიანებულ სახელმწიფო მართვა - გამგეობის საკითხებში აფხაზეთის ტერიტორიაზე ძალა აქვს საქართველოს ცაკის და სახ. კომისართა საბჭოს ყველა დადგენილებებს და განკარგულებებს, ხოლო გაერთიანებულ სახელმწიფო მართვა - გამგეობის საკითხებში აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაეს ორგანოებს უფლება აქვთ საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის კანონმდებლობის განსავითარებლათ გამოსცენ თავისი საკანონმდებლო აქტები. გაუერთიანებელ სახელმწიფო მართვა - გამგეობის საკითხებში (შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მიწადმოქმედების და სოციალურ უზრუნველყოფის) აფხაზეთის ხელისუფლების უზენაესი ორგანოები დამოუკიდებლათ სცემენ საკანონმდებლო აქტებს, რომელთაც სავალდებულო ძალა აქვთ ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

არ შევჩერდებით კონსტიტუციის ახალი ტექსტის დეტალებზე, მაგრამ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ახალი კონსტიტუცია, ისე როგორც ძველი, ეყრდნობა ოქტომბრის რევოლიუციის ძირითად პოლიტიკურ მონაპოვართ, 1917 წელს მშრომელ და გაყვლეფილ ხალხის დეკლარაციაში ჩამოყალიბებულ პრინციპებს, ინარჩუნებს რა იმავე დროს ძველი კონსტიტუციის ძირითად დებულებას, ე. ი. იმას, რომ საქართველო ცხადდება საბჭოთა რესპუბლიკათ, რომელიც წარმოადგენს ნაციონალურ რესპუბლიკების თავისუფალ გაერთიანებას მჭიდრო პოლიტიკურ და ეკონომიურ თანამშრომლობის საფუძველზე. ეს მომენტი ჩვენი კონსტიტუციის ქვაკუთხედს შეადგენს. ეხლა უკვე არავის ეჭვი აღარ ეპარება იმაში, რომ მეფის და მენშევიკური მთავრობების წინააღმდეგ საბჭოთა სახელმწიფომ და მისმა კონსტიტუციამ არ შეიძლება დაუშვას რაიმე ნაციონალური ჩაგვრა და, თუგინდ, შექმნას რაიმე საბაბი ნაციონალურ შუღლისათვის ამიერ - კავკასიის ცალკე ეროვნებებს შორის. წინანდელი მთავრობები იარაღით სპობდენ ცალკე ერების ყოველგვარ მისწრაფებას თვითგამორკვევისაკენ, ნაციონალურ თავისუფლებისაკენ და თვითგანვითარებისაკენ. ამის დამამტკიცებელია სომეხ - თათრების ხოცვა - ჟლეტა, სპეციალური ექსპედიციები, რომლებსაც მენშევიკები აგზავნიდენ აჯანყების ჩასაქრობად სამხრეთოსეთში და აფხაზეთში, საქართველო-სომხეთის ომი და სხვ.. ასეთი პოლიტიკა, რასაკვირველია, უცხოა საბჭოთა მთავრობისათვის. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელ პერიოდს ახასიათებს ძმური სოლიდარობა საბჭოთა კავშირის ყველა ერებს შორის, რომელნიც გაერთიანებულნი არიან თავისი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ამოცანების ნიადაგზე. საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობამ დაამტკიცა რა კონსტიტუციის ახალი ტექსტი, ამით საქრთველოს მუშებისა და გლეხების სახელით კიდევ ერთხელ დაადასტურა მთელი ქვეყნის წინაშე, რომ საბჭოთა საქართველო არის სოციალისტური სახელმწიფო, რადგან ის თავის სამეურნეო ორგანიზაციას საფუძვლად უდებს საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოებრივობას, ვ. ი. თავის ეკონომიურ ფუნდამენტს აშენებს სოციალისტურ პრინციპებზე, რომ საბჭოთა საქართველო წარმოადგენს მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს, რომ საქართველოს მუშები და გლეხები კიდევ უფრო აღრმავებენ რევოლიუციის მიერ შექმნილ ეკონომიურ და პოლიტიკურ კავშირს ამიერ - კავკასიის და საბჭოთა კავშირის ცალკე რესპუბლიკებს შორის, და დაბოლოს, იმიტომ, რომ მუშებისა და გლეხების ხელისუფლებას და საქართველოს ძირითადი კანონებს სრულებით ეწინააღმდეგება ეროვნულ უმცირესობათა რაიმე ნაციონალური ჩაგვრა და მათი უფლებების შელახვა.

სოციალისტური მეურნეობის აგება, ქვეყნის კულტურის განვითარება მშვიდობიანი შრომის და თავისუფალი განვითარების საფუძველზე, ჩვენ ქვეყანაში დასახლებულ ცალკე ეროვნებათა ძმობის და სოლიდარობის საფუძველზე, —აი ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს მთელ ჩვენ სახელმწიფო აღმშენებლობას და რომლებიც გამოხატულია ჩვენს კონსტიტუციაში.

ი. ვარძიელი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის და ამერიკის უთანხმოება ჩინეთის ინტერვენციის საკითხში

გომინდანის ცეკას და ეროვნული მთავრობის მოწოდება ჩან-კაი-შის წინააღმდეგ

უშედეგოდ დაიშალა განიარაღების კონფერენცია

ერთა ლიგის საბჭო ეკონომიურ კონფერენციაში საბჭოთა კავშირის მონაწილეობის შესახებ

ინგლისის პროფკავშირები იბრძვიან

თავისი უფლებების დასაცავად

ლონდონი, 27 აპრილი. კონსერვატორები ენერგიულად იცავენ მთავრობის კანონპროექტს პროფკავშირების შესახებ. ისინი თავგამოდებით მხარს უჭერენ მთავრობის მიერ კანონპროექტის სასარგებლოდ გაჩაღებულ კამპანიას.

ლიბერალური პარტიის საპარლამენტო ფრაქციას ჯერ კიდევ არ მიუღია გადაწყვეტილება თავისი პოლიტიკის შესახებ ამ საკითხში, მაგრამ არის იმის ნიშნები, რომ **ლიბერალები პარლამენტში გაილაშქრებენ კანონპროექტის წინააღმდეგ. ლიბერალების ბელადები საიმონი, სამუელი და ლოიდ-ჯორჯი სიტყვებით გამოვიდენ კანონპროექტის წინააღმდეგ.**

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს საუბარი ჰქონდა მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ზოგიერთ წევრებთან; საუბარიდან გამოირკვა, რომ ფრაქცია ამჟამად ერთსულოვნად წინააღმდეგია იმისი, რომ კანონპროექტში რაიმე შესწორებები იქნეს შეტანილი მისი პარლამენტში განხილვის დროს. იტყობინებიან, რომ სნოუდენმა ფრაქციის სხდომაზე შემდეგი განაცხადა: საბედისწერო შეცდომა იქნებოდა „კანონპროექტის გამაუმჯობესებელ შესწორებების წამოყენება; კანონპროექტის თვითეული პუნქტი ზედი-ზედ უნდა იქნეს უარყოფილი, თვითეულ მუხლის უარსაყოფად ცალ-ცალკე უნდა იქნეს გამოტანილი რეზოლიუცია და ყოველთვის აუცილებლად ხაზგასმული უნდა იქნეს, რომ თუ კანონპროექტი კანონად იქცა, მუშათა პარტია პირველსავე შესაძლებლობას გამოიყენებს მის გასაუქმებლად.

მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდ“ აქვეყნებს იმ კამპანიის ჩატარების გეგმას, რომელსაც ამზადებს პროფკავშირების უფლებათა დამცველი კომიტეტი კანონპროექტის წინააღმდეგ. **კამპანია დაიწყება 2 მაისს. განზრახულია მუშათა პარტიამ მთელს ინგლისში ამ კამპანიის ჩატარების დროს ორატორებად გამოუშვას თემთა პალატის 50 დეპუტატი; მუშათა პარტიის დანარჩენმა დეპუტატებმა ობსტრუქცია უნდა მოაწყონ კანონპროექტის წინააღმდეგ თემთა პალატაში. პროფკავშირების უფლებათა დამცველი კომიტეტი აცხადებს, რომ ის გამოიყენებს „პროპაგანდისა და ბეჭდვითი ინფორმაციის ყველა ხელმისაწვდომ საშუალებებს.** (ადს).

პროფკავშირთა კონფერენციის წინ

ლონდონი, 27 აპრ. 29 აპრილს გაიხსნება პროფკავშირთა აღმასკომების კონფერენცია, რომელიც განიხილავს საკითხს მთავრობის კანონპროექტისა და პროფკავშირების შესახებ. ამ კონფერენციასთან დაკავშირებით, მეუმცირესეთა მოძრაობამ ინგლისის მთავარ სამრეწველო ცენტრებში მოიწვია მთელი რიგი საგანგებო კონფერენციები. კონფერენციები გაიმართა 23 და 24 აპრილს. იმ მიზნით, რომ არ ჩაშლილიყო ეს კონფერენციები კომპარტიამ გამოიყენა მთელი თავისი გავლენა პროფკავშირებსა, პროფსაბჭოებსა და სხვა ორგანიზაციებში. **ცდამ მართლაც დიდი ნაყოფი გამოიღო: ჯერ - ჯერობით შესდგა 10 კონფერენცია. კონფერენციებზე მთავარ ორატორებად უმეტეს წილად კომუნისტები გამოდიოდენ.** ყველა კონფერენციების დამახასიათებელი იყო კარდიფში გამართული კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 76 დელეგატი: ეს დელეგატები წარმოდგენილი იყვნენ 51 ორგანიზაციისაგან, რომლებიც აერთიანებენ 50.000 მუშას. კონფერენციაზე თავმჯდომარეობდა სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომის წევრი — დევისი. **კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც საყოველთაო გაფიცვას აღიარებს ბრძოლის ერთად - ერთ საშუალებად მთავრობის მიერ პროფკავშირების შესახებ შემუშავებულ კანონპროექტის წინააღმდეგ.** კონფერენციამ მიიღო, აგრეთვე, რეზოლიუცია, რომელშიც აყენებს ლოზუნგს: „ხელები შორს ჩინეთისაგან“ და მოითხოვს, რომ გენერალურმა საბჭომ გაგზავნოს დელეგაცია ჩინეთში. ყველა ეს ადგილობრივი კონფერენციები დაგვირგვინდება 30 აპრილისათვის ლონდონში დანიშნულ საერთო კონფერენციით. ამ კონფერენციის თავმჯდომარეთ იქნება **კუკი.** „ეს კონფერენციები, — აღნიშნავს კომპარტიის ორგანო „უორკერს ლაიფი“, — წარმოადგენენ იმ ღონისძიებათა ნაწილს, რომლებმაც შეიძლება აიძულონ მუშათა მოძრაობის ლიდერები, რომ ისინი ჩაებან ბრძოლაში კონსერვატიული მთავრობის, ინგლისის და ჩინეთის მუშათა მოძრაობის ამ მტრის წინააღმდეგ, და მიიღონ საჭირო ზომები, საყოველთაო გაფიცვამდეც კი“. (ადს)

„განიარაღების“ კონფერენცია

პირველი შედეგები

ბერლინი, 27 აპრილი. 26 აპრილს დაიხურა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის სესია. უკანასკნელ სხდომაზე კომისიამ ჯამი გაუკეთა იმ კონვენციის პროექტის პირველ წაკითხვას, რომელიც შეეხება შეიარაღების შეზღუდვას. პროექტმა დაუსრულებელ შესწორებების, განცხადებების და გადაუწყვეტელ საკითხების გამო. რომლებიც წამოიჭრენ განხილვის დროს. დაჰკარგა ყოველგვარი ღირებულება. **სესიის თავმჯდომარემ ლოუდონმა თავის საბოლოო სიტყვაში განაცხადა, რომ ამჟამად შეუძლებელია კონვენციის საერთო პროექტის შემუშავება.** შემდეგ ლოუდონმა აღნიშნა, რომ სამ სახელმწიფოს (ინგლისი, შეერთებული შტატები და იაპონია) კონფერენციას, რომელიც მოწვეულ უნდა იქნეს კულიჯის ინიციატივით, უდიდესი მნიშვნელობა ექნება ჟენევის კომისიის შემდგომ მუშაობისათვის. (ადს).

გერმანიის პრესის აზრი

ბერლინი, 27 აპრილი. განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის სესიის დახურვის შესახებ „ბერლინერ ტაგებლატ“ აცხადებს, რომ **სესიის შედეგები მოწმობს, რომ შეუძლებელია შეთანხმება განიარაღების შესახებ.** „დეიტშე ტაგეს ცეიტუნგ“ აცხადებს, რომ **სესიის შედეგები წარმოადგენენ შეთანხმების მიღწევის ცდების საბოლოო ჩაშლას,** „თუ,—აცხადებს გაზეთი, — მოწინააღმდეგეთა ბანაკი უარს განაცხადებს იმაზე, რომ განიარაღების გზით უზრუნველყოფილ იქნეს გერმანიის უშიშროება, **გერმანიის მთავრობა იძულებული იქნება მონახოს სხვა გზები“. (ადს).**

ლაყბობა გაზებით ომის შესახებ

ბერლინი, 27 აპრილი. განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის სხდომაზე ჟენევაში განხილულ იქნა კონფერენციის ის განყოფილება, რომელიც ეხება გაზებით ომის აკრძალვას. ამ საკითხის შესახებ ბელგიის, პოლონეთის, რუმინიის, ჩეხო-სლოვაკიის და სამხრეთ-სლავიის წარმომადგენლებმა შემოიტანეს წინადადება ომის დროს ბაქტერიოლოგიური საშუალებებით, მოწამლული გაზებით და სითხეებით სარგებლობის და მათი წარმოება-დამზადების აკრძალვის შესახებ. კომისიამ დაადგინა ხსენებულ სახელმწიფოთა წინადადების განხილვა გადადებულ იქნას განიარაღების კონვენციის პროექტი მეორეთ წაკითხვამდის. გერმანიის წარმომადგენლის ბერნსტორფის წინადადებით, პროექტში შეტანილია დამატება, რომლის თანახმად აკრძალული უნდა იქნეს ყოველგვარი მზადება გაზებით ომისათვის მშვიდობიან დროსაც. (ადს).

გაზეთების მიმოხილვა

საბჭოთა პრესა

(სწორი ტაქტიკა)

ინგლის-საბჭოთა კომიტეტის უკანასკნელ თათბირზე მიღებულ იქნა ერთსულოვანი გადაწყვეტილებები იმ ამოცანის შესახებ, რომლებიც დგანან ორივე ქვეყნის მუშათა კლასის დაკავშირების და საერთოდ მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენის დარგში. როგორც ვიცი, ინგლისის პროფმოძრაობის ლიდერები ამსტერდამის გაერთიანებას ეკუთვნიან და მათთან შეთანხმება, ცხადია შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთგვარი ურთიერთი დათმობების გზით. ეს კომპრომისები არ მოსწონთ „მემარცხენე“ ელემენტებს, რომელნიც ხსენებულ კომიტეტის დაშლის თვალსაზრისს იცავენ. ამის გამო „ტრუდ“ წერს:

„ვისაც საქმეთა ვითარება ისე ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ინგლის-საბჭოთა კომიტეტი იმუშავებდა უკომპრომისოდ და რომ ჩვენ, საბჭოთა პროფკავშირებს, ყოველთვის შეგვიძლია ინგლის-საბჭოთა კომიტეტში ყოველგვარ დათმობათა გარეშე გავატაროთ ჩვენი ხაზი,—ის მხოლოდ რევოლიუციონურ ფრაზებს ყრანტალობს, მაგრამ არაფერს არ აკეთებს მუშათა მასების ნამდვილი გარევოლიუციონერებისათვის. საკითხი ეხება არა საერთოდ კომპრომისების დაშვებას ჩვენის მხრით, არამედ ამ კომპრომისების ფარგლებს და იმ მიზანს, რომლისთვისაც ჩვენ დათმობებზე წავედით.

როგორი იყო მდგომარეობა ინგლის-საბჭოთა კომიტეტის სხდომის წინ? ამსტერდამის ინტერნაციონალი და ინგლისის პროფმოძრაობის მემარჯვენე ზედა წრე მოუთმენლად მოელოდენ ინგლის-საბჭოთა კომიტეტის გათიშვას. ისინი იმედოვნებდენ, რომ გათიშვას გამოიწვევდა ის სასტიკი კრიტიკა, რომელსაც საკავშირო პროფსაბჭო აწარმოებ და გენსაბჭოს მიმართ მისი როლის გამო საყოველთაო და მემაღაროეთა გაფიცვების დროს. ინგლისის ბურჟუაზიაც უცდიდა ამ გათიშვას, როგორც ნიშანს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიურ ურთიერთობის გასაწყვეტად. ცნობილი კონსერვატიული ზუბრები ინგლისში გამოდიოდენ მიტინგებზე და აბობდენ. რომ თუ იმათ, ვინც რუს მუშების და პროფკავშირების მეგობრებათ მოაქვთ თავი, არ შეუძლიათ მათთან მუშაობა, ისინი (კონსერვატორები) მით უმეტეს ვერ მოახერხებენ ამას.

ასეთი მდგომარეობის დროს საბჭოთა პროფკავშირებს უნდა მოემოქმედნათ ყველაფერი, რაც მათგან იყო დამოკიდებული, რომ შეენარჩუნებიათ ინგლის-საბჭოთა კომიტეტი და გათიშვა არ დაეშვათ, ვინაიდან სავსებით ცხადი იყო, რომ სხვა ტაქტიკა მხოლოდ წყალს მიუშვებდა საერთაშორისო და ინგლისის რეფორმიზმის და ინტერვენციულად განწყობილ ინგლისის ბურჟუაზიის წისქვილზე“.

აქედან ნათელია, თუ რატომ უნდა შეგვენარჩუნებია ინგლის-საბჭოთა კომიტეტი. ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ ეს კომიტეტი არის ორივე ქვეყნის მუშათა მასების გაერთიანების ფორმა, და არა ბელადების ბლოკი. მისი საშუალებით ვრცელდება საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობის, მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენის იდეა, და გზას ვიკაფავთ იმ მუშათა ფენებისაკენ, რომელნიც ჯერ კიდევ რეფორმისტების გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ინგლის-საბჭოთა კომიტეტის მუშაობის გამოცოცხლება, მისი წარმართვა კლასობრივ-რევოლიუციონური გზით და მის გარშემო მეტი პროლეტარულ მასების შემოკრება—მათი დასარაზმავად ომისა და კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ—ასეთია ჩვენი ამოცანა.

უცხოეთის პრესა

„ერთა“ (ანუ იმპერიალისტთა) ლიგა და ჩინეთი.

არსებობს ასეთი კავშირი ანუ ლიგა, რომელიც თავის თავს უწოდებს „ერთა ლიგას“. მისი მიზანიო—სწამებენ ხოლმე მას ცილს პოლიტიკური თვალთმაქცები—არის ის, რომ ერთა შორის მშვიდობიანობას შეუწყოს ხელი და მეორე მხრით „ხელი შეუშალოს“ ერების ჩაგვრასო. რასაკვირველია, ტყუილია ერთიცა და მეორეც. არც ერთი ეს დანაშაულება ერების წინაშე ამ ლიგას არ მუძღვის. მისი მიზანი სულ წინააღმდეგია.

ჩვენ არას ვლაპარაკობთ იმ კოლონიალურ ხალხებზე, რომლებიც უაღრესი უნდობლობითა და სიძულვილით არიან მისდამი გამსჭვალული და არც შედიან წევრად ამ ლიგაში. მაგრამ თვით ისეთებიც ამ ჩამორჩენილი ერებიდან, რომლებიც „გაბედნიერებული“ არიან ლიგის წევრობით, ყოველ ნაბიჯზე ეხეჩებიან ამ „ბედნიერების“ ფაქტებს.

მაგალითები.

არის ასეთი ქვეყანა: აბესინია. ის წევრია ლიგის. გასულ წელს მის გამო (ე. ი. მის გასაყოფად, უკეთ—გადასაყოფად) წაიკიდნენ ერთი მხრით—საფრანგეთი, მეორეთი კი—ინგლისი და იტალია. გაიყვეს ეს უბედური ქვეყანა. მან ბევრი იცა თავში ხელები, მიმართა ჟენევის „ერთა ლიგას“: შენი წევრი ვარ, დამიცავიო. ლიგამ უპასუხა: მართალია ჩემი წევრი ხარ, მაგრამ ვინც შენ ჩაგაფრინდა და კორტნის შენ სხეულს, სამივე ჩემი წევრებია და ძლიერი წევრებიცო. ასე დაკანონდა ლიგას მიერ ეს ვერაგობა.

არის კიდევ ასეთი ქვეყანა ადრიას ნაპირზე: ალბანეთი. წევრია ისიც ამ ლიგის. ჩაიგდო ალბანეთი ხელში იტალიამ, დაეპატრონა მას. დღესაც ერთი შეხლა-შემოხლაა მის გარშემო: ერთი მხრით—იტალია, რომელსაც მხარს უჭერს ინგლისი ამ ყაჩაღობაში, მეორე მხრით—იუგო-სლავია, რომელიც ეპოტინება ალბანეთს საფრანგეთის თანაგრძნობით. ჯერ გამარჯვებულია იტალია. მაგრამ ორივე მოქიშპედან რომელმაც არ უნდა გაიმარჯვოს—სულ ერთია, იღუპება ალბანეთი. ერთა ლიგა კი სდუმს, რადგან ის არის ძლიერთა მომხრე ლიგა, ე. ი. თავშესაფარი და იარაღი დიდი ყაჩაღების.

ახლა ჩინეთი.

მკითხველებმა იციან, რა ამბები ხდება იქ. ისიც წევრია ერთა ლიგის, წევრი თვით ამ ლიგის საბჭოსი. პეკინის მთავრობას იქ ყავს ოფიციალური წარმომადგენელი, კანტონის (ახლა ხანკოუს) მთავრობას კი—„მეთვალყურე“. ერთა ლიგის „დიდი“ წევრები: ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და სხვ. (ამერიკის შეერთებული შტატები არ შედიან ლიგაში) წაესიენ თავისი განთავისუფლებისათვის მებრძოლ ჩინეთს და უნდათ მისი მოკვლა. და აი რომელიღაც გულუბრყვილომ იკითხა: ამაზე მეტი უკანონობა როგორ იქნება, ჩინეთი ლიგის წევრია და ამავე ლიგის წევრები თავს დაესხენ და კლავენ მას, რას უყურებს ლიგაო. თითქოს ამ გულუბრყვილოს უპასუხებს გაზ. „ტან“-ის პუბლიცისტი ანდრე დიუბოკი, რომელიც საერთაშორისო საკითხებზე დიდ-დიდ წერილებს ათავსებს ხოლმე ამ გაზეთში. ახლაც ერთ ასეთ წერილში სათაურით: „ჩინეთი და ერთა საზოგადოება“ (ანუ ლიგა), ავტორი ამბობს:

„ერთა ლიგა უნდა ერიდოს იმას, რომ აზიის ხალხებში არსებული უნდობლობა მის წინააღმდეგ არ გააძლიეროს. ამიტომ მან სასტიკად თავი უნდა შეიკავოს ყოველგვარი ინიციატივისაგან ჩინეთის საქმეებში“.

ამაზე მეტი დაცინვა ძნელია. აზიის ხალხები უნდობლათ ექცევა ლიგას და თუ მან ინიციატივა აიღო თავის თავზე ჩინეთის სასარგებლოთ —ეს გააძლიერებს ამ ერების უნდობლობასო. უნდობლობა სწორეთ იმით იკვებება, რომ ლიგა ამ ერებს არ ეხმარება ყაჩაღების შიშით. ე. ი. ის იარაღია ამ ყაჩაღების ხელში. მაგრამ ამას „ტან“-ის თანამშრომელი პირდაპირ არ ამბობს, ვერ ბედავს ამის გულახდილათ თქმას და ედება ღობე-ყორეს.

აი სწორეთ ამიტომ არის, რომ სძულთ ლიგა ამ ხალხებს და ეპყრობიან მას ასეთი უნდობლობით. ხოლო სწორეთ ასეთი გამოსვლები, როგორიც არის დიუბოკის, აძლიერებენ ამ სიძულვილსა და უნდობლობას...

იმპერიალისტები ჩინეთში

ინგლისი ემზადება ომისათვის

შანხაი, 27 აპრილი. ჩინეთის ეროვნულ არმიის საავიაციო კორპუსის (რომელიც შედის ჩან-კაი-შის არმიის შემადგენლობაში) უფროსმა პრესაში გამოაქვეყნა პროტესტი ინგლისის სამხედრო ჰაეროპლანების ჩინეთის ტერიტორიაზე ფრენის წინააღმდეგ. პროტესტში აღნიშნულია, რომ ინგლისის მფრინავები მთელი შანხაის რაიონის ფოტოგრაფიულ სურათებს იღებენ. ანალოგიური პროტესტი, რომელიც რამოდენიმე დღის წინედ განაცხადა პროვინცია ცზიან-სუს გარეშე საქმეთა მინისტრმა, უპასუხოდ იქნა დატოვებული. (ადს).

იაპონიის პოზიცია

ტოკიო, 27 აპრილი. გაზეთი „ძი-ძი“ სავსებით ბუნებრივად სთვლის იაპონიის შიშს კომუნისტური მუშაობის გაძლიერების გამო ჩინეთში და საფუძვლიანად სთვლის ტანაკას იმედს, რომ საბჭოთა მთავრობა სათანადო შეფასებით მოეკიდება იაპონიის პოზიციას.

„ტანაკას დასაბუთება,—სწერს გაზეთი,—ღირსია მოწონების. მაგრამ ჩვენ მაინც უნდა განვაცხადოთ, რომ ტანაკას არავითარ შემთხვევაში არა აქვს განზრახული შეიარაღებული ინტერვენციის მოხდენა კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ ჩინეთში“.(ადს).

დემონსტრაციებში და მიტინგებში, რომელნიც გერმანიის კომპარტიამ მოაწყო ჩინეთში იმპერიალისტების პროვოკაციისა და პეკინში საბჭოთა საელჩოზე თავდასხმის წინააღმდეგ, ბერლინის დიდძალმა მუშებმა მიიღო მონაწილეობა. სურათზე—ჩინელი ამხანაგი ჩი ჩინეთის პროფკავშირების სახელით დროშას აწვდის ამხ. ტელმანს. ამხ. ტელმანი იბარებს დროშას, როგორც ყოფილ ჯარისკაცთა წითელი კავშირის თავმჯდომარე. თავი შეხვეული აქვს იმ ჭრილობის გამო, რომელიც მან მიიღო კომპარტიის მიერ მოწყობილ დემონსტრაციაზე ფაშისტების უკანასკნელ თავდასხმის დროს.

ინგლისი მოთმინებას ჰკარგავს

შანხაი, 27 აპრილი. ცნობის უთანხმოების შესახებ ინგლისსა და ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, ნანკინში მომხდარი ამბების გამო ეროვნული მთავრობისათვის მეორე ნოტის გაგზავნის საკითხის გარშემო, ინგლისის პრესა შანხაიში დიდი აღშფოთებით შეხვდა. გაზეთი „ნორდ ჩაინა დეილი ნიუსი“ სათაურით „ვაშინგტონი სტოვებს თავის მოკავშირეებს“, სწერს: შეერთებულ შტატების უკან დახევა ინგლისელებს და იაპონიას აიძულებს მიიღოს გადამჭრელი ზომები. ამ ზომების შედეგი შეიძლება იყოს ინგლის-იაპონიის კავშირის განახლება, ვინაიდან შეერთებულ შტატებზე დანდობა არ შეიძლება“. იგივე გაზეთი მოწინავეში ინგლისს მოუწოდებს დაიწყოს დამოუკიდებელი მოქმედება, შეთანხმება ევგენი ჩენსა და ომალს შორის ინგლისის კონცესიის შესახებ ხანკოუში გამოაცხადოს გაუქმებულად და ოკუპაცია მოუხდინოს უხანის რაიონს. „თუ სახელმწიფოები, სწერს გაზეთი, არ მიმართავენ იძულებით ზომებს, მაშინ უცხოეთის ვაჭრობა შანხაიში დაიღუპება. ერთად-ერთი გზა უგუნურების აღმოსაფხვრელად ჩინეთში — ეს არის უხანის რაიონის დაკავება“. (ადს).

ჩან - კაი - შის წინააღმდეგ

ხანკოუ, 27 აპრილი. გომინდანის ცეკამ, საკონტროლო კომისიამ, ნაციონალურმა მთავრობამ და სამხედრო საბჭომ გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც ამხილებენ და ჰკიცხავენ ჩან-კაი-შის და ნანკინის კონფერენციის მონაწილეებს. განცხადებაში ნათქვამია:

„ჩან - კაი - ში დიდი ხანია ოცნებობდა საკუთარი მთავრობის შექმნაზე; ის ცდილობდა ნაციონალური ჩინეთის ცენტრალური მთავრობა გადაექცია თავისი პირადი მიზნების მისაღწევ იარაღათ. ეხლა ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მწუხარება გამოვხთქვათ იმის გამო, რომ არ მივიღეთ სათანადო ზომები, სანამ გვიანი არ იყო. შანხაიში ჩასვლის შემდეგ ჩან - კაი-ში დაუყოვნებლივ შეუთანხმდა იმპერიალსტებს. მათთან ერთად ის შეჰერდა კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგზე, მიმართა რა ჩან - ძო - ლინის მეთოდებს და გამოვიდა ხალხის ჯალათის როლში. ოფიცრები და ჯარის კაცები, რომლებიც არ ეთანხმებოდენ მას, მან გაგზავნა ფრონტზე, შეუწყვიტა მათ დახმარება ზურგიდან და ამრიგად მტრებს გადასცა ისინი ხელში. მან დააპატიმრა და დასაჯა არმიის პოლიტიკური მუშაკები და მოსყიდული ბანდების საშუალებით დაარბია პარტიისა და პროფკავშირების ხელმძღვანელი ორგანოები. ის ხმარობს ყოველივე ძალღონეს, რომ დაასამაროს რევოლიუცია სამხრეთ - აღმოსავლეთში და მოსპოს რევოლიუციონური ელემენტები.

ამხანაგებო, განსაკუთრებით, შეიარაღებულო ამხანაგებო! თუ თქვენ გმობთ ამ მოღალატეობას, თუ თქვენ გსურთ საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანოთ რევოლიუცია, ნუ მისცემთ ჩან-კაი-შის თქვენი დარბევის საშუალებას, შეასრულეთ ნაციონალური ჩინეთის ცენტრალური მთავრობის ბრძანებები, რათა დაამხონ მოღალატე, რომელმაც ფეხქვეშ გასთელა სუნ-იატ-სენის მოძღვრება. დაგვეხმარეთ ამ პარტიის და ერის მოღალატის და გამცემის განადგურებაში. მოვაშოროთ ეს ლაქა რევოლიუციას“. (ადს)

ცენტრალური სამხედრო კომიტეტი

შანხაი, 27 აპრილი. ნანკინის მთავრობამ გასცა ბრძანება კანტონიდან ნანკინში ცენტრალური სამხედრო კომიტეტის გადასვლის შესახებ. (ადს).

ჩან-ძო-ლინის მრჩეველი

ტოკიო, 27 აპრილი. ჩინეთიდან ტოკიოში ჩამოვიდა ჩან-ძო-ლინის მრჩეველი დოქტორი ჩაო. ჩაო, როგორც სჩანს, პრემიერ ტანაკასთან ერთად განიხილავს საკითხს ჩინეთ-იაპონიის შემდეგი ურთიერთობის ხასიათის შესახებ. (ადს).

შანხაის სავაჭრო პალატის დაშლა

შანხაი, 27 აპრილი. სრულიად ჩინეთის სავაჭრო პალატის შენობა შანხაიში დაიჭირა ჩან - კაი - შის არმიის პოლიტიკური განყოფილების უფროსმა. პალატა დაშალეს, ხოლო მისი თავმჯდომარე ფუ - სიაო - ენი დაპატიმრებულია და გასამართლებისათვის გადაგზავნილია ლუხუაში. პოლიტგანყოფილება სავაჭრო პალატას ბრალად სდებს დახმარების გაწევას სუნ-ჩუან-ფანისათვის ფუ-სიაო-ენს, რომელიც წარმოადგენს ჩინეთის სავაჭრო სანაოსნო კომპანიის მეთაურს, ბრალად ედება გეგმების დათმობა სუნ-ჩუან-ფანისათვის.

ღამის ცნობები

ამხ. ჩერნიხის ჩამოსვლა

მოსკოვი, 28 აპრილი. მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებული ჩინეთში ამხ. ჩერნიხი.

მასთან ერთად ჩამოვიდა პეკინში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თითქმის მთელი შემადგენლობა ოჯახებით. პეკინში დარჩენ სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მხოლოდ საკონსულო ნაწილი და ზოგიერთი ტეხნიკური თანამშრომლები. (ადს).

შეტაკება გლეხებსა და პოლიციელებს შორის.

მინსკი, 28 აპრილი. აქ მიღებული ცნობებით, ბელორუსიის პოლონურ ნაწილში, სოფელ ლუშკში, ამ დღეებში პოლონელთა ორმა ულანმა სცემა რამდენიმე გლეხს და პოლიციელების დახმარებით დააპატიმრა ისინი.

400 გლეხისაგან შემდგარმა ჯგუფმა დაამტვრია საპოლიციო სადგური და გაანთავისუფლა დაპატიმრებულები. პოლიციამ გამოიწვია მოსაზღვრე ჯარისკაცების რაზმი და ახალი დაპატიმრებანი მოახდინა (ადს).

ამერიკის 12 ჰაეროპლანი შანხაიში.

შანხაი, 27 აპრილი. სამხედრო გემით ჩამოტანილ იქნა ამერიკის 12 ჰაეროპლანი (ადს).

პირველ მაისობისათვის შანხაიში.

შანხაი, 27 აპრილი. შანხაის სამხედრო ხელისუფლებამ წინადადება მისცა მუშებს, რომ პირველ მაისს მთელი დღით შესწყვიტონ მუშაობა, ხოლო სტუდენტებს—ნახევარი დღით. (ადს).

ჩან-კაი-შის წინადადება.

შანხაი, 27 აპრილი. ჩან-კაი-შიმ წინადადება მისცა ნაციონალურ (უხანის) მთავრობის ყველა თანამდებობის პირებს, რომ უხანიდან გადმოზავრონ ნანკინში და შეუდგენ თავის მოვალეობის აღსრულებას (ადს).

ოსმალეთი და სამხრეთ-სლავია.

ვენა, 28 აპრილი. ბელგრადის „პოლიტიკა" იუწყება, რომ სამხრეთ-სლავიამ წინადადება მისცა ოსმალეთს—ერთად გამოვიდენ, თუ შეიკვრება იტალია-ბულგარეთის კავშირი. როგორც იტყობინებიან, იტალიის ანგორელი ელჩი ყოველნაირად ცდილობს ხელი შეუშალოს ოსმალეთ — სამხრეთ-სლავიის დაახლოვებას (ადს).

მაიაკოვსკი პრაღაში.

პრაღა, 27 აპრილი. პრაღაში ჩამოსულ მაიაკოვსკის მხურვალედ შეხვდენ პრაღის ჟურნალისტები და ლიტერატურული წრეები. (ადს).

გერმანელ ახალგაზრდა მენშევიკებს შორის

ბერლინი, 27 აპრილი. საქსონიის სოციალ-დემოკრატიულ მუშა-ახალგაზრდობის საგანგებო საოლქო კონფერენციაზე ლაიპციგში ოპოზიციამ სხვა მოთხოვნილებათა შორის მოითხოვა ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა ბურჟუაზიულ ორგანიზაციებთან და ერთიან ფრონტის შექმნა კომუნისტებთან. პრეზიდიუმმა უარი თქვა ამ წინადადებისათვის კენჭის ყრაზე, რამაც აღშფოთება გამოიწვია. შემდეგ შემოტანილ იქნა წინადადება ოპოზიციონერების—ქალაქ ლეიპციგის ორგანიზაციის თავმჯდომარის სოციალ-დემოკრატიულ მუშა-ახალგაზრდობის კავშირიდან გამორიცხვის შესახებ. წინადადება მიღებულ იქნა 70 ხმით 52-ს წინააღმდეგ. ოპოზიციონერებმა დასტოვეს სხდომა „ინტერნაციონალის" სიმღერით. (ადს).

ეგვიპტის ახალი მთავრობა

ლონდონი, 27 აპრილი. რეიტერის სააგენტო კაირიდან იტყობინება, რომ შესდგა ეგვიპტის ახალი კაბინეტი: სარვატ-ფაშა—პრემიერი და შინაგან საქმეთა მინისტრი, მორკოს-ხანაფაშა—გარეშე საქმეთა მინისტრი, ალი-შამსიფაშა—ფინანსთა მინისტრი, დოკტორი აფიფიბეი—სამხედრო მინისტრი. (ადს).

აჯანყება მაროკოში

მოკლულია ფოშის შვილი

პარიზი, 26 აპრილი. გაზ. „ტან"-ის ცნობით, რიფებსა და ფრანგებს შორის მომხდარ უკანასკნელი შეტაკების დროს მოკლულია გენ. ფოშის შვილი.

„არა 20.000, არამედ 5.000".

ლონდონი, 27 აპრილი. ესპანეთის ელჩი ლონდონში უარყოფს „დეილი ტელეგრაფ"-ის ტეტუანელ კორესპონდენტის ცნობას, რომ მაროკოში გაიგზავნა ესპანეთის ჯარები 20.000 კაცის რაოდენობით. ელჩი აცხადებს, რომ მაროკოში ესპანეთიდან გაიგზავნა დამატებით 5.000 ჯარის კაცი. (ადს).

თავდასხმა

მუშათა პარტიის ნიუ-იორკის ორგანიზაციაზე

ნიუ-იორკი, 27 აპრილი. 26 აპრილს პოლიცია თავს დაესხა უორკერს პარტიის ნიუ-იორკის ორგანიზაციის შენობას და იტალიის კომუნისტურ გაზეთის რედაქციას. პოლიცია ეძებდა იარაღს. არავინ დაუპატიმრებიათ. (ადს).

მუშების დათხოვნა

პარიზი, 27 აპრილი. საავტომობილო ქარხანა „სიტროენის" ზოგიერთ განყოფილებაში სამუშაო ხელფასის შემცირების გამო, მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა და „ინტერნაციონალის" მღერით დატოვეს ქარხანა. ქარხნის ადმინისტრაციამ ორი დღით დახურა ყველა სახელოსნოები და 30.000 მუშისაგან 10,000 მუშა სამუშაოდან დათხოვილად გამოაცხადა. (ადს).

ერთა ლიგას სასაცილოდ იგდებენ

ლონდონი, 27 აპრილი. „მორნინგ პოსტ"-ის კორესპონდენტი იუწყება, რომ საჰაერო მიმოსვლის მომწესრიგებელმა საერთაშორისო კონფერენციამ ლონდონში მიიღო ერთა ლიგის შუამდგომლობა საჰაერო ფლოტის შედგენის შესახებ, რომელიც უნდა იყოს ერთა ლიგის უწყებისა და მისი მფარველობის ქვეშ. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ლიგის შუამდგომლობას საკმაო მნიშვნელობა აქვს, რადგან ის ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნის, თითქოს ლიგა სცდილობდეს თავის თავისთვის დამოუკიდებელ ევროპიულ სახელმწიფოს სახის მიცემას. კორესპონდენტის აზრით, შესაძლებელია, რომ ლიგას განზრახული ჰქონდეს თავის პრესტიჟის ამაღლება ჰაეროპლანების გამოყენების გზით იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც უარს განაცხადებენ მისი განკარგულების შესრულებაზე. (ადს).

ერთა ლიგის განცხადება

ბერლინი, 27 აპრილი. ერთა ლიგის სამდივნომ გამოაქვეყნა (ლიგის ბეჭდვითი დარბაზის კედლებზე გაკვრით) შემდეგი განცხადება: „რუსები მოწვეული იყვნენ მონაწილეობის მისაღებად საერთაშორისო ეკონომიური კონფერენციის მომამზადებელი კომისიის მუშაობაში, რისთვისაც 1926 წლის 22 დეკემბერს საბჭოთა მთავრობას გაეგზავნა თხოვნა, რომ გამოეგზავნა თავისი დელეგატები იმავე პირობებით, როგორც სხვა სახელმწიფოებს. საბჭოთა მთავრობამ 1927 წლის 19 იანვარს გამოგზავნილი წერილით გვიპასუხა, რომ მას არ შეუძლია წინადადება ჟენევის კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ განიხილოს, როგორც მიწვევა, ვინაიდან შვეიცარიის ტერიტორიაზე კონფერენციის დანიშვნის ფაქტი საშუალებას ართმევს საბჭოთა მთავრობას, რომ მონაწილეობა მიიღოს კონფერენციაზე, და ამიტომ მას არ შეუძლია დელეგატების დანიშვნა. ასეთ პირობებში საბჭოთა მთავრობის საქმეა გადასწყვიტოს შვეიცარიასთან მისი შეთანხმების შემდეგ ეღობება თუ არა რაიმე შეფერხება რუს-დელეგატების დანიშვნას. ერთა ლიგის პოზიცია გარკვეულია მოწვევა გადაწყდა ლიგის საბჭოს ერთსულოვანი დადგენილების საფუძველზე და ის დღესაც რჩება ძალაში. თუ საბჭოთა რუსეთის დელეგატები ჩამოვლენ ჟენევაში, მაშინ ისინი ისევე იქნებიან მიღებულნი, როგორც სხვა ერების წარმომადგენლები". (ადს).

გერმანელი ფაშისტების დემონსტრაციის წინ

ბერლინში მოსალოდნელია დიდი ამბები

ბერლინი, 27 აპრილი. კომუნისტურმა „როტე ფანე"-მ გამოაქვეყნა ფაშისტურ ორგანიზაციის „ფოლადის მუზარადის" საიდუმლო ინსტრუქციები, რომლებიც ვითომდა „ტერორისტული აქტებისაგან თავდაცვის" მიზნით მოუწოდებს ორგანიზაციის ყველა წევრებს მომავალ ალლუმის დროს იმოქმედონ ენერგიულად და „მაგალითი უჩვენონ" რევოლიუციონერებს. ინსტრუქცია აღნიშნავს, რომ უნდა შეიქმნეს ისეთი განწყობილება, რომელიც ხელს შეუწყობს შთაბეჭდილებას, რომ თავდამსხმელი მხარეა არა „ფოლადის მუზარადი", არამედ მემარცხენე რადიკალური ელემენტები. „ფორვერტს"-ის მიერ გამოქვეყნებულმა კომპარტიის ინსტრუქციებმა ალლუმის შესახებ სოციალ-დემოკრატების მოლოდინის წინააღმდეგ „რესპუბლიკანური დროშის კავშირზე" იმოქმედა იმ მხრივ, რომ კავშირის წინამძღოლის გადაწყვეტილება „ფოლადის მუზარადის" ალლუმის დღეს კავშირის რაზმების ბერლინიდან გაყვანის შესახებ გაუქმებულ იქნა. ამ გადაწყვეტილების მაგიერ „რესპუბლიკანური დროშის კავშირმა"—მუშების ზეგავლენით დაადგინა მომავალ ხსენებულ დღისათვის რაზმები საბრძოლველად. უკეთებს რა კომენტარიებს ამ გადაწყვეტილებას „როტე ფანე" აცხადებს, რომ ის წარმოადგენს „ფოლადის მუზარადის" ორგანიზაციის დამცველთა ფრონტის პირველ გარღვევას. გერმანიის კომპარტიის უახლოესი მნიშვნელოვანი ამოცანაა, „როტე ფანე"-ს სიტყვით, ამ ფრონტის კიდევ უფრო გარღვევა. (ადს).

ამერიკის კაპიტალის მონობაში

ვარშავა, 27 აპრილი. იმ სესხის პირობებმა, რომელსაც საბანკო კონსორციუმი (მორგანის ბანკის ხელმძღვანელობით) აძლევს პოლონეთის მთავრობას, პოლონეთში გამოიწვია დიდი ოპოზიცია საზოგადოებრივ წრეებში და უთანხმოება მთავრობაში. ყველაზე მეტ დავას იწვევს საკითხი უცხოეთის კაპიტალის მონაწილეობის შესახებ პოლონეთის ბანკის გამგეობაში (4 ადგილი 12-დან). პოლონეთის მსხვილი მრეწველობის ერთი ნაწილს აშინებს უცხოეთის კაპიტალის ჩარევა, უმთავრესად, პოლონეთის ბანკის საკრედიტო პოლიტიკის სფეროში. ის გამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ უცხოეთის კაპიტალი მიუხედავად იმისა თუ რომელი ეროვნების წარმომადგენელია ის, ბანკის გამგეობაში მფარველობას გაუწევს გერმანიის მრეწველობის ინტერესებს.

პილსუდსკისთან დაახლოვებულ წრეებს კი აშინებს უცხოეთის კრედიტორების კონტროლი სახელმწიფო ბიუჯეტზე არმიისა და შეიარაღებისათვის საჭირო ხარჯების ნაწილში.

სესხის პირობების მთავარი მოწინააღმდეგეა ყოფილი პრემიერი გრაფსკი. მისი აზრით, კონტროლი საემისიო ბანკზე ნიშნავს უცხოეთის კონტროლს პოლონეთზე, როგორც სახელმწიფოზე და მოასწავებს პოლონეთის დამოუკიდებლობის გაქარწყლებას. (ადს)

მოღალატე როზენბერგი

ბერლინი, 27 აპრილი. ულტრა-მემარცხენე ოპოზიციაში მყოფმა როზენბერგმა გერმანიის კომპარტიის ცეკაში შეიტანა განცხადება პარტიიდან გამოსვლის შესახებ. თავის განცხადებაში როზენბერგი აღნიშნავს, რომ ის უარს აცხადებს რეიხსტაგის დეპუტატის რწმუნებების მოხდაზე და განზრახული აქვს დარჩეს დეპუტატად, როგორც უპარტიო სოციალისტი.

ამის გამო „როტე ფანე", სწერს: „რევოლიუციონურ მუშებს არაფერი არ დაუკარგავთ როზენბერგის გადასვლით რეფორმისტების ბანაკში. მისი გადასვლა კიდევ ერთხელ ადასტურებს პარტიის მიერ ცეკას ღია წერილში იმ ინტელიგენტთა ჯგუფის შეფასების სისწორეს, რომელსაც სათავეში უდგანან მასლოვი და რუტ ფიშერი. როზენბერგის უარი სადეპუტატო რწმუნებების მოხდაზე მოწმობს რომ ის უკვე მოურიგდა სოციალ - დემოკრატებს და, კომპენსაციის სახით, შემოსავლიანი ადგილი მიიღო მათგან". (ადს)

მისისიპის ადიდება

ნიუ-იორკი, 27 აპრილი. მისისიპის მიდამოებში წყალდიდობა საშიშ ხასიათს იღებს. დაიღუპა ასამდე კაცი. დაღუპულთა საერთო რიცხვი აღწევს 500 კაცამდე. უთავშესაფროდ დარჩა 200.000 კაცი, რომელთა შორის უმრავლესობა წვრილი ფერმერებია, წყლით დაფარულია მრავალი ქალაქი. წყლით დაფარულ ტერიტორიის სივრცე 6 მილიონ აკრას უდრის. ძლიერ დაზიანებულია ნათესები, განსაკუთრებით ბამბა. (ადს).

ნიუ-იორკი, 27 აპრილი. მისისიპი განაგრძობს მატებას. ის უკვე წალეკვით ემუქრება ლუიზიანას შტატის მთავარ ქალაქს—ახალ ორლეანს, 427.000 მოსახლეობით. ამის გამო გადაწყდა ჯებირის აფეთქება, ათი მილის მოშორებით ქალაქიდან ქვევით, და წყლის გადაშვება მექსიკის ყურეში. ჯებირის აფეთქებით წყალი წალეკავს 100.000 აკრ სათეს მოედანს. ამჟამად მისისიპს წყალით დაფარული აქვს 7 მილიონი აკრი მიწა სან-ლუიზისა და ახალ-ორლეანს შორის; აქედან ერთ მილიონ აკრს წარმოადგენდენ ბამბის პლანტაციები. თუ ჯებირი აფეთქებული იქნა, მაშინ, ძირშივე დაიღუპება 300.000 კონა ბამბა და აგრეთვე რამდენიმე ათას მონადირისა და ფერმერის სახლი. ნათესებისა და ბეწვიანი ცხოველის განადგურება მთლად დაღუპავს ფერმერებს და მონადირეებს. ამის გამო ფერმერები და მონადირეები შეიარაღდენ და იცავენ ჯებირს; მათ განაცხადეს, რომ ისინი არ დაუშვებენ ქალაქის ქონების გადარჩენას ფერმერებისა და მონადირეების ხარჯზე. თუ აფეთქებულ იქნა ახალ-ორლეანის ქვევითა ჯებირი, მაშინ ფერმერები და მონადირეები იმუქრებიან, რომ ისინი ააფეთქებენ ზევითა ჯებირს და დაახრჩობენ ქალაქს. ქალაქსა და ჯებირს იცავენ შეიარაღებული რაზმები. ქალაქის ხელისუფლებამ, ქალაქზე ფერმერების თავდასხმის შესაძლებლობის გამო, თავი მოუყარა ჯარებს.

29 აპრილს შუადღეს ინჟენერ-სპეციალისტებმა უნდა ააფეთქონ ახალ-ორლეანის ქვევითა ჯებირი. ახალ-ორლეანის ბანკირებმა აღუთქვეს ფერმერებს მთელი ზარალის ანაზღაურება, მაგრამ ფერმერები არ ენდობიან მათ. ჯარები ძალით აიძულებენ ფერმერებს და მონადირეებს, რომ უშიშარ ადგილში გადაიყვანონ თავიანთი ოჯახები (ადს).

კომინტერნის აღმასკომის სამდივნოს განცხადება

მოსკოვი, 28 აპრილი. გამოქვეყნებულია კომინტერნის აღმასკომის სამდივნოს შემდეგი განცხადება:

„ჩინეთის პრესა, რომელიც გამოდის ჩან-ძო-ლინის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, აქვეყნებს მთელ რიგ დოკუმენტებს, რომელნიც ვითომც პოლიციამ ჩაიგდო ხელში საბჭოთა საელჩოზე პეკინში უკანასკნელი თავდასხმის დროს. ამ „მასალას" ბურჟუაზიული პრესა ეხლა ბეჭდავს, როგორც კომინტერნის მუშაობის მორიგ მხილებას. აქედან მოჰყავთ ციტატები ინგლისის პარლამენტში და ცდილობენ ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზრის ამხედრებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მარტო ის განგაში, რომელიც იმპერიალისტურმა წრეებმა ასტეხეს ამ ფანტასტიური დოკუმენტების გარშემო, ნათლად ააშკარავებს, თუ რისთვის დასჭირდა უცხოეთის კაპიტალის სამსახურში მყოფ პოლიციას საბჭოთა საელჩოში შეჭრა. ამით უნდა დაეფარათ ფალსიფიკაციის და მოტყუების სისტემა, რომლითაც ინგლისის კონსერვატორები სარგებლობენ თავიანთ ანტი-ჩინურ კამპანიაში, და დამაჯერებელი ხასიათი მიეცათ თავიდან ბოლომდე ყალბ „დოკუმენტებისათვის".

ამ დოკუმენტებში, რომელთაც ჩან-ძო-ლინის პრესა „მოსკოვის საიდუმლო დოკუმენტებად" ასაღებს, ნათქვამია, რომ კომინტერნი ურჩევს „წააქეზონ ხალხის მასები უცხოელთა მოქმედებების წინააღმდეგ ჩინეთში, ამასთანავე ამ წაქეზების საბოლოო მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მიაღწიონ უცხოელთა ინტერვენციას ჩინეთში". ამგვარად კომინტერნს მიაწერენ, არც მეტი, არც ნაკლები, იმპერიალისტური ჯალათების გეგმებისათვის ხელის შეწყობას ჩინეთში.

შემდეგ, ამავე „ინსტრუქციაში" კომინტერნი ურჩევს, რომ „ამ მიზნის განსახორციელებლად მიმართონ უცხოელთა ძარცვას და ხოცვას, მიუხედავად მათი კლასიური წარმოშობისაც კი". მთელი ეს პროვოკაცია შეთხზული უცხოეთის მზვერავ სპეციალისტების მიერ, იმდენად უაზრო და შეუსაბამოა, რომ არავითარ უარყოფას არ საჭიროებს. ამით სარგებლობა შეუძლიათ ან მეტად გულუბრყვილო ხალხს, ან ნამდვილ აფერისტებს, რომელნიც ამგვარი საძაგელი ხრიკებით სცდილობენ თავიანთი მთავრობის იმპერიალისტური ყაჩაღობის გამართლებას ჩინეთში.

მთელი ქვეყნის მშრომელთა მასების წინაშე კომუნისტურ ინტერნაციონალს შეუძლია მხოლოდ ზიზღი განაცხადოს ჩინეთის რევოლიუციის უბოროტესი მტრების ამ საძაგელი განზრახვის და საცოდავად შესრულებული ხრიკების წინააღმდეგ. ყველა ქვეყნის მშრომელნი ღირსეულად შეაფასებენ ჩან-ძო-ლინის ამ ცდებს, რომელთაც ასულდგმულებენ უცხოეთის კაპიტალისტები ჩინეთის მუშათა და გლეხთა მასების დიადი მოძრაობის ჩახრჩობის მიზნით. საზიზღარ საქმეს სხვაგვარი საშუალება არ გააჩნია, თუ არა უხეში სიყალბე და მოტყუება.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნო".

ფინანსიური კრიზისი იაპონიაში

ფინანსების საშველად

ტოკიო, 27 აპრილი. იაპონიის ფინანსთა სამინისტრო ფინანსიური კრიზისის შენელების მიზნით უშვებს ქაღალდის ფულს 250 მილ. იენის რაოდენობით. (ადს)

მორატორიუმის შედეგები

ტოკიო, 27 აპრილი. იაპონიის მრეწველობის საფეიქრო, საქსოვი, ცემენტის და სხვ. დარგები უკვე განიცდიან იაპონიაში გამოცხადებულ მორატორიუმის მძიმე შედეგებს. მრეწველობის ამ დარგის წარმოებები იძულებული არიან საგრძნობლად შეამცირონ თავისი წარმოება და ათასობით მუშა გაყარონ ქუჩაში. (ადს)

როდო-ნომინგოს მოწოდება

ტოკიო, 27 აპრილი იაპონიის მემარცხენე ცენტრალურმა მუშურ-გლეხურმა პარტიამ როდიო-ნომინგომ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიც ის ეწინააღმდეგება მთავრობის განზრახვას გააუმჯობესოს იაპონიის პლუტოკრატიის ფინანსიური მდგომარეობა, იაპონიის ხალხისთვის ახალი გადასახადების შეწერის გზით. და მოითხოვს წვრილ მეანაბარეთათვის დაუყოვნებლივ ფულის დაბრუნებას, უმუშევართა საცხოვრებელი მინიმუმის უზრუნველყოფას (ფინანსიური კრიზისის გამო უმუშევართა რიცხვი არაჩვეულებრივად გაიზარდა), პარლამენტის დაუყოვნებლივ დათხოვნას და საყოველთაო საარჩევნო უფლების გატარებას. (ადს).

პირველი მაისის მოლოდინში

ლონდონი, 27 აპრილი. 1-ლ მაისისათვის ინგლისის ყოველ კუთხეში უკვე დანიშნულია 3000 მუშათა დემონსტრაცია.

ვენა, 27 აპრილი. სამხრეთ - სლავიის დამოუკიდებელმა პროფკავშირებმა წინადადება მისცეს რეფორმისტებს და ავტონომისტებს ერთად იდღესასწაულონ 1-ლი მაისი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა აკრძალა 1-ლ მაისს დემონსტრაციების გამართვა ქუჩაში და ნება დართო კრებების გამართვა მხოლოდ დახურულ შენობებში.

მიზანშეწონილია?

შანხაი, 27 აპრილი. ჩინური გაზეთების ცნობით, ჩინეთის სამხედრო სარდლობა განიხილავს საკითხს შანხაიში 1 მაისის და ოთხ მაისის დღეებში გაფიცვების გამოცხადების მიზანშეწონილების შესახებ. (ადს).

მელითონეთა გაფიცვა

ბერლინი, 27 აპრილი. საარის ოლქის მელითონეთა სოციალ - დემოკრატიულმა, ქრისტიანულმა და გირშ-დუნკერიულმა კავშირებმა უარჰყვეს წინადადება სამუშაო ხელფასის შემცირების შესახებ და დაადგინეს დაუყოვნებლივ გამოაცხადონ გაფიცვა. (ადს)

ფინანსიური კრიზისი

შეერთებულ შტატებში

ფასიანი ქაღალდების დაცემა

ნიუ-იორკი, 27 აპრილი. საფონდო ბირჟაზე ეცემა ფასიანი ქაღალდების კურსი. გასასყიდათ გამოტანილია ქაღალდების დიდი რაოდენობა. დაეცა აგრეთვე სამრეწველო აქციების კურსი. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

იაპონელი ეკონომისტები მოსკოვში

მოსკოვი, 28 აპრილი. მოსკოვში ჩამოვიდენ ჟენევის საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციაზე დასასწრებად მიმავალი იაპონიის დელეგაციის წევრები: იაპონელი მრჩეველი კონფერენციაზე პროფესორი კავაბე ხატო, იაპონიის მიწათმოქმედების სამინისტროს მდივანი და იაპონიის ცენტრალური კოოპერატიულ კავშირის მრჩეველი ხაფული. სატო და ხაფული ეწვიენ „ცენტროსოიუზს", დაინტერესდენ საბჭოთა კოოპერაციის ორგანიზაციული პრინციპებით და მუშაობით. (ადს).

ხუთი ძვირფას სურათის მოპარვა.

მოსკოვი, 28 აპრილი. ღამით 25 აპრილს მოსკოვის მუზეუმიდან მოიპარეს ხუთი ძველი გამოჩენილი მხატვრების: რემბრანდტის, ტიციანის, კარლო დოლჩის, კორეჯიოს და ნიკოლოპიზანოს სურათები. რემბრანდტის და ტიციანის სურათები ამოჭრილია ჩარჩოდან და სრულიად გაფუჭებულია, დანარჩენი სურათები ამოღებულია ჩარჩოებიდან. მოპარული სურათების ღირებულება 650.000 მან. აღემატება (ადს).

განათლების სახალხო კომისართა ყრილობა

მოსკოვი, 27 აპრილი. 27 აპრილს გაიხსნა რ. ს. ფ. ს. რ-ის ავტონომიურ რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისართა ყრილობა.

მოხსენებაში საყოველთაო სწავლების შემოღების შესახებ აღნიშნულ იყო, რომ ამ მიზნით საჭირო იქნება დაახლოვებით 2.300.000 მანეთი, აქედან სასკოლო მშენებლობისათვის—1 მილ. მანეთი.(ადს)

რედაქტორების თათბირი

უკანასკნელი სხდომა

მოსკოვი, 28 აპრილი. 22 აპრილს დაიხურა ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთების რედაქტორების თათბირი.

საბოლოო სხდომაზე მოსმენილ იქნა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის მოადგილის ამხ. **იაკოვლევის** მოხსენება.

„ჩვენს პრესას—ლაპარაკობს ამხ. იაკოვლევი—მომჭირნეობის რეჟიმის და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გაშუქებაში აქვს ორი მთავარი ცოდვა. პირველი ცოდვა: ჩვენი ცენტრალური და საგუბერნიო პრესა უმეტესად ამხილებს სოფლისა და თემის მტკივან ადგილებს, მაგრამ ძალიან მოისუსტებს ჩვენი აპარატის ხელმძღვანელ (საგუბერნიო და ცენტრალურ) საფეხურების მუშაობის კრიტიკა. მეორე ცოდვაა ფელეტონების სიჭარბე. ფელეტონი ბრძოლის მეტად ძლიერი და მახვილი იარაღია, მაგრამ მარტო ფელეტონით გამარჯვება შეუძლებელია. მესამე მომენტი—საერთო ხასიათის წერილების სიჭარბე. თუ იმ დიდ ამოცანებს, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან, შეუფარდებთ მეთოდებს, რომელთა შემწეობით ბრძოლას აწარმოებენ გაზეთები, გასაგები იქნება, რომ მარტო ფელეტონით აქ არაფრის გაკეთება არ შეიძლება. პრესის მუშაობის მთავარ საკითხს წარმოადგენს პრესის კამპანიის შეფარდება იმ დიდ ამოცანასთან, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას. აუცილებელი პირობაა მასების პირდაპირ ჩაბმა მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლაში. დაბოლოს, პრესა კარგი სამეურნეო მუშაკების და კარგი კოოპერატივების მაგალითების შემწეობით უნდა ცხადყოფდეს, როგორ უნდა მუშაობა და როგორ უნდა მომჭირნეობის რეჟიმის გატარება". (ადს).

თეატრების დირექტორების ყრილობა

მოსკოვი, 28 აპრილი. 27 აპრილს გაიხსნა სრულიად რუსეთის თეატრების დირექტორთა პირველი ყრილობა, რომელიც მოიწვია პოლიტგანათლების მთავარმა სამმართველომ. ყრილობაზე ჩამოვიდა რ. ს. ფ. ს. რ-ის, თათართა, ყირიმის, კარელიის, ბაშკირეთის და დაღესტანის რესპუბლიკების, ბელორუსიის და უკრაინის სახელმწიფო თეატრების და თეატრალურ შრომის კოლექტივების წარმომადგენლები, რიცხვით 100-დე კაცი.

ყრილობა გახსნა პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს სამხატვრო განყოფილების გამგემ ამხ. პელშემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ამჟამად სამხატვრო აღზრდის და საერთო თეატრის საკითხებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ეძლევა სოციალისტურ მშენებლობის საერთო პროცესში.

განათლების სახალხო კომისარიატის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. ლუნაჩარსკი. (ადს).

საჰაერო ხაზი მოსკოვი-ბერლინი

მოსკოვი, 28 აპრილი. 2 მაისს გაიხსნება საჰაერო ხაზი მოსკოვი-ბერლინი. ეს ახალი ხაზი იქნება გაგრძელება ძველი ხაზის—მოსკოვი-კენიგსბერგი—და მოქმედებას დაიწყებს 1 ნოემბრიდან. საჰაერო გზა მოსკოვი-ბერლინი გაივლის დურულიუფტის თვითმფრინავებით ერთი დღის განმავლობაში.

15 აგვისტოდან, დღის შემოკლების გამო, პირველად საბჭოთა კავშირში მოხდება სამგზავრო ჰაეროპლანების გადაფრენები ღამით კენიგსბერგი-ბერლინის ხაზი უკვე მოწყობილია ღამით გადაფრენებისათვის. ყველა თვითმფრინავებს აქვთ რადიო ტელეგრაფ. და რადიოტელეფონების სადგურები. (ადს).

საბჭოთა აზერბეიჯანის 7 წლის თავი

ა.-კ. სახკომსაბჭოს მისალმება აზერბეიჯანის სახკომსაბჭოსადმი

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომისართა საბჭო მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მეშვიდე წლისთავის სახელოვან დღეს მხურვალე სალამს უძღვნის წითელ აზერბეიჯანს. ბაქოს პროლეტარიატს, რომელიც ყოველთვის ამიერ-კავკასიის კლასობრივ ბრძოლის ავანგარდში იდგა, თავისი ბრძოლის პირველ დღეებიდანვე უხდებოდა ნაციონალური შუღლის და მტრობის იმ ატმოსფერის გაფანტვა, რომელსაც განზრახ ქმნიდა მეფის მთავრობა და შემდეგ მუსავატელები რევოლიუციის ჩასახშობათ. საბჭოთა აზერბეიჯანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა ნაციონალური შუღლის საბოლოო ლიკვიდაცია და ყველა ეროვნებათა მშრომელების ძმობის იდეის განხორციელება. დაამხო რა იმპერიალისტების და მუსავატელების ბატონობა, აზერბეიჯანის პროლეტარიატმა გამოგლიჯა ქვეყანა მონობის, უმეცრების, შიმშილის და ანარქიის ბრჭყალებიდან. საკმარისია აღვნიშნოთ ის, რომ მშრომელთა დაუღალავი შრომის და ენერგიის წყალობით ჩვენმა ქალაქმა ბაქომ ძლევამოსილად გაშალა თავისი სამრეწველო ფრთები. თავისი მუშათა ახალშენებით, ტრამვაით და სხვა მას შეუძლია მაგალითი მისცეს ევროპის სამრეწველო ცენტრებს. ბაქოს მისდევს აზერბეიჯანის მეორე სამრეწველო ცენტრი—განჯა, რომელიც სწრაფად და გადაუხვევლად მიდის ინდუსტრიალიზაციის გზით. აზერბეიჯანის მშრომელთა თავგანწირული შრომის წყალობით ნავთის მრეწველობა გასცილდა ომამდე არსებულ დონეს, სახალხო მეურნეობის ყველა დარგები აღდგენილია და გადაყვანილია ინდუსტრიალიზაციის ნიადაგზე, ჩაყრილია მტკიცე საფუძველი ქვეყნის შემდგომი კულტურული და ეკონომიური განვითარებისათვის და უზრუნველყოფილია მოსახლეობის მშვიდობიანი შრომა, ეროვნებათა ძმობა და ერთობა.

საბჭოთა აზერბეიჯანის შვიდი წლისთავი მისი მიღწევებით ისტორიული გამართლებაა ამიერ-კავკასიის ფედერაციის, რომლის შემდგომი განმტკიცება, როგორც სამეურნეო, ისე პოლიტიკური ხაზით, ჩვენს მორიგ ამოცანას წარმოადგენს.

საბჭოთა აზერბეიჯანის სახით, რომელმაც დასძლია მრავალრიცხოვანი ისტორიულად აუცილებელი დაბრკოლებები და სიძნელეები, რომელიც მემკვიდრეობით დაუტოვა მას მეფის და მუსავატელების რეჟიმმა, ახლო აღმოსავლეთის კარებთან ჩვენ გვაქვს იმ მრავალრიცხოვან ეროვნებათა ძმური თანაცხოვრების ნიმუში, რომელთაც აერთიანებს შრომის იდეალი და რომელნიც წარმოადგენენ იმპერიალიზმისა და ყოველგვარ ჩაგვრის წინააღმდეგ პროტესტის სიმბოლოს.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომისართა საბჭო ჭეშმარიტად ამაყობს დღეს თქვენი მიღწევებით და გისურვებს შემდგომ მიღწევებს სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელებთან ერთად.

ა.-კ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებელი **ბექზადიანი**.

საქართველოს სახკომსაბჭოს მისალმება

აზერბეიჯანის გასაბჭოების მეშვიდე წლისთავზე საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო მხურვალე სალამს უგზავნის აზერბეიჯანის მუშებს, გლეხებს და ყველა მშრომელებს და უსურვებს მათ გამარჯვებას ქვეყნის სამეურნეო და კულტურული განვითარების საქმეში.

გაუმარჯოს წითელ აზერბეიჯანს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას!

საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს მაგიერი **მგალობლიშვილი**.

ბეჭდვითი სიტყვა საქართველოში

(თეზისები)

1. ბეჭდვითი სიტყვა, ისე, როგორც კულტურული მშენებლობის სხვა ძირითადი დარგი, თანდათან ვითარდება და იზრდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებასთან ერთად. არც ერთ ხელისუფლების დროს საქართველოში არ ყოფილა ბეჭდვითი სიტყვის განვითარება ისე მძლავრი და ბეჭდვითი სიტყვა ისე მასიურ-პოპულიარული, როგორც ეს არის საბჭოთა წყობილების პირობებში.

მასიური ბეჭდვითი სიტყვა—ასეთია ჩვენი ლოზუნგი.

2. პერიოდულ გამოცემების მასსიურობის მაჩვენებელია მათი ტირაჟი. ამჟამად საქართველოში გამოდის 10 გაზეთი (ქართულ ენაზე 4, რუსულზე—2, სომხურზე—1, თურქულზე—1, ოსურზე—1; აფხაზურზე—1). ამ გაზეთების **ყოველდღიური** ტირაჟი უდრის 100.000 ცალს დაახლოვებით. პარტიისა და ხელისუფლების ცენტრალური ორგანო „კომუნისტი" იბეჭდება 25.000 ცალი, საგლეხო გაზეთი „ახალი სოფელი" 55.000 ცალი. პერიოდულ პრესის ტირაჟის ასეთი ზრდას წინეთ არ ჰქონია ადგილი. საქართველოში მენშევიკების დროს ყველა გაზეთების ყოველდღიური ტირაჟი ძლივს აღწევდა 25.000 ცალს.

3. ასევე ითქმის პერიოდულ გამოცემათა მეორე სახის— ჟურნალების შესახებაც. მათი საერთო თვიური ტირაჟი უდრის 127.550 ცალს. ამ ჟურნალების სისტემატიური გამოცემა მოწმობს, თუ რამდენათ ძლიერია საბჭოთა საქართველოში კულტურული აღმშენებლობა, კულტურულ ცხოვრების მაჯისცემა.

4. საბჭოთა-პარტიულ პერიოდულ ორგანოების წარმატება უფრო აშკარა ხდება, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ყველა ბეჭდვითი ორგანო ერთ მთავარ მიზანს ემსახურება—მასების კომუნისტურ აღზრდას, მათი კომუნისტურ გათვითცნობიერებას. „დემოკრატიულ"-საქართველოში არსებობდა მრავალი პოლიტიკური პარტია. ამ პარტიებს ჰქონდათ საკუთარი „გაზეთები", არსებობდა, როგორც ამბობდენ—„აზრთა ჭიდილი", „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება". მიუხედავად ამისა, მენშევიკურ ხელისუფლების დროს ბეჭდვითი სიტყვა მოკლებული იყო მკითხველთა ძირითად მასსას —მუშებსა და გლეხებს.

სულ სხვაა დღევანდელი მდგომარეობა. არ არის ჩვენში ბურჟუაზიულ პრესის თავისუფლება. პრესა თავისუფალია მუშებისა და გლეხებისათვის. ის გამოხატავს მუშებისა და გლეხების ინტერესებს. ამით აიხსნება მუშურ-გლეხური წითელი პრესის—სართოდ ბეჭდვითი სიტყვის—გამარჯვება ჩვენში.

5. ბეჭდვითი პერიოდულ ორგანოების გვერდით აღმოცენდა ბეჭდვითი სიტყვის ახალი ტიპის გამოცემები—**კედლის გაზეთები**. ამ სახის გაზეთს აქვს უდიდესი საზოგადოებრივი და კულტურული მნიშვნელობა. ასეთი სახის გაზეთის წარმოშობა-განვითარება არის უტყუარი საზომი მასსების პოლიტიკურ და კულტურულ დონის ამაღლების, გაფართოვების და სწრაფი ნაბიჯით ზრდის. კედლის გაზეთი ახალი მოვლენაა. ის გვიჩვენებს აგრეთვე მშრომელი მასსის აქტივობის განვითარებას, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის ყოველ დარგში. ამჟამად მთელ საქარ. გამოდის 800-მდე კედლის გაზეთი. კედლის გაზეთი იცემა არა მარტო დაბა ქალაქებში,—მიყრუებულ სოფლებშიაც კი.

6. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა აღინიშნოს მუშა და გლეხ კორესპონდენტების მოძრაობის ზრდა-განვითარება. ბუნებრივია, მასსიურ პრესას ყავს მასსიური მკითხველი და მასსიური თანამშრომელი. მუშკორებისა და გლეხკორების ორგანიზაციების აღმოცენება ნათლად ამტკიცებს იმას, რომ საბჭოთა-პარტიული პრესა, ფართო მასსების თვალში, არის სოციალისტური აღმშენებლობის მძლავრი იარაღი, ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი. საბჭოთა-პარტიულ პრესის გარშემო ამჟამად თავს იყრის 2.600 კორესპონდენტი (აქედან მარტო „ახალი სოფელი" აერთიანებს 1.300 გლეხ-კორესპონდენტს). ამას უნდა მიუმატოთ აგრეთვე კედლის გაზეთის კორესპონდენტებიც, რომელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება კედლის გაზეთების ქსელის გაფართოებასთან ერთად. მუშა და გლეხ-კორესპონდენტთა მოძრაობის პარალელურად ფეხს იკიდებს და ვითარდება ახკორთა და პიონერ კორესპონდენტთა მოძრაობაც. ახკომკავშირელ და პიონერ-გამოცემები აერთიანებს ახკორთა მუდმივ კადრს 150 წევრით, ხოლო თვით ახკორთა წრეებში გაერთიანებულია 1.200 ახკორი და პიკორი, რომლებიც მუშაობენ კედლის გაზეთებშიაც.

7. ფართო ნიადაგზეა დაყენებული აგრეთვე არა პერიოდული გამომცემლობა. საქართველოში არასოდეს არ გამოცემულა იმდენი წიგნი, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დროს. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ვითარდება არა პერიოდული გამომცემლობაც. ის ფაქტი, რომ წიგნის გამოცემის ორგანიზაციულად მოწყობის მიზნით, დაარსებულია მეტად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ორგანო—**სახელგამი** (სახელმწიფო გამომცემლობა), რომ წიგნის გამოცემით დაინტერესებულია თვითონ პროლეტარული სახელმწიფო—თავის თავად ლაპარაკობს საბჭოთა ხელისუფლების ნაყოფიერი და მეტად მნიშვნელოვანი მუშაობა ბეჭდვითი სიტყვის აღორძინების დარგში.

„დემოკრატიულ"-საქართველოში გამომცემლობას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. მენშევიკური ხელისუფლება გამომცემლობით არ იყო დაინტერესებული. მაშინ ეს კულტურული საქმე კერძო პირებისა და სპეკულიანტების ხელში იყო მოქცეული. ამით აიხსნება მეტად უმნიშვნელო პროდუქცია გამომცემლობის დარგში: სამი წლის განმავლობაში, მენშევიკური ხელისუფლების დროს გამოიცა სულ 558 სახელწოდების წიგნი 750.000 ტირაჟით.

როგორც ყველა დანარჩენ დარგში, ისე აღმშენებლობის ამ დარგშიაც შეუძლებელია დღევანდელი მიღწევების შედარება მენშევიკურ დროის „მიღწევებთან". მარტო სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა 687 სახელწოდების წიგნი 3.077.570 ტირაჟით.

8. ბეჭდვითი ნაწარმოების გამომცემლობის დარგში მოქმედებენ აგრეთვე სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები; მათ შორის აღსანიშნავია პროფკავშირების გამომცემლობა „შრომა". ამ ორგანიზაციის მიერ გამოცემულ იქნა 181 სახელწოდების წიგნი 246.200 ტირაჟით. დანარჩენ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კოოპერატიულ ორგანიზაციების მიერ გამოცემულ იქნა 850 სახელწოდების წიგნი 2.550.000 ტირაჟით.

ამრიგად, გამომცემლობის საერთო პროდუქცია 1927 წ. 1-ლ იანვრისათვის საბჭოთა საქართველოში უდრის 1.618 წიგნს, 5.878.770 ტირაჟით.

9. ყურადღება ექცევა აგრეთვე ეროვნულ-უმცირესობათა ლიტერატურას. მართალია ამ დარგში ჯერ კიდევ არ გვაქვს დიდი მიღწევები. მუშაობას აფერხებს ტეხნიკური დაბრკოლებები და ინტელიგენტური ძალების სისუსტე ეროვნულ-უმცირესობათა წრიდან. მიუხედავად ამისა, ეროვნულ-უმცირესობათა უზრუნველყოფა სათანადო ლიტერატურით გაცილებით მაღლა სდგას, ვინემ ეს იყო მენშევიკურ საქართველოში. აფხაზურ ენაზე გამოდის ერთი გაზეთი, ოსურზე—1, სომხურზე—1, ჟურნალი ბავშვთათვის. იცემა აგრეთვე წიგნები და ბროშურები. ამის გარდა, მეზობელ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებიდან შემოგვაქვს ლიტერატურა ადგილობრივ ეროვნულ-უმცირესობათა კულტურულ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

10. თანდათანობით ვითარდება და ძლიერდება მწერლობაც. მწერლებ შორის ადგილი აქვს დიფერენციაციას. მწერლებში ჩვენ ვამჩნევთ სამ კატეგორიას: 1-ლი—არსებულ წყობილების აქტიური დამცველნი, მე-რე—მომხრენი და მე-3 —მოწინააღმდეგენი. მწერლების 1-ლ კატეგორიას მიეკუთვნება პროლეტარული მწერლობა, რომელიც ხელოვნებაში პროლეტარული იდეოლოგიის გამომხატველია და რომელმაც უნდა მოიპოვოს მომავალში ჰეგემონია მწერლობაში. პროლეტარული მწერლობა იზრდება, როგორც რიცხობრივათ, ისე თვისობრივათ. მწერლების მეორე კატეგორია, რომელიც ცნობილია „რევოლიუციის ლიტერატურული თანამგზავრების" სახელწოდებით, სდგას საბჭოთა წყობილების ნიადაგზე და სცდილობს თანამედროვეობა გააშუქოს რევოლიუციის მიმღების თვალსაზრისით. მესამე კატეგორიის მწერალნი „შეურიგებლობის" პოზიციას იცავენ. ასეთი მწერლების რიცხვი უმნიშვნელოა და მათ შორის არ არიან თვალსაჩინო მწერლები.

11. ბეჭდვითი სიტყვის შემდეგი ზრდისა და განვითარების სფეროში ჩვენი ამოცანაა: ა) ბეჭდვითი ნაწარმოებთა მასსიურ გავრცელების საბოლოო მოგვარება; ბ) მუშა და გლეხ-კორესპონდენტთა მოძრაობის ორგანიზაციულად ჩამოყალიბება და ხელის შეწყობა ამ მოძრაობის, როგორც რიცხობრივათ, ისე—უმთავრესად—ხარისხობრივ ზრდისათვის; გ) საბჭოთა-პარტიულ პრესის ნაკლულოვანებათა აღნუსხვა და ზომების მიღება მათ გამოსასწორებლად; დ) სისტემატიური აგიტაცია-პროპაგანდის წარმოება მოსახლეობის ფართო ფენებში ბეჭდვითი სიტყვის როლისა და მნიშვნელობის შესახებ სოციალისტური კულტურის მშენებლობის საქმეში.

ს. კ. პ. (ბ.) ც. კ. ბეჭდვითი სიტყვის განყოფილება.

პარტიული ცხოვრება

ფუფუნების მოყვარულნი სასტიკად დაისჯებიან

საკ. კომპ. ცენტ. საკ. კომისიის დადგენილება

მოსკოვი, 28 აპრილი, გამოქვეყნდა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის შემდეგი დადგენილება:

„მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს არა ერთხელ გაუფრთხილებიათ და დაუსჯიათ ის ამხანაგები, რომლებიც შემჩნეულ იყვნენ თანხების უკანონოდ ხარჯვაში, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია კვლავ მიუთითებს დაუშვებელ ფუფუნებაზე საზღვარ-გარეთ მივლინებულ ამხანაგების მხრივ. მთელი რიგი ამხანაგები, რომელნიც საზღვარ-გარეთ არიან მივლინებულნი, გვერდს უხვევენ პარტიის გადაწყვეტილებებს სახელმწიფო თანხების ხარჯვაში მკაცრი მომჭირნეობის დაცვის შესახებ.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ სათანადოთ დასაჯა პარტიის ის წევრები, რომელნიც შენიშნული იყვნენ აღნიშნულ საქციელში. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია იძლევიან გაფრთხილებას, რომ უცხოეთში მივლინებული თვითეული ამხანაგი, რომელიც დაუშვებს თანხების მიზანშეუწონლად ხარჯვას, მიცემულ იქნება სასტიკ პასუხისგებაში, თვით პარტიიდან გამორიცხვამდი და სასამართლოში გადაცემამდე". (ადს).

ქალი კოოპერაციაში

ქალის მონაწილეობის სისუსტე საერთო აღმშენებლობის საქმეში და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაობაში საყოველთაოთ ცნობილი ფაქტია. ამ მდგომარეობას აქვს თავისი გასამართლებელი. მიზეზები, რომლებზედაც არა ერთხელ შეუჩერებია ყურადღება ჩვენს პრესას. ამიტომ ჩვენ ამ მიზეზების გამორკვევას ეხლა არ შეუდგებით.

ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს ქალის მონაწილეობა კოოპერაციაში როგორც საზოგადო მოვლენა, ქალი არ სჩანს ან ნაკლებათ სჩანს კოოპერატიულ მუშაობაშიაც. და ეს მაშინ, როცა სწორეთ ამ დარგში ქალს უდიდესი სამსახურის გაწევა შეეძლო კოოპერატიულ საქმისათვის,

გაფლანგვების სტატისტიკამ არა ერთხელ ცხადჰყო, რომ ქალი დიდ მუყაითობას და მომჭირნეობას იჩენს საქმეში. ის თავის მოვალეობის კეთილსინდისიერათ შესრულების მხრივ არა თუ ჩამორჩება მამაკაცს, არამედ ხშირად გაცილებით წინ უსწრებს მას.

კერძოთ კოოპერაციაში, რომელიც სამეურნეო ორგანიზაციას წარმოადგენს, მშრომელ ქალს უთუოდ შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს საქმეს. ის, როგორც მეოჯახე, როგორც დიასახლისი გამოჩვეულია მომჭირნეობაში და საქონლის მოვლა-პატრონობაში. გამოცდილებით ვიცით, რომ იქ, სადაც კოოპერატივში მუშაობდა ქალი, მან სავსებით გაამართლა იმედები. მიუხედავად ამისა ქალთა კოოპერატივის პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმას არ ექცევა სათანადო ყურადღება ჩვენი პარტიული და კოოპერატიულ ორგანოების მიერ. ამ გარემოებას განსაკუთრებით აღნიშნავს საკავშ. ცეკას ქალთა განყოფილების დადგენილება. ამ დადგენილების თანახმად ბოლო უნდა მოეღოს ქალების კოოპერაციაში მონაწილეობისადმი გულგრილ დამოკიდებულებას.

პარტიულ ორგანიზაციებმა ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. მათ ყოველი ღონე უნდა მიიღონ მუშა და გლეხ ქალების ჩასაბმელად კოოპერატიულ მუშაობაში. ამით ჩვენ, გარდა იმისა, რომ ხელს შევუწყობთ ქალთა მშრომელი მასების საზოგადოებრივათ აღზრდას, დიდ სამსახურს გაუწევთ თვით კოოპერატიულ მშენებლობის საქმესაც.

დ. ბ—შე.

პარტგანათლების საქმე ჩვენს ორგანიზაციაში

(აჭარის წყალის მაზრა)

პარტ-განმანათლებელ მუშაობას აჭარის წყლის მაზრაში სისტემატიური ხასიათი მიეცა მხოლოდ გასული წლის ოქტომბრიდან.

15 ოქტომბრიდან დაარსდა მოძრავი პოლიტ-სკოლა დაბა აჭარის წყალში მეცადინეობამ გასტანა 2 ნახევარი თვე.

მეორე მოძრავი პოლიტ-სკოლა დაარსდა ს. ქვ., მარადიდში, 1-ლ იანვრიდან მეცადინეობამ აქაც 2½ თვეს გასტანა. ვინაიდან პოლიტმომზადების დონე ძლიერ დაბალი იყო, საქმის ინტერესები მოითხოვდა მეცადინეობა 1½ თვით გაგრძელებულიყო. ამ ხნის განმავლობაში მსმენელთა მიერ პოლიტ-ცოდნის მოძრავი სკოლის კურსი სრულად იქნა შეთვისებული. შესწავლილ იქნა ს. კ. პ. (ბ) მე-15 პარტკონფერენციის, კომინტერნის აღმასკომის მე-5 გაფართოებული პლენუმის და ს. კ. პ. (ბ) აჭარისტანის მე9 საოლქო პარტკონფერენციის დადგენილებები. მეცადინეობა სწარმოებდა საუბრის და ცოცხალი კითხვა-პასუხის მეთოდით, მსმენელები სისტემატიურათ ესწრებოდნენ მეცადინეობას. მეცადინეობა სწარმოებდა კვირაში 4-ჯერ.

პროგრამის გარდა შესწავლილ იქნა წიგნის და გაზეთების გამოყენების ტეხნიკა, რომ მსმენელებმა შესძლონ თვითგანვითარებით მუშაობის წარმოება.

აჭარის-წყალზე დამთავრა მეცადინეობა 34 მსმენელმა. ამათში, კომუნისტები—23, ახ. ლ. კ. კ-ის წევრები—6, უპარტიოები—5, სოციალური შემადგენლობით გარდა 5-სა, გლეხები არიან.

ამ რიცხვში არის 5 ქალი, დანარჩენი მამაკაცებია. მარადიდში მეცადინეობა დაასრულა 30 მსმენელმა, ამათში კომპარტიის წევრებია—10, კანდიდატი—4, ახ. ლ. კ. კ-ის წევრები—10 და უპარტიონი—6. სოციალურ შემადგენლობით ყველა გლეხები. სკოლა-დამთავრებულ მსმენელთათვის მარადიდში და აჭარის-წყალზე ჩამოყალიბებული არის თვითგანვითარების წრეები, სადაც მეცადინეობა სწარმოებს განსაკუთრებულ პროგრამით, კვირაში თითო დღე. მოძრავი პოლიტ-სკოლა ეხლა დაარსდა მახუნცეთში, ელექტრო-სადგურის მუშებისათვის, სადაც მეცადინეობს 32 მსმენელი. მათში კომუნისტია—19, ახ. ლ. კ. კ. წევრი—8 და უპარტიო—5. მოძრავი პოლიტ-სკოლა ამართლებს მასზე დამყარებულ იმედებს, ღრმავდება პარტგანმანათლებელი მუშაობა, პოლიტ-ცოდნის ელემენტარული კურსის შეთვისება, პარტიული და კომკავშირის მუშაობის გამოცოცხლება ადგილებზე, პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის საკითხებში გარკვევა, სააგ.-საპრ. მუშაობის წარმოება, მიღებული ცოდნის გაღრმავება და ცხოვრებაში გამოყენება—აი შედეგები პარტ-განმანათლებელ მუშაობისა აჭარისტანის სინამდვილეში.

ჭოროხისპირელი.

ხელმძღვანელობა სუსტია

(თბილისის საბპარტსკოლის უჯრედი)

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის მეორე საფეხურის საბჭოთა პარტიულ სკოლაში უჯრედი დაარსდა გასული წლის ოქტომბერში. უჯრედში 40 წევრი და 15-ტი კანდიდატია.

უჯრედთან არსებობს აგიტპროპკომისია და ორგკომისია.

ამავე სკოლაში არსებობს ახ. ლ. კომ. კავშირის უჯრედი რომელსაც ჯეროვანი ყურადღება არა აქვს მიქცეული. კომკავშირის უჯრედი ვერ მუშაობს წესიერად. არ არის დისციპლინა და სხვა.

პარტუჯრედმა უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ამ უჯრედს. სამ თვეზე მეტია აგრეთვე რაც სკოლაში დაარსდა „რემედასი"-ს ორგანიზაცია, რომლის მუშაობა არა დამაკმაყოფილებელია. დღიდან ამ ორგანიზაციის დაარსებისა არც ერთჯერ არ ყოფილა ორგანიზაციის ბიუროს მიერ მოწვეული სხდომა. არ კეთდება მოხსენებები ამ ორგანიზაციის მნიშვნელობაზე. კომ. უჯრედმა ამასაც უნდა მიაქციოს ყურადღება

გ. ჯ—ძე.

როგორ მიმდინარეობს ქალთა შორის მუშაობა

(თბილისის ორგანიზაცია)

თბილისის მაზრაში ქალთა შორის მუშაობა 13 თემში სწარმოებს. ამ თემში 38 სადელეგატო პუნქტია ჩამოყალიბებული, რომლებშიც გაერთიანებულია 966 ქალი. მათი ნაციონალური შემადგენლობა ასეთია: ქართველები 481, სომხები—189, რუსები—118, თათრები—31, ბერძნები—100 და გერმანელები 47. სოციალური მდგომარეობით: ღარიბი გლეხის ქალები 637, საშუალო გლეხი—232, მოსამსახურე—44, დიასახლისი—8, ამათში წ. კ. უცოდინარი—418, დაბალი განათლებით—523, საშუალო—33, პარტიულობა: კომპარტიის წევრი—14, კომკავშირელი—48, უპარტიო 904, წლოვანობის მიხედვით: 16—22 წლამდის—256,23—40,600, 41—55 101. სადელეგატო პუნქტები ქართულ ენაზე არის 19, სომხურზე—6, რუსულზე—5, თათრულზე—1, ბერძნულზე—5, გერმანულზე—2; სულ კი 33. ხსენებულ პუნქტებს ხელმძღვანელობას უწევს ადგილებზე პარტიული ორგანიზაცია. უჯრედებიდან გამოყოფილი არიან პარტ ამხანაგები, რომლებიც ესწრებიან სადელეგატო კრებებს, ატარებენ საუბრებს და სხვა. გამოყოფილ ამხანაგებს თავის მხრივ ხელმძღვანელობს ქალთა განყოფილება. განყოფილებამ მოიწვია მათი თათბირი. სადაც მოსმენილი იქნა, როგორც მოხსენებები ადგილებიდან ისე საინსტრუქციო მოხსენება ქალთა შორის მუშაობის საკითხებზე.

ქალთა განყოფილებას, ყველა რაიონებში არა ჰყავს ჯამაგირიანი ქალ-ორგანიზატორები, მხოლოდ ამ თემში არის ასეთები. დანარჩენ თემში არსებულ სადელეგატო პუნქტებს ხელმძღვანელობენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები. სადელეგატო კრებებზე მეცადინეობა სწარმოებს პროგრამების მიხედვით. როგორც სჩანს ადგილებიდან მოწოდებულ ცნობებიდან მეცადინეობა მიმდინარეობს ნორმალურად.

ახალი მოწვევის დელეგატი ქალები მიმაგრებული არიან სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე. ისინი მუშაობენ კოოპერატივების გამგეობებში, გლეხკომებში, საბჭოებში, აღმასკომში და სხვადასხვა სექციებში.

ასეთ საზოგადოებებში ჩაბმულ ქალთა აღრიცხვას ქალთა განყოფილება თანდათანობით შეუდგება.

ქ—ია.

წინათ და ეხლა

(ზუგდიდის მაზრა)

1925—26 წ. დაარსდა სადელეგატო კრება, ესწრებოდენ კრებებს ძალიან ცოტა, ხელმძღვანელობაც მოიკოჭლებდა და სადელეგატო კრება ვერ მუშაობდა შესაფერისად. წელს მდგომარეობა შედარებით გამოსწორებულია. 1926—27 წ. მოწვევის დელეგატ ქალთა რიცხვი უდრის 40-ს. კრებებს ესწრება საშუალოდ 25 დელეგატი. ხელმძღვანელობაც კარგია გასულ წლებთან შედარებით. მეცადინეობას აქვს სისტემატიური ხასიათი და სწარმოებს პროგრამის მიხედვით. ვრცელდება 60 ცალი ჟურნალი „მშრომელი ქალი".

მაზრის ქალთა განყოფილებამ მიამაგრა დელეგატ ქალები პრაქტიკულ სამუშაოებზე სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციებში, მაგრამ დაწესებულებები არ აძლევენ საქმეს მიმაგრებულებს და დელეგატი ქალები რჩებიან პრაქტიკულ მუშაობის გარეშე;

მეორე ნაკლი არის ის, რომ დელეგატი ქალები არ არიან ჩაბმული წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლებში, ვინაიდან ასეთი სკოლა ჩვენს თემში არ დაუარსებია არც ადგილობრივ ხელისუფლებას და არც სამაზრო პოლიტგანს. თემში კი წერა-კითხვის უცოდინარია არა ნაკლებ 50 პროცენტისა, იმედია მომავალში ეს ნაკლი გამოსწორდება.

წინათ ქალებს ვერ ნახავდით საზოგადო კრებებზე და სამუშაოებზე. დღეს ამ მხრივაც გამოკეთდა საქმე, არც ერთი კამპანია არ ტარდება ქალის მონაწილეობის გარეშე. ამას ადასტურებს ქალების მონაწილეობა საბჭოთა არჩევნებში. არც ქალთა საერთაშორისო დღე რვა მარტს გაუვლია ყურადღების გარეშე. მოწვეული იყო ამ დღის აღსანიშნავათ თემ-საბჭოს საზეიმო სხდომა.

მუშაობას გამოცოცხლება ეტყობა, ადგილობრივი ამხანაგებიც ყურადღებით ეკიდებიან ამ საქმეს, მაზრიდან ხელმძღვანელობაც კარგი გვაქვს, მართალია ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს, მაგრამ იმედია გამოვასწორებთ მათ ენერგიული მუშაობით.

პ. კ—ა.

ფასების დაკლებისათვის

ფასების დაკლება და მუშის ბიუჯეტი

ფასების დაკლების კამპანიამ ერთ- ერთ შედეგად უნდა გამოიღოს საბიუჯეტო შენაკრების ღირებულების შემცირება და მუშა - მოსამსახურეთა რეალური სამუშაო ხელფასის სათანადო ზრდა. ამ კამპანიამ, რომელსაც ატარებს კოოპერაცია საცალო ვაჭრობაში, პირველ ყოვლისა თავისი გამოხატულება უნდა ჰპოვოს კოოპერაციის ძირითადი მომხმარებლის, მუშის ოჯახის ბიუჯეტში.

1926 წ. ნოემბერს თბილისში გამოკვლეულ იქნა მუშების ბიუჯეტი. ამ გამოკვლევის წინასწარი მასალებით აღმოჩნდა, რომ მუშის ოჯახი ბაზარზე იძენს მისთვის საჭირო მოხმარების საგნებს საშუალოდ თვეში 65 მან. და 79 კაპ. (აქ შედის როგორც საკვები პროდუქტები, ისე პირველი მოხმარების დანარჩენი საგნებიც). ამ თანხიდან თავისუფალ ბაზარზე შეძენილია 44 მან. და 17 კაპ. საქონელი (67,2 პროც.), კოოპერაციაში — 15 მან. 57 კაპ. (26,7 პროც. *) და სახ. სავაჭროებში — 4 მან. 05 კაპ. (6,1 პროც.). ამნაირად მუშის ოჯახის მიერ დახარჯული თანხის 2 მესამედი მიდის თავისუფალ ბაზარზე

იმის მიზეზი, რომ მუშათა მოსახლეობა, მიუხედავათ ფასების სიდიდისა, იძულებულია მიმართოს თავისუფალ ბაზარს, უნდა ვეძიოთ, ორ მოვლენაში:

პირველი — ეს ის, რომ ხშირად კოოპერაციას არა აქვს ის საქონელი, რომელზედაც დიდია მუშათა მოსახლეობის მოთხოვნილება. უმეტესად ეს ნაკლებობა საგრძნობია სასოფლო - სამეურნეო საქონელზე, რადგან აქ კოოპერაციას სუსტად აქვს განვითარებული თავისი ოპერაციები. სასოფლო - სამეურნეო საქონლის წილი მუშკოოპის სავაჭრო ბრუნვაში შეადგენს მხოლოდ 38,98 პროც-ს, იმ დროს, როდესაც მუშის ოჯახი თავის საბაზრო ბიუჯეტის 59,8 პროც-ს ხარჯავს სწორედ ამ საქონელზე. ბუნებრივია, რომ მუშის ოჯახი მაშინ, როდესაც კოოპერაციას არა აქვს მასიური და სისტემატიური მოხმარების ესა თუ ის საქონელი იძულებულია მიმართოს თავისუფალ ბაზარს.

მეორე, ჩვენის აზრით, გადამწყვეტ მიზეზს იმისას, თუ მუშური მოსახლეობა რატომ მიმართავს უმთავრესად თავისუფალ ბაზარს, წარმოადგენს წვრილი სადუქნო ნისიობის განუვითარებლობა კოოპერაციაში, იმ დროს, როდესაც კერძო მოვაჭრე ნისიად აძლევს საქონელს მუშის ოჯახს.

ამავე საბიუჯეტო გამოკვლევის მასალებით ირკვევა, რომ მოხმარების საგნების საერთო ღირებულებიდან, 27 მან. 05 კაპ. (41,1 პროც.) მოდის მუშის ოჯახის მიერ ნისიად შეძენილ საქონელზე. აქედან ეს ნისია ნაწილდება შემდეგნაირად: თავისუფალ ბაზარზე შეძენილია 18 მან. 72 კაპ. (69,2 პროც.) საქონელი, კოოპერაციაში — 5 მან. 87 კაპ. (21,7 პროც.) და სახ. სავაჭროებში 2 მან. 46 კაპ. (9,1 პროც.). ამასთან უკანასკნელის შესახებ უნდა ითქვას, რომ საქონლის ნისიად გაცემაში სახ. სავაჭროების მონაწილეობის ნოემბრის მაჩვენებელი არ არის დამახასიათებელი, რადგან ამ თვეში, ზამთრის მოახლოვების გამო, სწარმოებდა მუშებისათვის შეშის ნისიად დარიგება.

თუ მხედველობაში მივიღებთ ზემონათქვამს, კიდევ რამოდენიმეთ გაიზრდება კერძო ვაჭრის მონაწილეობის წილი მუშის ოჯახისათვის საქონლის ნისიად გაცემაში.

ამნაირად, საბიუჯეტო გამოკვლევით მტკიცდება ის ფაქტი, რომ მუშის ოჯახის მიერ დახარჯულ საშუალებათა მნიშვნელოვანი ნაწილი მიდის კერძო ვაჭართან ზემოაღნიშნული ორი გარემოების გამო: პირველი — კოოპერაციის საქონლის ასორტიმენტის შეუფარდებლობა მუშის სამომხმარებლო საქონელთან და, მეორე წვრილი სადუქნო ნისიის უქონლობა. ეს მნიშვნელოვნად ეღობება წინ მუშის საშუალებათა ფართოდ ჩაბმას კოოპერატიულ ბრუნვაში და უარყოფით გავლენას ახდენს მუშის ბიუჯეტზე, რადგან თავისუფალ ბაზრის ფასები, როგორც კანონი, მუდამ მაღალი იქნება კოოპერატიულ ფასებზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მუშის ოჯახი ნისიად იღებს საქონელს თავისუფალ ბაზარზე.

ფასების დაკლებასთან ერთად, კოოპერაციამ ეს საკითხებიც უნდა გადასწყვიტოს.

ტან.

---

*) მუშკოოპის ანგარიშის მიხედვით 1925—26 წლებში თბილისის სამომხმარებლო მოთხოვნილება მუშკოოპმა დააკმაყოფილა 26,3 პროცენტით.

რა მოგვცა ფასების დაკლების კამპანიამ

მიმდინარე წლის დამდეგისათვის საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ გამოცემულ იქნა დირექტივა სამრეწველო საქონელზე 1-ლ ივნისამდე ფასების 10 პროცენტით დაკლების შესახებ. ამიერ - კავკასიის შინავაჭრობის სახ. კომისარიატში მიღებული ცნობებით, აღნიშნული დირექტივის შესასრულებლათ 1-ლ მარტამდე ფასების დაკლება ყველა სამრეწველო საგნებზე უნდა მომხდარიყო საშუალოდ 3 პროცენტის რაოდენობით. ამ ხნის განმავლობაში საქართველოში შესრულდა შემდეგი მუშაობა:

საპონ - ზეთის ტრესტის პროდუქციაზე ფასების დაკლების კამპანია იძლევა შემდეგ სურათს: საპონზე საშუალოთ — 2,4 პროც., „უმიხაზე" — 28 პროც., ზეთზე (საშუალოთ)—38 პროც.

ტყავტრესტის პროდუქციაზე. — ლანჩაზე— 5 პროც., ფეხსაცმელებზე 3 პროცენტიდან—5 პროცენტამდე, ტყავეულობის ნაწარმოებზე და ეტლების მორთულობაზე — 5 პროცენტით და ნაჭერ ტყავებზე — 3 პროც.

სახ. სათამბაქოს დარგში გაიაფდა — ნავთი 12,5 პროც., დანარჩენი პროდუქტები 5 პროც. პროდუქტებით ვაჭრობისაგან მიღებულმა მოგებამ დაიკლო 5 პროცენტიდან 3,5 პროცენტამდე.

სახ. სასწორის დარგში, გაიაფდა „ფერშენკსის" სისტემის სასწორები 3 პროც.—4 პროც. „ვრესს"-ის სისტემის სასწორები 6 პროცენტით.

თამბაქოს ტრესტის დარგში: უმ. ხარისხის პაპიროსები 8 პროც., 1-ლი ხარისხის—5 პროც., მე-2 ხარისხ. — 4 პროც., მე-3 ხარისხისა—11 პროც., სიჩიბუხე თამბაქო 10—15 პროც., ქაღალთ ნაკეთები პაპიროსები—20 პროც.

სატყეო მრეწველობის ტრესტის დარგში— 1-ლი ხარისხის სატყეო მასალა — 7,7 პროც., მეორე ხარისხის მასალა — 4.5 პროცენტით.

ლითონტრესტის დარგში: სპილენძზე — 5 პროც., რკინის საწოლებზე—5 პროცენტით.

სამომხმარებლო კოოპერაციაში ფასების დაკლების კამპანიამ მოგვცა პირველი პერიოდისათვის 5,7 პროცენტი.

სახელმწიფო საპაიო ამხანაგობის („გრუზგოსტორგ") მაღაზიაში დაკლებულ იქნა ფასები — მანუფაქტურაზე — 5.3 პროც., გალანტერიაზე — 2,3 პროც., საპონზე — 12,5 პროც., ჭურჭელეულობაზე — 1.3 პროც.

თბილისის ვაჭრობის („ტიფტორგ") მაღაზიაში: სხვადასხვა ხარისხის რკინეულობაზე—1 პროც., სპილენძის ჭურჭელეულზე—3 პროც., ფაიანსის ნაწარმოებზე — 5 პროც., ფეხსაცმელებზე — 7 პროც., ტყავეულობის ნაწარმოებზე—5 პროც.

ამგვარად მარტო თბილისში სამომხმარებლო კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის რგოლებში, შრომისა და თავდაცვის საბჭოს დირექტივის შესასრულებლად გატარებულია ფასების დაკლება საშუალოთ —6 პროცენტით.

ფასების დაკლების კამპანიის მსვლელობის თვალყურის დევნების მიზნით შინავაჭრობის კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოში, მუშ. და გლ. ინსპექციისა და პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად მოახდინა კამპანიის მსვლელობის გამოკვლევა ადგილებზე. გამოკვლევის მოხდენის დროს შეგროვილმა მასალებმა დაადასტურეს, რომ წინასწარ შეკრებილი მასალები სრულებით შეეფერება სინამდვილეს და არსად გადაჭარბებას არა აქვს ადგილი.

ფასების დაკლების შედეგები ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის ფასების დამკლებმა საუწყებათაშორისო კომისიამ გამოიანგარიშა ფასების დაკლების შედეგები ამიერ-კავკასიაში. ივნისის ფასებიდან შედარებით ფასები მანუფაქტურაზე დაკლებულია ქალაქებში 11 პროცენტიდან 8 პროცენტამდე სოფლებში., შაქარზე—6 პროცენტიდან—6,5 პროცენტამდე, ხე-ტყის მასალაზე—10 პროცენტამდე, ფეხსაცმელზე—ხუთიდან—10 პროცენტამდე ტყავეულობის ნაწარმოებზე — სამიდან 8 პროც. და მახორკაზე—6,2 პროცენტამდე, სილიკატის მრეწველობის პროდუქციაზე ფასები დაკლებულია ხუთიდან 10 პროც.

თვითღირებულებაზე დანართი ხარჯების შემცირების საშუალებით 3 პროცენტით ფასები დაკლებულია ფერად ლითონების ნახევრად ფაბრიკატებზე და ლამპა-ჭურჭლეულობის ნაკეთობაზე. ამიერ-კავკასიის წიგნების კოოპერატ. გამომცემლობა—სავაჭრო „ზაკკნიგას" მიერ საკანცელარიო ნივთებზე ფასები დაკლებულია 4,5 პროც.

„ცენტრობუმტრესტ"-მა შეამცირა როგორც საბითუმო, ისე საცალო ფასები ქაღალდსა და კარდონზე 4 პროცენტით. გარდა ამისა „სოვტორგფლოტ"-ისა და სააქციო საზოგადოება „ტრანსპორტ"-ის წარმომადგენლების მონაწილეობით გამომუშავებულია ნიხრის პროექტი ბარგის შენახვისათვის ამიერ-კავკასის ს. ფ. ს. რ-ის ტერიტორიაზე. ახალი ნიხრი ბარგის შესანახი ფასები შემცირებულია 20 პროც-დე.

ჯრეხა

ფასების დაკლება და აწევა

ფასების დაკლების მხრივ ჩვენ უკვე გვაქვს ერთგვარი მიღწევები. მომხმარებელმა ნაწილობრივ უკვე იგრძნო მრავალ პირველ საჭიროების საგნებზე ფასების დაკლება. მაგრამ არის მთელი რიგი საქონლისა, რომელზედაც ფასები არა თუ არ დაკლებულა, პირიქით გაიზარდა კიდეც. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას საალმშენებლო მასალაზე. რაც უფრო ახლოვდება ზაფხული, მით უფრო მატულობს ფასები საალმშენებლო მასალაზე. ამრიგად მთელ რიგ დაწესებულებებს თუ ორგანიზაციებს, რომელნიც აწარმოებენ საბინაო აღმშენებლობას, ეს გარემოება სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნის.

ამის შესახებ გაზეთი „ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-ი შემდეგს სწერს:

„ფასები საალმშენებლო მასალაზე იშვიათი სისწრაფით იზრდებიან. ჯერ კიდევ შარშან ზაფხულ 100 ცალი აგური ღირდა 28 მანეთი, წელს კი—37 მანეთი ღირს... ფასების ამგვარი სიდიდე დიდ საფრთხეს წარმოადგენს საალმშენებლო სეზონისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ფასების სიდიდე სრულიად არ შეეფერება აგურის ღირებულებას. აგური თანდათან ცუდი ღირსების ხდება.

მეორე საალმშენებლო მასალა, კირიც კარგა გაძვირდა. შარშან ფუთი ღირდა 23 კაპ. წელს კი—28-30 კაპეიკი ღირს. საქმე კარგათ არაა დაყენებული ლითონის საალმშენებლო მასალების დარგში".

გაზეთი ჩამოთვლის აგრეთვე ფასების მნიშვნელოვანად აწევას სხვა სახის საალმშენებლო მასალაზე და დასკვნის, რომ თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება აქედანვე იქვე შევეჯახოთ საალმშენებლო სეზონის წარმატების დასრულებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს არა მარტო საალმშენებლო, არამედ სხვა სახის საქონელზეც, რომელზედაც ჩვენი სავაჭრო ორგანოები ხშირათ უმატებენ ფასს, რომ ამით აინაზღაურონ სხვა საქონელზე ფასების დაკლებით მიღებული დანაკლისი. თუ ასეთ კომბინაციებს ჩვენ ბოლო არ მოუღეთ, რასაკვირველია, არ უნდა მოველოდეთ ფასების დაკლების კამპანიაზე დამყარებულ იმედების გამართლებას.

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
მაისისათვის
კანტორა ა-რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ახალი სკოლა

ფოთი, 28 აპრილი. დასრულდა ახალი ოთხ წლედი სკოლის შენობის აგება. შენობაზე აღმასკომმა დახარჯა 20.000 მანეთი. სკოლა გაიხსნება 1-ლ მაისს. (ადს).

სეტყვა

თელავი, 28 აპრილი. 22—23 აპრილს თელავის რაიონში მოვიდა დიდი სეტყვა. დასეტყვილია ჩარკისი სოფ. კურდღელაურსა და შალაურში. ვაზი ახალი გაფურჩქნული იყო და ამიტომ გადაურჩა სრულ დაღუპვას. მოსავლის ერთი მესამედი მაინც დაიღუპა. (ადს).

ბაღი ბარი უბანში

თელავი, 28 აპრილი. წითელ ქალაქში (თელევის გარეუბანი) დაბანაკებულმა ცხენოსანმა ათასეულმა გააშენა ერთი დესეტინა ბაღი დეკორატიული მცენარეულობით. მუშაობას ხელმძღვანელობდნენ აგრონომი - წითელარმიელები. (ადს).

აჭარისტანი

„გროზნეფტი"-ს მოსვლა ბათუმში

ბათუმი, 28 აპრილი. დღეს დილით ლენინგრადიდან ბათუმში მოვიდა მეორე თბომავალი „გროზნეფტი", იმავე ტიპის, რაც წინად მოსული „აზნეფტი". ორივე თბომავალი, 5.000 ტონის ტვირთმწეობით თვითეული, გადაეცა ნავთის სინდიკატის საზღვაო განყოფილებას განკარგულებაში, ნავთის პროდუქტების საექსპორტოდ საზღვარგარეთ.

დაიწყო „გროზნეფტის" ტეხნიკური შემოწმება.

„აზნეფტმა" წაიღო მაზუთი ჰამბურგში.

აფხაზეთი

აგურის პირველი პარტია

სოხუმი, 27 აპრილი. ამ დღეებში სააღმშენებლო მასალების სავაჭრო სამმართველო უშვებს გასაყიდათ აგურის პირველ პარტიას, 100.000 ცალის რაოდენობით. აგური დამზადებულია საკუთარ ქარხანაში გულრიფშის ახლოს. (ადს).

წერილები

ექიმბაშების „მოღვაწეობა" სოფლად

ექიმბაშების თავისუფალი თარეში—ჩვენი სოფლის ერთ-ერთი მტკივანი ადგილი.

— რა საჭიროა ექიმი, მას ცალკე ფული უნდა მისცე, წამალი უნდა იყიდო; ჯერ ექიმის მოყვანისთვის უნდა გაატარო დრო, შემდეგ წამლის ყიდვისთვის, ყველას სჯობიან აგერ ჩვენი მეზობელი ქალი, დღეში სამჯერ ივლის ოჯახში, წამალიც თვითონ აქვს და ყველაფერი; ფული არ გექნება სხვა რამ მიეცი—გოჭი, ქათამი, რაც კი მოიპოვება ოჯახში.

ამით ბრიყვდება საწყალი გლეხი, თავს ანებებს ექიმის მოყვანას და უვარდება ხელში ექიმბაშს. ხარჯი ხარჯზე მოდის გლეხს, ავადმყოფი კი. თავისთავად ცხადია, არ რჩება. რამდენი ესალმება ამნაირი ექიმბაშით წუთი სოფელს, რამდენი დაავადმყოფდება და მახინჯდება.

ამ ბოლო დროს კიდევ ერთი „განათლება" შემოვიდა, სოფლად გახშირდა მუცლის მოშლა.

— დაიტანჯე ქალი, რათ გინდა ამდენი შვილი, მოიშალე მუცელი, აგერ ისეთ წამალს დაგალევინებ, რომ ვერაფერს შეიტყობ ისე განთავისუფლებ ფეხმძიმეობისაგან, ელაპარაკება ექიმბაში მეზობელ ქალს. ეს უკანასკნელიც ბრიყვდება, მიმართავს ექიმბაშს. არა ერთი და ორი ახალგაზრდა ქალი დაავადმყოფებულა, ან სამუდამოდ მოშორებია ექიმბაშის წყალობით ოჯახს.

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება გლეხკორესპონდენტის კორესპონდენცია საგარეჯოდან, რომელშიც ის აღნიშნავს, სოფ. ნინოწმინდაში ერთ-ერთმა გლეხმა განაცხადა გლეხკომში, რომ ექიმბაშს „ჩემი ცოლისთვის რაღაც წამალი დაულევინებია, მუცელი მოუწყვეტია და ლამის ხელიდან გამომეცალოსო".

ეს მარტო საგარეჯოს თემში არ ხდება. ასეთი მოვლენას ხშირად აქვს ადგილი როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს სოფლებში. ამ მდგომარეობის უყურადღებოდ დატოვება დაუშვებელია. ერთის მხრით, საჭიროა ექიმბაშების წინააღმდეგ სასტიკი ადმინისტრატიული ზომების მიღება, ამ მხრით არ უნდა იქნეს დაშვებული არავითარი სისუსტე.. მეორეს მხრით.—გლეხობაში უნდა გავაძლიეროთ მუშაობა, უნდა ახსნა-განმარტებით დავუმტკიცოთ გლეხობას, თუ რა ზიანს აყენებენ ექიმბაშები ჯანმრთელობის საქმეს. აქ საჭიროა იმ აურაცხელი მაგალითების მოყვანა ექიმბაშების „მოღვაწეობიდან", რომელსაც ყოველდღე ვხვდებით სოფლად. ამ მხრით პირველად ყოვლისა, გამოყენებული უნდა იქნეს ექიმები, რომლებმაც სისტემატიურად უნდა იკითხონ პოპულარული ლექციები სხვადასხვა ავადმყოფობისა და მათი აქამობის შესახებ. ამნაირი ზომებით უნდა აღმოვფხვრათ სოფლად ექიმბაშების თარეში.

ე.

„ლუკმა გავარდეს — ჯამში ჩავარდეს"

(დ. ლაილაში, ლეჩ. მაზრა)

ლაილაშის საკრედიტო ამხანაგობამ მიიღო თანხა ულარიბეს გლეხობაზე გრძელვადიანი სესხის გასაცემათ. სესხის გასანაწილებლად საკრედიტო ამხანაგობის გამგეობამ გამოყო კომისია, რომელშიაც შედიოდა 5 კაცი. კომისიის წევრები ერთობ მოხერხებული ხალხი გამოდგა, მათ არ უღალატეს ანდაზას: „ლუკმა, გავარდეს — ჯამში ჩავარდესო" და მთელი თანხა თავის ბიძაშვილებსა და მამიდაშვილებს დაურიგეს, ულარიბესი გლეხობა კი ხაზს მშრალი დარჩა. ასეთი მოქმედებით ძალიან აღშფოთებულია ლაილაშის თემის გლეხობა, მაგრამ კომისიის წევრებს ყურსაც არ იბერტყავენ, ალბათ ფიქრობენ: „სოფელი ვანახე უძაღლო შიგ გავიარე უჯოხოთო". ჩვენ კი გვგონია, რომ სათანადო ორგანო დამსახურებისამებრ „მოექცევა ამ „ბატონებს".

იქები.

ექიმბაში კევლიშვილი

საგარეჯო. (გარე-კახეთი)

ამ ორი დღის წინად საგარეჯოს გლეხკომში შავიდა სოფ. ნინოწმინდის მცხოვრები იაგორ როსტომაშვილი, რომელმაც გლეხკომს მოსთხოვა სიღარიბის მოწმობა თავისი ცოლისთვის თბილისის საავადმყოფოში მოსათავსებლად. გლეხკომის თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ რითია ავად, როსტომაშვილი უპასუხებს: „ემბაკმა არ იცის იმ ექიმბაშ ბებია-ქალის თავი", ჩემი ცოლისათვის რაღაც წამალი დაულევინებია, მუცელი მოუწყვეტია და ლამის ხელიდან გამომეცალოსო, ისიც არ ვიცი თბილისის საავადმყოფოში ჩავიყვანენ თუ არაო".

ეს ექიმბაში ბებია-ქალი გახლავთ გიორგიწმინდელი „ანა ეშმაკაშვილი" კევლიშვილი, ასეთები სხვებიც ბევრნი მოიპოვებიან. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ვისაგანაც ჯერ არს, რომ ერთხელ და სამუდამოთ აღმოიფხვრას მავნე ელემენტები.

გულშემატკივარი.

ჩარჩები გლეხებს აწიოკებენ

(ზესტაფონი, შორაპნის მაზრა)

ზესტაფონის ირგვლივ მრავალი სოფელი ახლავს. ზესტაფონში იცის დიდი ბაზრობა, სადაც გლეხებს შემოაქვთ პირნახული და ნაწარმოები გასაყიდლათ, მაგრამ ხელში უვარდებიან ჩარჩ-სპეკულიანტებს. დილას ადრე, როდესაც გლეხებს შემოაქვთ გასაყიდი საქონელი, ხვდებიან ჩამოსული ვაჭრები და იაფად იგდებენ ხელში, რადგან გლეხმა არ იცის ჯერ კიდევ საქონლის მაზანდა.

ამას რომ თავი დავანებოთ გლეხ. თვით თავის სოფლებში ხვდებიან ლოპიან ვაჭრების მსხვერპლი, რამოდ. ვაჭარი ჩამოსული სხვა ქალაქიდან გასწევენ სოფლებში სავაჭროთ; მიდიან გლეხების ოჯახებში და ყიდულობენ ნაწარმოებს. გლეხი ჯერ უნდა გაუმასპინძლდეს მას, როგორც სტუმარი, შემდეგ ღვინო თუ სხვა რამე უნდა მისცეს იაფ ფასში, რადგან სახლში მიუვიდა მუშტარი. საწყალი გლეხი ვარდება ვაჭრის გავლენის ქვეშ. ხშირად ნისიათაც კი მიაქვს და აატყუილებს. მე ამ ქალაქში ვცხოვრობ და გაგიტუმრებთ.

გლეხები მოტყუილებულნი ჩივიან, მაგრამ მათ კვალს ვეღარ პოულობენ.

ვარლამ გოლაძე.

მუშათა ცხოვრება

შვებულებების მოწესრიგება წარმოებებში — —

დადგა გაზაფხული და დაიწყო მუშების და მოსამსახურეების შვებულებაში წასვლის დრო. დაიწყო ფაბრიკა-ქარხნებში, მითქმა-მოთქმა, ფუსფუსი—აბა, როდის გაგვიშვებენ შვებულებაში, როგორ გავატარებთ შვებულებას და სხვ. ზოგს სოფელი აქვს და იქ წავა დასასვენებლად, ზოგი აგარაკზე მიდის, ზოგს კი არც სოფელი აქვს, არც აგარაკზე წასვლის შეძლება, ამიტომ ცდილობს დასასვენებელ სახლში მოხვდეს.

ყველა ეს საკითხები აღელვებს მუშა-მოსამსახურეებს, და ეს არც გასაკვირია. ბევრი უფრო ძნელი საკითი მოვაგვარეთ, გადავჭერით. შევიტანეთ გეგმიანობა—შვებულების საკითხის მოგვარებას კი არაფერი ემჩნევა, ამ დარგში გეგმიანობის მიზანშეწონილობის შეტანა ერთობ გაძნელდა. ეს რასაკვირველია აიხსნება არა იმით, რომ შვებულების მოწესრიგების საქმე ისეთი ძნელი იყვეს რომ მისი გადალახვა არ შეიძლებოდეს, არამედ უყურადღებობით. შვებულების მოწესრიგება მაშინ გაიხსენება ჩვენ ადმინისტრაციას და პროფორგანოებს, როდესაც საქმეს საქმეზე მიდგება, დღე-დღეზე გადაწყვეტას მოითხოვს. თუ ამდენ ხანს კიდევ შეიძლებოდა ასეთი მდგომარეობის მოთმენა, დღეს ამას ბოლო უნდა მოეღოს. წარმოების რაციონალიზაციასთან დაკავშირებით, წარმოების ყოველ დარგში, და მასთან ერთად, შვებულების საქმეშიც გეგმიანობა და მიზანშეწონილობა უნდა იქნეს შეტანილი.

ადმინისტრაციამ და პროფორგანოებმა აპრილიდან უნდა შეადგინონ გეგმა და დაიწყონ შვებულებაში მუშებისა და მოსამსახურეების გაშვება, რომ მიწურულში არ იქნეს საჭირო ყველა მუშა-მოსამსახურეების შვებულებაში ერთად გაშვება, რაც დიდ ზიანს აყენებს წარმოებას. გვხვდებით, რომ ივლის-აგვისტოს თვეებში ზოგ წარმოებასა და დაწესებულებებში ნახევარზე მეტი მუშა-მოსამსახურე არაა, ყველა შვებულებაშია, არაფერი არ კეთდება. ზოგჯერ კვალიფიციური მუშათა საგრძნობი რიცხვი ერთად იღებს შვებულებას და მიდის, რაც მთელი წარმოების დაწესებულების მაჯის ცემას აჩერებს. ყოვლად შეუძლებელია ასეთი მდგომარეობა გაგრძელდეს მომავალში. თუ ეს საკითხი არ მოგვარდა ჩვენ ვერ შევძლებთ შრომის ნაყოფიერების აწევას, საქონელზე ფასების დაკლების გატარებას. შვებულება უსათუოდ აპრილიდან თუ არა მაისიდან მაინც უნდა დავიწყოთ. ეს უნდა მოხდეს იმ ანგარიშით, რომ წარმოების თუ დაწესებულების მუშაობა არ შეფერხდეს, მუშაობა ყველგან ნორმალურად, შეუფერხებლად მიმდინარეობდეს.

უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველ მუშა და მოსამსახურეს ერგოს შვებულება. სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ შვებულების მაგიერ კომპენსაციის მიცემას, ყოველმა მუშამ უნდა ისარგებლოს შვებულებით, დაისვენოს, მოიკრიფოს ძალა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დასუსტდება და დაავადმყოფდება. შვებულების განაწილების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვადასხვა დარგის სამუშაოს, ზოგი მუშები ისეთ წარმოებაში მუშაობენ, რომელიც ძლიერ მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის. უნდა ვეცადოთ, რომ ასეთ მუშებს ზაფხულის სიცხის თვეებში მივსცეთ შვებულება, რასაკვირველია, რიგრიგობით. ეს მუშები ამ თვეების გამოყენებას უფრო შესძლებენ თავისი ჯანმრთელობის აღსადგენათ: მათ ეკუთვნის ეს პრივილეგია, თუ ამას პრივილეგია ქვია, რომ ისუნთქონ წმინდა ჰაერი და ორგანიზმი გაიწმინდოს სხვადასხვა მავნე ნივთიერებიდან.

შვებულების საკითხი დროზე უნდა მოწესრიგდეს. იმ უგეგმობას, რომლებსაც წინათ ჰქონდა ადგილი, ბოლო უნდა მოეღოს. შვებულებით ყველა მუშა-მოსამსახურემ უნდა ისარგებლოს, შვებულება ისე უნდა მოეწყოს, რომ წარმოება-დაწესებულებაში მუშაობა არ შეფერხდეს. ყველაფერი ეს წინდაწინ გამოანგარიშებული უნდა იქნეს.

ჯანმრთელობისთვის მავნე წარმოების მუშას მეტი ყურადღება.

ჩვენი წარმოების ინტერესები ამას მო-

ა.—ძე.

სადგურის შენობა შეკეთებულია

სადგ. საჯევახოს შენობა დაზიანებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ეს ადგილი ჭაობიანი და ციებ - ცხელებით არის ცნობილი, შენობის იატაკი ცემენტით იყო მოგებული, კედლები ჩამგრეული იყო და სხვა.

ეს გარემოება გავლენას ახდენდა, როგორც იქ მყოფ მუშა - მოსამსახურეებზე, აგრეთვე მგზავრებზედაც. ამჟამად მდგომარეობა გამოსწორებულია. კედლები შელესილია, დაგებულია ხის იატაკი და მგზავრების ოთახიც რიგიანად არის მოწყობილი.

იჯაური.

საყურადღებო წვრილმანი

— რათ არ სრულდება განკარგულება? კარგა ხანია გაცემულია განკარგულება იმის შესახებ, რომ მატარებლებში არ უნდა იქნეს შეშვებული არავინ, სანამ არ დაკრავს პირველ ზარი, მაგრამ ეს განკარგულება მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. მის ცხოვრებაში გატარებაზე არავინ ზრუნავს. თითქმის ყოველთვის მატარებელი ზარის მიცემამდე ივსება მგზავრებით და ისინი, ვინც ზარის შემდეგ გადის ბაქანზე ზოგჯერ უადგილოთ რჩებიან. დროა უკვე განკარგულების შესრულებისათვის აიტაცონ თავი იმათ, ვისაც ეს საქმე შეეხება.

ა—ძე.

— საჭიროა წიგნთ-საცავი - სამკითხველო. მე-7 უბანში ერთი წიგნთ-საცავ - სამკითხველო არის მხოლოდ კახეთის მოედანზე, მეორე კი ნავთლუღში. დანარჩენი უბანი წიგნთ-საცავ სამკითხველოს მოკლებულია. ეს უბანი უმთავრესად მუშებისა და მოსამსახურეებით არის დასახლებული. კარგი იქნება თუ კახეთის ქუჩაზე გაიხსნება ერთი წიგნთ-საცავ-სამკითხველო.

მუშკორი—ალ. ბ-შვილი.

— მგზავრებს სადგურში არ უშვებენ. თელავში რკინისგზის სადგურში მგზავრების მოსაცდელი დარბაზი დღის ხუთ საათზე იღება. გლეხები კი სადგურში ზოგი თორმეტზე, ზოგიც პირველ საათზე მოდიან და მატარებელს ქუჩაში ელოდებიან. კიდევ კარგი თუ ამინდი რიგიანია, წვიმიან დარებში კი მგზავრების მდგომარეობა აუტანელი ხდება. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება და მგზავრების მოსაცდელი დარბაზი უფრო ადრე იქნეს გაღებული.

მუშკორი—შან-მანი.

— საჭიროა „მუშკოპი"-ს განყოფილება. მე-9 უბანში, რკინისგზის ლიანდაგის გადაღმა, დაახლოვებით 400-მდე მოსახლე ცხოვრობს. ამ უბანში არც ერთი განყოფილება არა აქვს „მუშკოპ"-ს, რის გამო მცხოვრებლები კერძო ვაჭრების ხელში არიან ჩავარდნილი. კარგი იქნება თუ მუშკოპის გამგეობა გახსნის იქ თავის განყოფილებას.

ვ. ი-შვილი.

— მიზეზი მცირეა, ზარალი დიდია. როსტოვში და აგრეთვე ადგილობრივ მოსაარულე სახალხო მატარებლების რონოდების გოგრებს თვითმოქმედი მუხრუჭის დამუხრუჭების გამო უფუჭდება სალტეები. ამის გამო რონოდა იხსნება. გარდა ამისა, გზაშიაც ჭრიჭებენ მატარებლებს, რათა განთავისუფლონ რონოდა თვითი დამუხრუჭებისაგან. ზოგჯერ მატარებელი 5—10 წუთის განმავლობაში სდგას ამ მიზეზის გამო, რაც დიდ ზარალს აყენებს რკინისგზას. მიზეზი კი ის არის, რომ რონოდების უმრავლესობას არა აქვთ შიგნით გაყვანილი მილი, რომელიც თავდება ცივი ჰაერის გამოსაშვები ცობოლით. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება.

მუშკორი—ლიაპიძე.

მუშათა ქრონიკა

— პენსიონერები. ამჟამად თბილისის უბანში ითვლება 1750 პენსიონერი.

— 8.000 მან. კინო - თეატრისათვის. რკ. გზ. კინო — თეატრის ასაშენებლად გაღებულია 8.000 მან.

— სიმებიანი ორკესტრი. ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბში დაარსდა სიმებიანი ორკესტრი პ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.

— ნავთის საწური. სადგ. გორის ნავთსადენის საწარმოო კომისიამ დაადგინა მოეწყოს ნავთის საწური აუზში. (ე. წ. „ჯქურტენქა").

ყრილობები და თათბირები

კომუნალურ მუშაკთა კავშირის მე-6-ე ყრილობა

მეორე და მესამე სხდომა

28 აპრილის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. ტელეშოვის მოხსენება ცკკს მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კავშირი ამჟამად მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით აერთიანებს 207.000 წევრს. აქედან 15 პროც. უმუშევარია; უმუშევრებიდან 10 პროც. მოდის კანცელარიის მუშაკებზე, რომლებიც აპარატის გაჯანსაღების შემდეგ უმუშევრად დარჩნენ. ძირითადი უჯრედების რიცხვი საბჭოთა კავშირში უდრის 2.000

გამგეობა მთავარ ყურადღებას აქცევდა მთელი მასის ჩაბმას საკავშირო მუშაობაში. ამ მხრივ დიდი შედეგებია მიღწეული. აქტიურ მომუშავეთა რიცხვი გაიზარდა 18.000-მდე.

კავშირს ამჟამად საკავშირო მასშტაბით აქვს 89 კლუბი და 1000 წითელი კუთხე.

საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა კავშირის ცენტრალური გამგეობის მოხსენება.

ცენტრალური გამგეობის მუშაობა

ამხ. მარიამიძის მოხსენება

საქართველოს კომუნალურ მუშაკთა კავშირი მიმდინარე წლის პირველ აპრილისათვის აერთიანებდა 7.231 კაცს; აქედან თბილისში—5.151 და მაზრებში—2.080; უმუშევართა რიცხვი უდრის 656, აქედან თბილისში—404 და მაზრებში—251.

კავშირის წევრებიდან 2920 ქართველია, 2372—სომეხი, 1005 რუსი, 100—თათარი, 242—ებრაელი და 483—სხვა ეროვნებანი.

კავშირის კულტგანყოფილების განკარგულებაშია ამჟამად თბილისში 3 კლუბი, 5 წითელი კუთხე, ერთი ცენტრალური ბიბლიოთეკა და 5 სამკითხველო მოძრავი ბიბლიოთეკებით. სამაზრო განყოფილებებს საკუთარი კლუბები არ აქვთ; ისინი გაერთიანებული არიან საკავშირთაშორისო კლუბებში. ყველა განყოფილებებში არის წითელი კუთხეები. ბათუმის, ქუთაისის და სოხუმის სამაზრო ორგანიზაციებს აქვთ საკუთარი ბიბლიოთეკები.

თვიური შემოსავალი კულტფონდში უდრის საშუალოდ 3.200 მანეთს. პირველ ხანებში საკლუბო მუშაობა ვერ იყო სათანადოთ დაყენებული, რადგან ჩვენს კლუბებს არ ჰქონდათ საზაფხულო შენობები; ასეთების მოწყობის შემდეგ მუშაობა გამოცოცხლდა და სათანადო ნიადაგზე დადგა. კლუბებში მოწყობილია კომისიები, რომლებიც ხელმძღვანელობენ საკლუბო მუშაობის დარგებს.

ცენტრალური გამგეობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ექსკურსიების მოწყობას, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მუშების განვითარებისათვის და რომლებიც საზაფხულო კულტმუშაობის ერთ-ერთი მთავარი ფორმაა.

სულ სხვადასხვა ადგილებში მოწყობილი იყო 62 ექსკურსია, რომლებშიაც მონაწილეობა მიიღო 4071 კაცმა. კლუბებთან მოწყობილია აგრეთვე ფიზკულტურის წრეები, რომლებიც მუშაობენ ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით.

სატარიფო-ეკონომიური მუშაობის დარგში აღსანიშნავია კოლექტიური ხელშეკრულებების ხელახლა დადება 1926 წლის ოქტომბერში, რითაც მიღწეული იქნა ჩამორჩენილი ჯგუფების ხელფასის გადიდება ტრამვაიზე—18,3 პროც., აბანოებში—14 პროც., ცეცხლის მქრობელ რაზმში—7 პროც. და წყალსადენში—8 პროც.; დანარჩენ წარმოებებში ხელფასი უცვლელი დარჩა. ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში ჩატარებული იქნა ხელფასის მოწესრიგება, რითაც მიღწეული იქნა ხელფასის გადიდება საშუალოდ 12 პროცენტით.

კოლექტიური ხელშეკრულებები დადებული იქნა აგრეთვე მაზრებშიაც, მაგრამ ადგილობრივი ბიუჯეტის არა მტკიცე მდგომარეობის გამო ხელფასი თითქმის უცვლელი დარჩა.

ხელოვნების მუშაკთა კავშირის კონფერენცია

მეორე სხდომა

28 აპრილის სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. ს. თოხაძის მოხსენება კავშირის ცენტრალური გამგეობის მუშაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამჟამად კავშირი თბილისის მასშტაბით აერთიანებს 18 ადგილკომს, ერთ ფაბკომს, ერთ საქალაქო ერთეულმა კომიტეტს და ერთ მუდმივ მომუშავეთა ერთეულებს ჯგუფკომს; ამას გარდა, კავშირი აერთიანებს კიდევ ორ პროფსკოლას: სახელმწიფო კონსერვატორიაში და სამხატვრო აკადემიაში.

კავშირი მუდმივ ფინანსიურ კრიზისს განიცდის. დავალიანება იზრდება ყოველ წლიურად. ეს რასაკვირველია, ხელს უშლის საკავშირო მუშაობის წარმოებას. დეფიციტის მთავარი მიზეზია საწევრო ანარიცხებით დავალიანება, ან სრულიად არ გადახდა. 1927 წლის პირველი იანვრისათვის საწევრო ანარიცხების დანაკლისი 48,5 პროც. შეადგენდა.

რაც შეეხება ცალკე წარმოებების მდგომარეობას, ცენტრალურმა გამგეობამ მოისმინა მოხსენებები მათ შესახებ და მიიღო სათანადო დადგენილებები.

შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. ზ. დუდუჩავას მოხსენება ხელოვნების განყოფილების მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი შეეხო კონსერვატორიის, სამხატვრო აკადემიის და ყველა თეატრალური წარმოებების მდგომარეობას და დაწვრილებით შეჩერდა ქართული დრამის და სახელმწიფო ოპერის მუშაობაზე.

— ქართულმა დრამამ,—სთქვა მომხსენებელმა,—სავსებით გაამართლა თავისი თავი. მას აქვს მთელი რიგი ბრწყინვალე მიღწევები. ზოგიერთი დადგმებით („ზაგმუკი", „ჰაჯი მარკენნივ") ჩვენი თეატრი გაუსწორდა მოსკოვის თეატრებს და შეიძლება ზოგიერთებს გაუსწრო კიდეც.

მომხსენებელი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ „ამერიკელმა ძიამ" 22 ანშლაგი მისცა სახელმწიფო დრამას და აქედან ის დასკვნა გამოჰყავს, რომ თეატრმა კურსი უნდა აიღოს კომედიაზე, კერძოთ საბჭოთა კომედიაზე.

ოპერის შესახებ ამხ. დუდუჩავა ამბობს, რომ სახელმწიფო ოპერამ მხატვრულად ვერ გაამართლა თავისი თავი. ამის მთავარი მიზეზია დასის სუსტი შემადგენლობა, მატერიალური საშუალებების უქონლობა და სხვა. ოპერის ზოგიერთ დადგმები ხალტურას წარმოადგენდა („ფრასკუნელი" და სხვა).

დასასრულ, მომხსენებელი შეეხო იმ არანორმალურ მოვლენებს, რომლებსაც ადგილი აქვს ცირკში, და აღნიშნა, რომ მიღებულია ზომები მათ აღმოსაფხვრელათ. ამ მოვლენის მთავარი მიზეზია ის, რომ ცირკი კერძო პირის ხელშია. ხელოვნების განყოფილებამ გადადგა ნაბიჯები იმისათვის, რომ ცირკი სახელმწიფოს ხელში გადავიდეს.

დღევანდელ სხდომაზე გაიმართება კამათი—ორივე მოხსენების გარშემო.

ადგილობრივი მრეწველობის მუშაკთა თათბირი

მეორე სხდომა.

28 აპრილის დილის სხდომაზე თათბირმა დაიწყო მოხსენებების მოსმენა ადგილებიდან.

აფხაზეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **სინიცინი** აღნიშნავს, რომ აფხაზეთში ამჟამად დაარსებულია და მოქმედობს თამბაქოს ფაბრიკა, რომელიც ყოველწლიურად ამზადებს 86 მილიონ ცალ პაპიროსს. სპირტის სახდელ ქარხანაში მუშაობს 15 კაცი და მისი საბრუნავი თანხა უდრის 77.000 მანეთს. ადგილობრივი მრეწველობის წარმოებებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ქიმიური პროდუქტების გადასამუშავებელი ქარხანა, სტამბები და სხვ. შინამრეწველობის წესით სწარმოებს ფეხსაცმელების დამზადება, ხის დამუშავება, ქსოვილების დამზადება და სხვ. სულ ამ წამოწყებებში დაბანდებულია 2.450 შინამრეწველი.

აჭარისტანის წარმომადგენელი ამხ. **მენაღარიშვილი** ეხება ადგილობრივი მრეწველობის საქმის მდგომარეობას და ჩამოთვლის, თუ რა წარმოებებია ამჟამად ამუშავებული. მოხსენებიდან ირკვევა, რომ წარმოების სიმრავლით აჭარისტანს პირველი ადგილი უკავია საქართველოში შემავალ ყველა ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის. ბათუმის რაიონში მზადდება რკინა, ცინკი, რკინის მავთულები და ქიმიური პროდუქტები. აღნიშნული ნაწარმოებნი გააქვთ გასასაღებლად როგორც უცხოეთის, ისე საბჭოთა კავშირის ბაზარზე.

ქუთაისის მაზრის წარმომადგენელი ამხ. **რუხაძე** აღნიშნავს, რომ მარტო ქუთაისში მუშაობს ორი ელსადგური, რომელნიც წელს მოგვცემენ 155.305 მანეთის შემოსავალს; ყინულის ქარხანა ამზადებს წლიურად 70 ათას ფუთ ყინულს; მუშაობენ მექანიკური წისქვილები და სხვ. ქუთაისის მაზრაში მზადდება 1.500.000 ფუთი ყურძენი, 30.000 ფ. ნედლი ბამბა, 49.350 ფ. აბრეშუმის პარკი, 1.500.000 ფუთი რძის ნაწარმოები, 1.000 ფუთი თამბაქო, ამდენივე თაფლი და სხვ.

ამხ. **კალმახელიძე** (გორიდან) ჩამოთვლის გორის მაზრაში არსებულ წარმოებებს და ეხება მომავალი აღმშენებლობის პერსპექტივებს. მომავალი 5 წლის განმავლობაში განზრახულია აგებულ იქნეს საკონსერვო, ხუთი ხილის საშრობი, აგურ-კრამიტის, კირის, ცემენტის და შაქრის ქარხნები.

მესამე სხდომა.

თათბირის მესამე სხდომაზე გრძელდებოდა მოხსენებების მოსმენა ადგილებიდან.

ამხ. **ჩიგოგიძე** (ოზურგეთის მაზრიდან) აღნიშნავს, რომ მაზრაში განსაკუთრებით გავრცელებულია ჩაის კულტურა. ჯერ-ჯერობით მუშაობს სამი ჩაის ქარხანა, აბრეშუმის სახვევი ქარხანა ოზურგეთში, ტყავის გადასამუშავებელი ქარხანა, ხე-ტყის სახერხი ქარხნები და სხვ. მაზრაში არსებობს სამი ელსადგური. მოსახლეობა ეწევა მემინდვრეობას, მეთამბაქოობას, მევენახეობას, მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას, ტროპიკულ მცენარეთა კულტურას და სხვ. მაზრა მდიდარია აგრეთვე მადნეულობით (ნავთის წყაროები, რკინის მადნები და სხვ.).

ამხ. **თანდილაშვილი** (თელავიდან) აღნიშნავს, რომ მაზრაში დიდი შესაძლებლობებია ადგ. მრეწველობის განსავითარებლად; ამის გამო. განზრახულია მთელი რიგი ახალი ქარხნების აგება.

ამხ. **ყიფიანი** (ლეჩხუმიდან) აღნიშნავს, რომ ადგილობრივი მრეწველობის მხრივ მაზრა ძლიერ ჩამორჩენილია და ადგილობრივ არ მოიპოვება თანხები ახალ წამოწყებათა დასაწყებად.

მუშა-ახალგაზრდობის საქალაქო კონფერენცია

მეორე დღე

კონფერენციაზე გაიმართა კამათი ამხ. **ხომასურიძის** მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო 18 ორატორმა.

გამოსული ორატორების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ წარმოებებში ვერ არის სათანადო დონეზე დაყენებული მუშა-ახალგაზრდობის შრომის პირობები, ნაკლები ყურადღება ექცევა მოწაფე-შეგირდების სწავლებას, ვერ არის მოგვარებული მუშფაკებში მუშა-ახალგაზრდობის მიღების საქმე და სხვა.

კამათის შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა მომხსენებელი ხომასურიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ მართლაც არსებობს ზოგიერთი დეფექტები, მაგრამ ეს არ არის დამოკიდებული ცალკე პიროვნებათა სურვილზე, ან უნარიანობაზე, არამედ ეს გამოწვეულია საერთო ობიექტიური პირობებით.

დასასრულ სხდომაზე არჩეულ იქნა კომისია. რომელმაც უნდა გამოიმუშაოს პრაქტიკული წინადადებანი პროფსაბჭოში გაგზავნილ წარმომადგენლის სახელმძღვანელოთ.

წითელ ჯარში

თბილისის გარნიზონის წითელ არმიელთა მეშვიდე ფართე კონფერენცია

მეორე სხდომა

კონფერენციის მეორე სხდომა შესდგა 28 აპრილს, დილის 9 საათზე.

სხდომა მოლიანად მოუნდა კამათს 1-ლ მსროლელ ლეგიონის მეთაურის ამხ. ადამიძის და საარტ. ლეგ. მეთაურის ამხ. მგალობლიშვილის მოხსენების ირგვლივ.

კამათში მიიღო მონაწილეობა 35 ამხანაგმა, რომელთა შორის უმრავლესობა იყო წითელარმიელები.

კამათში მონაწილენი შეეხნენ ზამთრის პერიოდში წარმოებულ სამხედრო სწავლების ზოგიერთ ნაკლს. მათ აღნიშნეს, რომ ის დრო, რომელიც დათმობილია სამხედრო მეცადინეობისათვის მცირეა და მოითხოვდნენ მის გადიდებას.

ყაზარმის შენობები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას სიმცირის გამო, რისთვისაც საჭიროა მათი საფუძვლიანად შეკეთება.

აღნიშნულ იყო აგრეთვე, რომ სამხედრო ლიტერატურის უქონლობა ქართულ ენაზე ძალიან აფერხებს სწავლების საქმეს.

კამათში გამოირკვა, რომ უმცროსი მეთაურები, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ წითელ-არმიელთა აღზრდის და მომზადების საქმეს, დატვირთულნი არიან მრავალი დავალებებით, რაც უშლის ხელს მათ თვითგანვითარების და თვითმომზადების საქმეს.

ამხანაგები მიუთითებდენ აგრეთვე ნაკლზე, რომელიც აქვს ნაწილების სამხედრო დარგს, სანიტარულ საქმეს. კვების და სხვა.

აღნიშნულ იქნა ის გარემოება, რომ ჯარში გაწვევის დროს სათანადო ყურადღება არ ჰქონდა მიქცეული ახალწვეულთა საექიმო შემოწმებას, რის გამო წითელი არმიელი ნაწილებიდან გაშვებულ იქნენ უვადო შვებულებით.

კამათში მონაწილე ამხანაგებმა აღნიშნეს აგრეთვე მიღწევები საზამთრო პერიოდის სწავლებაში. ყველა ამხანაგებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ ზამთრის განმავლობაში მათ ყაზარმაში შეიძინეს ბევრი ცოდნა. ამაღლებულია მათი კულტურული დონე.

შეეხო რა მეთაურთა დამოკიდებულებას, სთქვეს, რომ მეთაურნი არ ზოგავენ ძალას და ღონეს, რომ გადასცენ წითელ-არმიელებს ცოდნა და გაუზიარონ მათ თავისი გამოცდილება.

მეთაურები თავაზიანად ეპყრობიან არმიელებს და თავისუფალ დროს ატარებენ მათთან საუბრებში, აძლევენ რჩევა-დარიგებას და სხვა.

დისციპლინა ყველა ნაწილებში საკმაოდ განმტკიცებულია. ყველა წითელი არმიელი შეგნებულად ასრულებს ბრძანებას და დავალებებს, არც ერთ ნაწილში არ ჰქონია ადგილი დისციპლინის შეგნებულად დარღვევას და ბრძანების აუსრულებლობას.

საბოლოო სიტყვებში ამხ. ადამიძემ და მგალობლიშვილმა სთქვეს, რომ ქართული ნაწილები ყოველ დღიურათ მიდიან წინ სამხედრო მომზადების მხრივ. გასული წლის განმავლობაში გამოსწორებულ იქნა მრავალი ნაკლი და გაუმჯობესდა ყაზარმის პირობები და ის შეცდომები, რომელნიც აღნიშნულ იქნენ ამხანაგების მიერ, მომავალში უეჭველია გამოსწორებულ იქნებიან, როგორც მეთაურთა ისე წითელარმიელთა დახმარებით.

ამხ. ადამიძის და მგალობლიშვილის საბოლოო სიტყვების შემდეგ შესწყდა კონფერენციის სხდომა.

კონფერენციის მორიგი სხდომა შესდგება დღეს, დილის 9 საათზე.

მოსახლეობის გასამხედროების ფრონტზე

თელავის მაზრა

№ ლეგიონის ათასეულმა მაზრაში მოაწყო მრავალი სამხედრო კუთხეები, რომელნიც დიდ დახმარებას უწევენ ადგილობრივ გლეხობის სამხედრო ცოდნის შეძენაში.

სამხედრო კუთხეებმა მოსახლეობაში მოიპოვეს საკმაო ნდობა და პატივისცემა, რასაც მოწმობს ის გარემოება, რომ გლეხობის რიცხვი კუთხეებში ყოველდღიურად იზრდება. ნაყოფიერათ მუშაობენ სამხედრო ცოდნის წრეები. მასიური მუშაობა (სასპორტო, გამოსვლები, სროლა) დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ბოლო დროს მაზრაში საძირკველი ჩაეყარა თავდაცვის ხელშემწყობ საზოგადოება—ავიაქიმის უჯრედებს.

დღემდე დაარსებულია 8 უჯრედი.

გამომუშავებულია უჯრედების მუშაობის ორთვიანი გეგმა.

მუშაობის საწარმოებლად ათასეულის მიერ გამოყოფილია მომზადებული ამხანაგები.

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი სამოქალაქო დაწესებულებები ყოველმხრივ უწყობენ ხელს სამხედრო საქმიანობის თავის სიმაღლეზე დაყენებას; მათი დახმარებით მოწყობილი იქნება ერთი სანიმუშო სამხედრო კუთხე, რომლის მიხედვითაც იმუშავებენ მაზრაში გაფანტული კუთხეები, ეს გარემოება უეჭველია, ძალიან შეუწყობს ხელს სამხედრო საქმიანობის მსვლელობას მაზრაში.

ექიმების საყურადღებოდ

ახლო მომავალში განზრახულია გამოვსცეთ ცალკე წიგნად მონოგრაფია ავადმყოფობა ანკილოსტომოზის შესახებ, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ სულ რამდენიმე წლის წინად იყო ჩვენში პირველად ნახული, საკმარისად გავრცელებული აღმოჩნდა (არის ადგილები სადაც 90 პროც. მოსახლეობისა პარაზიტების მატარებელია.) და დიდ ზიანს აყენებს მეტადრე სოფლის მუშა ხალხს.

რადგანაც ანკილოსტომოზის შესწავლას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, უკვე მრავალი ექიმი შეუდგა მის გავრცელების შესწავლას, მაგრამ ცნობები ამის შესახებ ჯერ - ჯერობით ძლიერ ნაკლებად იბეჭდება. ამისათვის ეთხოვთ ყველა ექიმებს, განსაკუთრებით პროვინციაში მომუშავეთ რაც შეიძლება მოკლე ხანში მოგვაწოდონ ცნობები მათ მიერ შეკრებილ მასალის შესახებ, რომელიც შეტანილი იქნება ხსენებულ წიგნში, რასაკვირველია ყველა ავტორების დასახელებით. სახელდობრ საინტერესოა შემდეგი ცნობები: 1) როდის დაიწყო სისტემატიური შესწავლა ჰელმენტიაზისა და რამდენ შემთხვევაში და რა პარაზიტები იყო აღმოჩენილი (წლების დასახელებით). მეთოდიკა, რომლითაც სარგებლობდით.

თუ სისტემატიურ გამოკვლევას არ აწარმოებდით. იყო თუ არა შემთხვევები ადგილობრივი ანკილოსტომოზის (მიკროსკოპიულად დამტკიცებული) თქვენ სამუშაო რაიონში.

2) მოკლე კლინიკური დახასიათება ანკილოსტომოზისა თქვენი შემთხვევების მიხედვით.

3) ფარგლები თქვენი სამუშაო რაიონისა.

P. S. დაბეჯითებით ვთხოვ ყველა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

პროფესიონალურ სნეულებათა სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორი **ნიკო მახვილაძე.**

მისამართი: თბილისი, პროფესიონალურ დაავადებათა ინსტიტუტი. კლარა ცეტკინის ქ.) ყოფ. ელისაბედის ქ.) № 126.

მტკიცე ხელფასი

შრომის სახალხო კომისარიატი საქართველოს პროფსაბჭოსთან ერთად აგროვებს მასალებს იმ მოსამსახურეთა და მასწავლებლების ხელფასის შესახებ, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან. მასალების შეგროვებაზე მუშაობს საქ. სახკომსაბჭოს მიერ გამოყოფილი კომისია, რომელშიაც შედიან შრომის კომისარიატის, პროფსაბჭოს, მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ფინსახკომის წარმომადგენლები.

კომისია უკვე ათი დღეა რაც მუშაობს. მასალების შეგროვება დამთავრდება მაისის პირველ რიცხვებში. მასალების შესაგროვებლად აფხაზეთში, აჭარისტანში და სამხრეთ-ოსეთში გაგზავნილია სპეციალური თანამშრომლები.

ამ მუშაობის მიზანია ხელფასის მტკიცე ნორმების გამომუშავება ერთნაირ თანამდებობისათვის სხვადასხვა დაწესებულებებში; მომავალი საბიუჯეტო წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ მოსამსახურეთათვის გაუქმებული იქნება სატარიფო ცხრილი და შემოღებული იქნება ხელფასის მტკიცე ნორმები, რომლებიც აღარ შეიცვლება.

კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეცემა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს, მომავალში კი ახალი ბიუჯეტის შედგენის დროს გადაეგზავნება ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს.

განძეულობის გამოყენება

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შემავალი რესპუბლიკების ტერიტორიაზე მიწაში ჩაფლული ანდა სხვაგვარად გადამალული განძეულობა: ძვირფასი ლითონები, ლითონის ფული, ძვირფასი ქვები, ქაღალდის ფული, მათ რიცხვში უცხოეთის ვალიუტაც და სხვადასხვაგვარი ძვირფასი ქაღალდები, პაი, ობლიგაციები, აქციები, და სხვა, რომელთა მეპატრონეები არ არის აღმოჩენილი, ანდა რომლებმაც კანონის ძალით დაჰკარგეს მათი მფლობელობის უფლება, იმ შემთხვევაში, თუ ეს განძეულობა აღმოჩენილი იქნება, უნდა გადაეცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატის უახლოეს ორგანოს.

აღმოჩენილი განძეულობა გადაეცემა სათანადო ფინსახკომს, რომელთანაც ასეთი შემთხვევებში არსდება კომისია ფინსახკომის და იმ აღმასკომის წარმომადგენლებისაგან, რომლის ტერიტორიაზეც იქნა აღმოჩენილი განძი; კომისიაში შედიან აგრეთვე სათანადო ექსპერტები განძეულობის შესაფასებლად.

განძეულობა, რომელიც აღნიშნული კომისიის მიერ აღიარებული იქნება უმაღლეს მხატვრულ და ანტიკვარულ მნიშვნელობის განძად, გადაეცემა რესპუბლიკის სახკომსაბჭოს რომლის ტერიტორიაზეც იყო იგი აღმოჩენილი.

დანარჩენი განძეულობა გაყიდული უნდა იქნეს ფინსახკომის მიერ.

ყველა იმ ხარჯების დაფარვის შემდეგ, რომლებიც დაკავშირებულია განძის გადატანასთან, შეფასებასთან, გაყიდვასთან და სხვა. განძის გაყიდვისაგან შემოსული დანარჩენი თანხა განაწილდება შემდეგნაირად: 20 პროც. ეძლევა განძის აღმომჩენს, 30 პროც. მიდის იმ აღმასკომის ადგილობრივ თანხების გასაძლიერებლად, რომლის რაიონშიაც იყო იგი აღმოჩენილი, და 50 პროც. მიდის სათანადო რესპუბლიკის ხაზინაში.

შავი ზღვის გზატკეცილი

შავი ზღვის გზატკეცილის მდგომარეობის გამოკვლევის შემდეგ თბილისში დაბრუნდა საქართველოს გზატკეცილთა სამმართველოს ტეხნიკური განყოფილების გამგე ინჟ. **სიმონსონი.**

შავი ზღვის გზატკეცილი (ახალ-სენაკი, ზუგდიდი, ინგური);—განაცხადა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ინჟ. **სიმონსონმა,**—მიმოსვლის უმთავრეს დამაბრკოლებელ მიზეზად ითვლება მდ. ჩხოუშზე ხიდის უქონლობა. ამის გამო ახლა მიმოსვლა სწარმოებს მდინარის ფონით.

ვინაიდან გზატკეცილთა სამმართველოს არ მოეპოვება საჭირო თანხები ხიდის ასაგებად. სენაკის აღმასკომი, წინადადებას იძლევა, რომ ამ ხიდის ასაგებად გადასდებს 25.000 მანეთს და გზატკეცილთა სამმართველოს წინაშე აღძრულია შუამდგომლობა სასწრაფო წესით დაიწყოს გამოკვლევითი მუშაობა და საჭირო მასალების დამზადება.

სოხუმის გზატკეცილზე (საერთო სიგრძე—88 ვერსი), სოხუმ-ინგურის შუა არსებობს ათი ხის ხიდი; რომლებიც სიძველის გამო ამჟამად ისეთ მდგომარეობაში იმყოფებიან, რომ საშიშროებას წარმოადგენენ ავტომომოსვლისათვის. საერთო მანძილი ამ ხიდებისა უდრის 600 მეტრს.

გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ თუ მიღებული იქნება საჭირო ზომები, მიმოსვლა ამ ხიდებზე შესაძლებელია წარმოებულ იქნეს კიდევ ერთი წლის განმავლობაში.

ამისათვის წელს დაუყოვნებლივ დაიწყება მათი შეკეთება. მომავალ წელს, ხიდების სრულიად გასაახლებლად საჭირო იქნება კრედიტი 220.000 მან. რაოდენობით; წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელი გახდება მოძრაობის შეწყვეტა.

ჩრდილოეთის უბანზე—სოხუმიდან—გაგრამდე ხიდები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფებიან და ავტომობილების მიმოსვლა შეუფერხებლად სწარმოებს.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში შავი ზღვის სანაპიროებზე ადგილი ჰქონდა ძლიერ წვიმებს, გზები შედარებით კარგ მდგომარეობაში იმყოფებიან და აკმაყოფილებენ ავტომობილების მოთხოვნილებებს.

გზის თვალსაჩინო დაზიანებას ადგილი აქვს მე-14 ვერსზე—სოხუმ-ათონის შუა, გზატკეცილის ჩამონგრევის გამო.

ამჟამად გზატკეცილის მთის მხარეზე მოძრაობა დაუბრკოლებლივ სწარმოებს.

მიმდინარე წელს კავკასიის ქედის მთიან რაიონებში მოსული დიდი თოვლი გზა-ტკეცილს საშიშროებას უქადის.

ყველა საჭირო ღონისძიებები მოსალოდნელ კატასტროფის თავიდან ასაცილებლად—გზატკეცილთა სამმართველოს მიერ მიღებულია,—გათვალისწინებულია გზა-ტკეცილის დიდ ხიდებთან მდინარების ნაპირების გამაგრება.

ეკონომიურ საბჭოში

რიონის ჰიდრო ელსადგური

რადგან რაიონის ჰიდრო-ელსადგურის აგების საკითხი საკავშირო ორგანოების მიერ უკვე დადებითად არის გადაწყვეტილი, ეკონომიურმა საბჭომ შესაძლებლად სცნო საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმის შუამდგომლობის დაკმაყოფილება რიონის ჰიდრო ელსადგურის აგების საჭიროებისათვის ზაჰესის მშენებლობიდან განთავისუფლებული ზოგიერთი მოწყობილობისა და მასალის გადაცემის შესახებ.

მეთამბაქოება ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს საგეგმო კომისიის დასკვნა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში მეთამბაქოების საქმისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

კერძო სამშენებლო ნაღების გაუქმება

ეკონომიურმა საბჭომ გააუქმა კერძო სამშენებლო ნაღები „ელდენი" და „შენება".

„სარეწკოოპკავშირი"-ს წესდების განხილვა

ეკონომიურ საბჭომ მოიწონა საქართველოს სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კავშირის („სარეწკოოპკავშირი"-ს) წესდების პროექტი. პროექტი დასამტკიცებლად წარედგინა საქართველოს ცაკს.

ახალქალაქის ჰიდრო-ელსადგური

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა ახალქალაქის ჰიდრო ელსადგურის გაფართოების პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად.

სიმინდის შესყიდვა

წინადადება მიეცა ა. კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს საქართველოში მოითხოვოს ა. კ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის საშუალებით, რათა მიმდინარე 1927 წელში, დასავლეთ საქართველოს ნაკლებ მოსავლიან მაზრების საჭიროებისათვის შემოზიდულ იქნეს 150.000 ფუთი სიმინდი.

საგაზაფხულო სამუშაოები

დასავლეთ საქართველო

თესვის კამპანია დასავლეთ საქართველოს უმრავლეს მაზრებში დაიწყო მარტის შუა რიცხვებიდან. ვენახების გასხვლა და აშენება კი თებერვლის დამლევიდან. თესვის კამპანია გაგრძელდება ივნისის შუა რიცხვამდე. საშემოდგომო ნათესების მდგომარეობა ყველგან დამაკმაყოფილებელია.

სამხრეთ-ოსეთი

ამჟამად სამხრეთ - ოსეთში მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა ბაღების დასამუშავებლად. ხეხილის გასხვლა თითქმის ყველა რაიონებში დამთავრებულია. ეხლა სწარმოებს ბაღების დახვრა და ხეების ფესვების გაწმენდა პარაზიტებისაგან.

საბაღო მუშაობას ხელს უწყობს კარგი ამინდი. გლეხობა ყველა რაიონებში უკვე შეუდგა კარტოფილის თესვას. საგაზაფხულო პურების თესვა უკვე მოთავებულია. წელს ოლქში დიდი მოთხოვნილება არის გუთნებზე. მარტო მიწადმოქმედების კომისარიატის საწყობიდან გაყიდულია 700 ცალი გუთანი, საოლქო - სამეურნეო პუნქტებზე გუთნები უკვე აღარ იშოვება.

სენაკის მაზრა

მთელს მაზრაში დამთავრდა ბოსტნების და ბაღების დამუშავება და დათესვა. ალაგ-ალაგ უკვე ბოსტნეული მცენარეულობა ამოსულია. ეხლა მაზრაში მიმდინარეობს სადარო სიმინდის თესვა. დიდი მოთხოვნილებაა სახნისებსა და ფარცხებზე. მაზრაში მუშაობს სულ 3 ტრაქტორი, რომელთაგანაც ერთი ეკუთვნის კერძო პირს და ორიც საკრედიტო ამხანაგობას. თვითეულ ქცევის დახვნისათვის კერძო პირი ღებულობს 5 მან. ქირას.

საქონლის დაზღვევა

ამჟამად აღმოსავლეთ საქართველოში მთელი სხვილ-ფეხა საქონელი დაზღვეულია საგანაკვეთო წესით, ხოლო დასავლეთ საქართველოში საქონელი დაზღვეულია მხოლოდ მარტო ქალაქებში. მთელ საქართველოში დაზღვეულია სულ 589.428 სული საქონელი. დაზღვევის თანხა უდრის 14.776.887 მანეთს. რაოდენობა დაზღვევის განაკვეთისა შემდეგნაირია: ძროხაზე—25 მანეთი, ფურ-კამეჩზე და ხარზე—30 მანეთი, ხარ-კამეჩზე—40 მანეთი, ცხენზე—40 მანეთი, ვირზე—20 მანეთი, ხბორებზე და ზაქებზე—10 მანეთი. პრემიებად დაწესებულია: ძროხაზე—84 კაპეიკი, ფურ-კამეჩზე—და ხარზე—1 მ. 1 კაპეიკი, ხარ-კამეჩზე—1 მ. 34 კაპეიკი, ცხენზე—2 მ. 40 კაპეიკი და ვირზე—1 მ. 20 კაპეიკი.

დახოცილ საქონელთა რიცხვი 1926-27 საოპერაციო წლის 1-ლი ოქტომბრიდან 1-ლ აპრილამდე უდრის: სოფლებში—სხვილ-ფეხა საქონელი 11.598 სულს, მათ ასანაზღაურებლად გაცემულია დაზღვევის თანხა—250.823 მანეთი, ხოლო უარი ეთქვა სხვადასხვა მიზეზების გამო 1988 სულ საქონელზე, ცხენები დაიხოცა—289 სული, გაცემულია მათზე—11.280 მანეთი, ვირები დაიხოცა 111 სული, მათზე გაცემულია—2.220 მანეთი; ქალაქებში — სხვილფეხა რქოსანი საქონელი დაიხოცა—592 სული. მათზე გაცემულია—13.818 მანეთი, ცხენები 86 სული, გაცემულია—3.664 მანეთი, ვირები 7 სული, გაცემულია—120 მანეთი.

სამკურნალო

ინსტრუმენტების გამოწერა

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა გამოიწერა საზღვარგარეთიდან 11.933 მანეთის ახალი ტიპის გაუმჯობესებული საექიმო ხელსაწყო - ინსტრუმენტები.

მიღებულ ინსტრუმენტებს კომისარიატი დაანაწილებს ძირითად სამკურნალო დაწესებულებათა შორის. ინსტრუმენტები გამოწერილია გერმანიიდან, საფრანგეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

გამოწერილ ინსტრუმენტებს შორის არის ელექტრო - კარდიოგრაფები, ცისტოსკოპები, მიკროფოტო - აპარატები, საოპერაციო ხელსაწყოები, ურომეტრები და სხვ. სპეციალურადაა გამოწერილი აგრეთვე სულით ავადმყოფთა სამკურნალო იარაღები — მიკროტომები, ტეხისტოსკოპები, ერგოგრაფები და სხვ.

გამოწერილ იარაღებს ჯანსახკომი მიიღებს უახლოეს ორ თვეში.

რკინისგზაზე

როგორ დაიმტვრა მატარებელი ჭიათურის ხაზზე

თბილისში დაბრუნდა ა.-კ. რკ. გზ. ტეხნიკური ნაწილის უფროსის თანაშემწე ინჟ. გ. გვერწითელი, რომელიც ამას წინად გაემგზავრა ჭიათურის ხაზზე—მარტოთუბან-ბოსლევის შუა მომხდარ მატარებლის დამტვრევის მიზეზების გამოსარკვევად.

მატარებლის დამტვრევის შესახებ ინჟ. გვერწითელმა განაცხადა შემდეგი:

ხაზის მე-12 კილომეტრზე ჩამოვარდა კლდიდან მოგლეჯილი დიდი ლოდი (ზომით 6×2½ მეტრზე). ჩამოვარდნილმა ლოდმა დააზიანა ლიანდაგი; ჩამოვარდნის ადგილას გაჩნდა უფსკრული.

მატარებელი მოდიოდა სწორედ იმ მხრიდან, სადაც გაჩნდა უფსკრული. ამ ადგილზე ხაზი მოხვეულია. ამის გამო მატარებელი მოხვეულის განვლის შემდეგ გავიდა სწორ ხაზზე. მემანქანემ შეამჩნია არა უფსკრული, არამედ მის ახლოს მდებარე ლოდი. მემანქანემ მიიღო ზომები მატარებლის გასაჩერებლად, ის ფიქრობდა მატარებლის გაჩერებას ქვას მოშორებით, მაგრამ მასთან მიღწევამდე ორთქლმავალი ჩავარდა უფსკრულში, გადაბრუნდა და გადავარდა მდინარეში. ორთქლმავალი და ორი რონოდა ამჟამად ჩავარდნილია მდ. ყვირილაში.

მემანქანე და მისი თანაშემწე დაშავდენ.

მთელი ტვირთი, რომელიც იმყოფებოდა რონოდებში გადარჩა.

დღემდე ორთქლმავლის ამოღება შეუძლებელია, რადგან არ არის არე მუშაობის გასაფართოებლად. ამიტომ ორთქლმავალს დაშლიან და ისე ამოიღებენ.

ჭიათურის ხაზზე მეწყერების და კლდის ჩამონგრევას ძალიან ხშირად აქვს ადგილი.

481.000 მან. ელექტროფიკაციისათვის

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ მოიწონა თბილისისა და ნავთლუღის კვანძების ელექტროფიკაციის გეგმა.

გეგმის განხორციელება გათვალისწინებულია 3 წლის განმავლობაში; გეგმით უნდა მოხდეს ა.-კ. რკ. გზ. თბილისის ელსადგურის გაფართოება და თბილისის და ნავთლუღის კვანძების ყველა დადგმულობათა გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე.

ელექტროფიკაციის გატარების ხარჯები განსაზღვრულია 481.000 მან. რაოდენობით. ამ ვადისათვის წელს ელექტრო-მოწყობილობათა შესაძენად გზის გამგეობამ გადადო 110.073 მანეთი, მომავალ წელს მუშაობის განსაზღვრად გასცემს 327.927 მან. და 1928-29 წ. მუშაობის დასამთავრებლად—43.000 მან.

სამუშაოების მოწყობას უკვე შეუდგა ელექტრო - ტეხნიკური განყოფილება.

საქ. სამხედრო გზაზე

საქ. გზატკეცილთა სამმართველოს ცნობით, ავტომობილების მიმოსვლა საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე გაიხსნება მაისის ბოლო რიცხვებში.

ამჟამად თბილისიდან ავტომობილებით თავისუფალი მგზავრობა შესაძლებელია მხოლოდ სადგ. მლეთამდე, ხოლო კავკავიდან—სადგ. კობამდე.

მლეთ-კობის შუა დიდი თოვლია. მისი სისქე საშუალოდ უდრის ერთ საჟენს, ზოგან 2 საჟ. საჟენსაც კი აღწევს.

ამის გამო ამ უბანზე მგზავრობა ჯერ-ჯერობით სახიფათოა, რადგან ადგილი აქვს თოვლის დიდი ზვავების ჩამოწოლას.

მლეთა-კობის შუა ამჟამად ახერხებენ მიმოსვლას მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრებნი მარხილებით.

ახალი გამოგონება

ს. მ. უ. ს. მიერ მუხროვანის რაიონში მოწყობილ გლაუბერის მარილის გადასამუშავებელი ქარხნის დირექტორი ინჟ. გ. არეშევი ეს ერთი ხანია აწარმოებს ცდებს რკინის გზის შპალების გაჟღენთის ახალი საშუალების გამოსამუშავებლად და ვაზების საექიმოთ სხვადასხვა სნეულებებისაგან.

ამ დღეებში არეშევის გამოგონების შესამოწმებლად რკინის გზის მიერ გაგზავნილ წარმომადგენლების თანდასწრებით მოხდა შპალების საცდელი გაჟღენთა. შპალების გასაჟღენთად არეშევმა შეიმუშავა განსაკუთრებული ხსნარი, რომელიც შესდგება გლაუბერის მარილისა და სხვადასხვა ადგილად საშიში ქიმიურ ელემენტებისაგან. ცდის მიზნით გაჟღენთილი იქნა მხოლოდ 30 ცალი წიფლის შპალი, რომელიც გადაეცა რკინის გზის რკ. გზ. სამსახურის მე-14 უბანში ლიანდაგის ქვეშ დასაგებად. თვითეული შპალის გაჟღენთა ჯდება დაახლოვებით 20 კაპეიკი. გამომგონებლის აზრით, ამ საშუალებით გაჟღენთილი შპალების ხანგრძლივობა გასტანს სამ წელზე მეტს, ვიდრე ჩვეულებრივი შპალის ხანგრძლივობა.

ამავე ხსნარის საშუალებით, გამომგონებელი ფიქრობს ჩაატაროს ცდები ვაზების საექიმოთ სახალხო მამულთა სხვადასხვა უბნებში. ამ მიზნით მიწათმოქმედების კომისარიატს განზრახვა აქვს გამომგონებელს გააყოლოს ერთი თავისი მევენახე აგრონომი ცდების დასაკვირებლად. გამომგონებელმა ვაზების ექიმობის ცდები უკვე ჩაატარა თავის საკუთარ საცდელ ნაკვეთზე და მისი განცხადებით, აღნიშნულმა ცდამ გამოიღო კარგი ეფექტი.

ხეხილის სანერგეები

ყარაიაში

სახალხო მამულების ტრესტი შეუდგა ყარაიას სანერგეს აღდგენას. ეს სანერგე წინად ეკუთვნოდა თბილისის ბოტანიკურ ბაღს. სახალხო მამულების ტრესტმა შეაკეთა შენობები და დაამზადა მიწა. სამ დესეტინაზე დარგულია სხვადასხვა ხეხილი. დათესილია 40 ფუთამდე სხვადასხვა ხილის თესლი. ამჟამად შეუდგნენ ბოსტნეულის თესვას. ბოსტნეულის თესლი დაგროვდება და გაიყიდება.

მუკუზანში

სახალხო მამულების ტრესტმა მუკუზანის სახალხო მამულში გააშენა ხეხილის ახალი სანერგე კახეთის საჭიროებისათვის. სანერგეში დარგულია 33.000 ცალი ხეხილის ნერგი, სხვადასხვა ჯიშის. ამავე მამულისთვის გამოწერილია ფრანგული და ოსმალური ჯიშის ნერგები (სულ 9 ჯიშის) — 1.800 ცალი. გამოწერილია აგრეთვე ზეთის ხილის ნერგები.

ზოოლოგიური ბაღი

თბილისის ზოოლოგიური ბაღის დასაარსებლად შედგენილია სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან: თბილისის აღმასკომის, მიწადმოქმედების კომისარიატის, სახელმწიფო უნივერსიტეტის და სხვა დაინტერესებულ საზოგადო და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები.

კომისიამ განიხილა და მიიღო ზოოლოგიური ბაღის ორგანიზაციის პროექტი, რომლის მიხედვით, ბაღი შესდგება 7 მთავარ განყოფილებისაგან.

პირველი განყოფილება გაშენდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გვერდით, მდ. ვერის მარცხენა ნაპირზე, ეს იქნება მთიან ადგილების გარეულ ცხოველთა მოსათავსებელი განყოფილება. შემდეგ იქნება საორმე ტბა და ჭაობი, აფრიკის უდაბნო, კავკასიის უდაბნო, მაიმუნების კუნძული და სხვა.

ზოოლოგიურ ბაღის მოსაწყობი მუშაობა დაიწყება ახლო მომავალში. ბაღის დამთავრება განზრახულია 1928 წელში.

საქართველოს ცაკში

თელავის გლეხის სახლში

სრ. საქ. ცაკის კოლ. უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით, თელავის გლეხის სახლში 1926 წლის 1-ლ ოქტომბრიდან 1927 [illegible] ჩამოსულმა 2121 გლეხმა. 2121 გლეხში ღამე გაათევეის უფასოდ 230 გლეხს, დანარჩენს — შეღავათიან ფასებში. ამ დროის განმავლობაში უფასოდ იურიდიული რჩევა - დარიგება მიეცა 121 გლეხს; უფასოთვე აჩვენეს კინო - სურათები 1191 გლეხს; გლეხებისათვის ამ დროისვე განმავლობაში სამეურნეო და პოლიტიკურ საკითხებზე 431-ჯერ მოაწყვეს მოხსენებები და საუბრები.

სახკომსაბჭოში

საექიმო დარგის მუშაკთა მუშაობის შესახებ

სახკომსაბჭომ დაამტკიცა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი დადგენილებისა—საექიმო დარგის მუშაკთა პროფესიულ მუშაობისა და უფლება-მოვალეობათა შესახებ.

აგურის ქარხნის აგება ქ. ხაშურში

სახკომსაბჭომ ნება მისცა გორის სამაზრო აღმასკომს ქ. ხაშურში აგურის ქარხნის ასაგებად აიღოს გრძელვადიანი სესხი 26.000 მან. რაოდენობით.

ჯან. სახ. კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცება

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის შემადგენლობა დამტკიცებულ იქნა შემდეგი სახით: ამხ. გ. კუპაძე (თავმჯდომარე), გ. მამალაძე, ფრანგულიანი, ზარაისკი, გოგიბერიძე, მაჭავარიანი, მამულია, ლორთქიფანიძე, მაქაროვი, ვირსალაძე, მუხაძე, ალადაშვილი, პროფკავშირთა საბჭოს ერთი წარმომადგენელი და ერთი დაწინაურებული გლეხი.

აჰესის შემადგენლობის შეცვლა

აბაშის ჰიდრო-ელსადგურის სააღმშენებლო კომიტეტის წევრების ამხ. გოგიასა და მეგრელიშვილის ნაცვლად დაინიშნა ამხ. ლომთათიძე და ინჟ. ჯაოშვილი.

საბაჟო ჯარიმის გადახდის შესახებ

სახკომსაბჭომ დაამტკიცა იუსტიციის სახ. კომისარიატის მიერ შემუშავებული დადგენილება საბაჟო დაწესებულებების მიერ დადებული ჯარიმის გადაუხდელობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. ხსენებულ დადგენილების ძალით ჯარიმა, რომელსაც დაუწესებს საბაჟო დაწესებულება უბრალოდ კონტრაბანდისათვის, შეტანილი უნდა იქნეს საბაჟოს სალაროში ორი კვირის ვადით იმ დღიდან, როდესაც გამოცხადებულ იქნება დადგენილება ჯარიმის დადების შესახებ. საბაჟო დაწესებულების მიერ დაწესებული ჯარიმის გადაუხდელობისათვის დამნაშავეს შეიძლება მიესაჯოს იძულებითი მუშაობა ორ თვემდე.

საგეგმო კომისიაში

სახანძრო დაზღვევა

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო განთავისუფლებულ იქნეს ამჟამად სახანძრო დაზღვევისაგან საქართველოს სას.-სამ. ტიპის 14 ქალაქის მარტო ის ნაწილები, რომელნიც ეზღვრებიან მხოლოდ სას.-სამ. გადასახადით.

მეწყერთან ბრძოლა

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო „მეწყერთან მებრძოლ სრულიად საკავშირო კომიტეტის" დაარსება.

ბორჯომის ჰიდრო-ელსადგურის გადაკეთება

პრეზიდიუმმა დაამტკიცა სამრეწველო-სააღმშენებლო სექციის დასკვნა—ბორჯომის ჰიდრო-ელსადგურის გადაკეთების შესახებ.

ჩაის მცოდნეობის ინსტიტუტის შესახებ

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოქ. კარსაკოვის მოხსენება „ჩაის მცოდნეობის საცდელ-გამომკვლევ ინსტიტუტი"-ს დაარსების შესახებ. პრეზიდიუმმა ხსენებულ საქმის ცხოვრებაში გატარება დაგვიანებულად ჩასთვალა, ვინაიდან ჩაის კულტურისა და დამუშავების შესწავლა საქართველოში 1926 წლიდან უკვე რეალურ ნიადაგზეა დაყენებული.

ელექტრო-მშენებლობა

პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო მსხვილ ელექტრო-მშენებლობის შესასრულებლად სამეურნეო ანგარიშზე მომქმედ ორგანიზაციის დაარსება. ამასთან ერთად, პრეზიდიუმმა მისაღებად სცნო ხსენებულ საზოგადოებისათვის შემუშავებული წესდების პროექტი.

საბჭოთა სასამართლო

საზიზღარი მკვლელობა

დედამ ერთი შვილის დახმარებით ყელი გამოსჭრა მეორე შვილს

გუშინწინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. **ლაშხის** თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: **ჟუჟანეიშვილის და მაილოვას,** პროკურორ **ლ. ჯანჯღავას** და მდივან **ტატიშვილის** მონაწილეობით მანგლისში გაარჩია **ოგანეზ ალთუნაშვილის, მაკა და პავლე მაისურაძის, არტაშა ასლამაზოვის, სოლომონ ჩივაძის, არშაკ ალთუნაშვილის და დათა მჭედლიძის საქმე.**

სოფ. პატარა თონეთში (მანგლისის რაიონი) სცხოვრობდა მოქ. **გიორგი მაისურაძე.** მასთან ერთად სცხოვრობდა დედა მაკა — 60 წლის და ძმა პავლე—22 წლის. გიორგის ჰქონდა 8.000 მანეთი. ეს იცოდა მისმა მეზობელმა ოგანეზ ალთუნაშვილმა—70 წლის. ამ უკანასკნელს განზრახვა ჰქონდა გაეძარცვა გიორგი მაისურაძე. ამ მიზნით დაუახლოვდა გიორგის დედას მაკას და შემდეგ აღუთქვა ცოლად შერთვა, რადგან ორთავე ქვრივები იყვნენ. ოგანეზმა გიორგის დედა დაარწმუნა იმაში, რომ გიორგის გასაძარცვავად საჭიროა მისი (გიორგის) მოკვლა.

ოგანეზმა განუცხადა გიორგის დედას, რომ ამაში არ გატარდებოდა მანამ, სანამ განზრახვას სისრულეში არ მოიყვანდა. მაკა დათანხმდა შვილის მოკვლის განზრახვაზე. დაითანხმეს აგრეთვე გიორგის ძმა პავლე.

ა. წ. აპრილში ოგანეზ ალთუნაშვილმა მიიპატიჟა სახლში ამხანაგები: არტაშა ასლამაზოვი, სოლომონ ჩივაძე და დათა მჭედლიძე. ჯერ აქეიფა ისინი და შემდეგ კი გაუზიარა მათ თავისი განზრახვა. ამხანაგები დათანხმდნენ.

პავლე მაისურაძემ განუცხადა მათ:

— მე თანხმა ვარ მოვკლათ ჩემი ძმა; მით უმეტეს, რომ ამას დედა-ჩემი მავალებსო.

საღამოს თავდამსხმელები მივიდნენ გიორგი მაისურაძის სახლში. სახლიდან გამოვიდა გიორგის დედა მაკა და განაცხადა:

— ჯერ ადრეა, ჩემ შვილს არ სძინავს.

შემდეგ მაკამ გიორგს რომ დაეძინა, ჩააქრო სანთელი და გამოვარდა გარედ და შესძახა „სტუმრებს":

— ეხლა დროა, ჩუმათ შედით ოთახში და მოჰკვეთეთ თავი გიორგისო.

მჭედლიძემ ამოიღო ბებუთი და გადასცა პავლეს, რომელსაც პირობის თანახმად თვითონ უნდა გამოეჭრა ყელი ძმისათვის.

ასლამაზოვი, მჭედლიძე და ჩივაძე დააწვნენ თავზე მძინარე გიორგის, რომელმაც გამოიღვიძა და გამოიცნო თავისი ძმა. გიორგი ემუდარებოდა თავის ძმას არ მოეკლა ის. პავლემ ამხანაგების დახმარებით თავი მოჰკვეთა ძმას, რის შემდეგ მიაყენა 26 ჭრილობა.

გვამი გადააგდეს ხევში. მოკლულის დედამ ფულები გადასცა ოგანეზ ალთუნაშვილს. უკანასკნელმა 97 მანეთი მისცა არტაშ ასლამაზოვს და მის ამხანაგებს.

როცა მოკლულის ძმამ ოგანეზს ფული მოსთხოვა—ოგანეზმა უპასუხა:

— ვერაფერს მოგცემთ ,რადგან მოკლულს აღმოაჩნდა მხოლოდ 20 მანეთიო.

9 დღის შემდეგ გიორგი მაისურაძის გვამი იპოვეს ხევში. საგამომძიებლო ორგანო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მკვლელობა სულ სხვა ადგილას იყო მომხდარი.

მოკლულ მაისურაძის ბინაზე გაჩხრეკის დროს ტახტის ფიცრებზე აღმოაჩინეს სისხლის წვეთები.

ბოროტმოქმედნი დააპატიმრეს, მაკა და პავლე მაისურაძე, ალთუნაშვილი და სხვები გამოტყდნენ დანაშაულობაში.

სასამართლომ ყველა ბრალდებულებს (4 კაცს და 1 ქალს) მიუსაჯა **უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა,** მთელი ქონების კონფისკაციით.

განაჩენი კ. ხაზარაძის საქმეზე

სასამართლომ სადგურ სკრას ყოფილი უფროსი კონდრატი ხაზარაძე დამნაშავედ სცნო სამსახურეობრივ გულგრილობაში, რითაც რკინისგზას მიაყენა 10.911 მანეთის ზარალი. ამის გამო ხაზარაძეს მიესაჯა 1 ნახევ. წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით.

ლამის და მონიავას საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩა „ზაკრეკლამის" ყოფილ აგენტების ლამის და მონიავას საქმე.

ბრალდებულები ითვისებდენ განცხადებებიდან შემოსულ ფულს. მონიავამ დანაკლისი ფული დაფარა. ლამმა კი მიითვისა 725 მანეთი.

სასამართლოში მონიავა გამოტყდა დანაშაულში; ბრალდებულმა ლამმა თავი არ სცნო დამნაშავედ.

სასამართლომ მონიავას მიუსაჯა 1 წლით პირობითი სასჯელი.

ლამის მიესაჯა 1 ნახევ. წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით.

სოფ. ვაშლოვანის სასოფლო - საბჭოს ყოფილ თავმჯდომარის საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით დაიწყო სოფ. ვაშლოვანის (ასურეთის რაიონის) სასოფლო საბჭოს ყოფილ თავმჯდომარის მალხაზ ბერიძის საქმის გარჩევა.

როგორც საქმიდან სჩანს, ბერიძე მეტად უხეში კაცი იყო და ავიწროებდა გლეხებს. იყო შემთხვევა, როცა ის გლეხის ცხენით დაიარებოდა სოფლებში და გლეხს კი ფულს არ აძლევდა.

სცემდა გლეხებს და ემუქრებოდა სიკვდილით დასჯით. როცა გლეხები ეტყოდენ ბერიძეს, რომ ისინი ყოველივეს მოახსენებენ სათანადო ორგანოებს, მაშინ ის აპატიმრებდა მათ.

სასამართლოში ბრალდებულმა ბერიძემ არ სცნო თავი დამნაშავედ.

გუშინ სწარმოებდა მოწმეების დაკითხვა. განაჩენი გამოტანილი იქნება დღეს.

სამსახურისადმი გულგრილობა

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩა ალექსი ჭინჭარაძის საქმე.

1926 წ. 2 ივლისს, ჭინჭარაძე სადგურ ნავთლუღში იმყოფებოდა ვაგონების გადამბმელად. სამსახურისადმი დაუდევრობით ორთქლმავალი გადასცდა ლიანდაგს და ქვეშ მოიყოლია მემანქანის თანაშემწე ხახიტაშვილი. რკინისგზამ მიიღო 2.000 მანეთის ზარალი.

სასამართლომ ჭინჭარაძეს მიუსაჯა ერთი წლით პირობითი სასჯელი.

ბოროტმოქმედება თამბაქოს ტრესტის მაღაზიებში

მერვე დღე

გუშინდელ სხდომაზე დასრულდა ბრალდებულების დაკითხვა. ბრალდებული კუციძე აცხადებს, რომ მან 3.000 მანეთის საქონელი მისცა უხელწერილოდ მოქ. ენუქაშვილს. ბრალდებულის სიტყვით, ფულის ანაზღაურება შეუძლებელია მით, რომ ენუქაშვილის სახლს დადებული აქვს ყადაღა.

ბრალდებული ლორთქიფანიძე გადაჭრით უარჰყოფს ბრალდებულ კუციძისაგან 7.500 მანეთის საქონლის მიღებას.

დღევანდელ სხდომაზე ექსპერტებს მიეცათ კითხვები.

გამფლანგველი

გუშინ ოლქის სასამართლოში ამხ. გაზიევის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების ზარაპოვის და კახაშვილის მონაწილეობით გაირჩა ლეონიდე დუმბაძის საქმე.

სასამართლოში გამოირკვა, რომ დუმბაძემ სასოფლო - სამეურნეო ამხანაგობის „მდელო"-ს მაღაზიაში მოლარეთ ყოფნის დროს, ყალბი საბუთების შედგენის საშუალებით მიითვისა და გაფლანგა 210 მანეთი.

ბრალდებულმა თავი სცნო დამნაშავედ და დასძინა, რომ ბოროტმოქმედება მან ჩაიდინა მატერიალური შევიწროების ნიადაგზე.

სასამართლომ დუმბაძეს მიუსაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ მხედველობაში მიიღო მისი სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუცვალა პირობით.

ქრონიკა

ექსკურსია

ორშაბათს, 2 მაისს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირი აწყობს თავისი წევრების მასიურ ექსკურსიას მცხეთაში; ექსკურსიის ხელმძღვანელია ამხ. **ქმონძერი.**

ექსკურსანტებს მიჰყვება მსახიობები, გუნდები და ფიზკულტურის წრეები. ექსკურსია თბილისში დაბრუნდება იმავე დღეს საღამოს.

ჯანსახკომის კოლეგია

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კოლეგია დაამტკიცა შემდეგი შემადგენლობით: ამხ. **კუჭაიძე, მამალაძე, ფრანგულიანი, ლოლობერიძე; მამულია**; პროფ. **მაჭავარიანი**, ექ. **კ. ლორთქიფანიძე**, ექ. **მაკაროვი**, პროფ. **ვირსალაძე**, პროფ. **მუხაძე**, პროფ. **ალადაშვილი**, პროფ. საბჭოს წარმომადგენელი და დაწინაურებული—გლეხი.

ამხ. კუჭაიძის გამგზავრება

გუშინ, ჯანმრთელობის სახ. კომისარი ამხ. გ. კუჭაიძე გაემგზავრა მოსკოვში ჯანსახკომების საკავშირო თათბირზე დასასწრებლად.

ამხ. კუჭაიძე დაესწრება აგრეთვე რუსეთის ჯანმრთელობის განყოფილებათა ხელმძღვანელობისა და რკ. გზათა ჯან. განყოფილებების საკავშირო ყრილობასაც.

სამგორის მორწყვის პროექტი

წყალთა მეურნეობის სამმართველომ მოსკოვში მიავლინა ინჟ. **პ. მამრაძე**, რომელმაც უნდა წარადგინოს და დაიცვას სამგორის ველის მორწყვის პროექტი, მთავარ საირიგაციო კომიტეტში. საირიგაციო კომიტეტის მიერ სამგორის ველის მორწყვის საქმის შესასწავლად გამოყოფილია სპეციალური კომისია პროფ. მოსკვიტინოვის თავმჯდომარეობით.

თათბირი პირველი მაისის ჩატარების შესახებ

შაბათს, აპრილის 30-ს, დილის 9 საათზე მუშათა სასახლის დიდ დარბაზში დანიშნულია კავშირების ც. გ., კლუბების, სამხატვრო და დრამატიულ წრეების ხელმძღვანელთა, ს. კ. პ. (ბ) და ლ. ა. კ. კ. რაიკომების წარმომადგენელთა და სამხედრო ნაწილების წარმომადგენელთა თათბირი—პირველი მაისის ზეიმის ჩატარების შესახებ.

გერმანელ მასწავლებელთა დელეგაცია

ახლო ხანში თბილისში ჩამოვა გერმანელ მასწავლებელთა დელეგაცია, რომელიც ამჟამად იმყოფება რუსეთში.

რაიონული ექიმები

ჯანმრთელობის და სოცდაზღვევის ორგანოებს განზრახული აქვთ გააუქმონ ცალკე რაიონებზე ექიმების მიმაგრების წესი. მომავალში დაზღვეულებს საშუალება ექნებათ მოიწვიონ ის ექიმი, რომელიც მათ უნდათ, გარეშე იმისა, რომელ რაიონში სცხოვრობს თვითონ ექიმი.

სამკურნალოს გამოკვლევა

შრომის ჰიგიენის ლაბორატორია შეუდგა თბილისის ტალახის სამკურნალოს გამოკვლევას, რომ გამოარკვიოს გოგირდ - წყალბადის შემადგენლობა სამკურნალოში.

ცნობილია, რომ გოგირდ - წყალბადი ცუდათ მოქმედობს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

გამოკვლევის დამთავრების შემდეგ შრომის ჰიგიენის ლაბორატორია გამოიმუშავებს პრაქტიკულ ღონისძიებებს გოგირდ - წყალბადის მავნებლობის შესამცირებლად.

ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება სახელგამის წიგნის მაღაზიებში ამხ. ი. სტალინის წიგნი: „ჩინეთის რევოლიუციის პერსპექტივები", 34 გვ. ფასი—20 კაპ. გამოცემა სახელგამის.

თბილისის ალმასკომში

◆ **დახმარება.** საზ-ბა „ბავშთა მეგობრობას" ალმასკომმა აპატია კომუნალური გადასახადი 957 მანეთის რაოდენობით.

◆ **მალარიასთან ბრძოლა.** ჯანმრთელობის განყოფილება აწყობს ექიმთა ახალი რაზმებს მაზრაში მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად.

განათლების კომისარიატში

◆ **კოლოკვიუმები.** განათლების კომისარიატის დადგენილებით წელს სპეციალურ ტექნიკუმებში კოლოკვიუმები იწარმოებს 7—20 ივნისამდე.

◆ **სამეცნიერო ხარისხი.** სახ. უნივერსიტეტის დადგენილებით პედაგოგიურ ფაკულტეტზე ახალ სახელმძღვანელო დებულების გამოცემამდე შეწყვეტილია სამეცნიერო ხარისხის მისალებათ ახალი სადისერტაციო შრომის განხილვა და ახალი გამოცდების ჩაბარება.

მიწადმოქ. სახ კომისარიატში

◆ **თუთის ნერგები.** თბილისის საბრეშუმო სადგურმა მეაბრეშუმე გლეხებს შორის გასანაწილებლად დაამზადა 45.425 ცალი თუთის ნერგი.

◆ **კახური მევენახეობა-მეღვინეობის სადგური** შეუდგა ინსტრუქტორ-სპეციალისტების საშუალებით მევენახე გლეხებისათვის რჩევა-დარიგების მიცემისა და საუბრების მოწყობას.

◆ **აბრეშუმის თესლი.** თბ. საბრეშუმო სადგურმა შეამოწმა 145.988 კოლოფი აბრეშუმის თესლი, რომელთაგან ვარგისათ ცნობილი იქნა მხოლოდ 136.000 კოლოფი. ამ რაოდენობიდან აზერბეიჯანს გადაეგზავნა 21.549 კოლოფი, დანარჩენი გაუნაწილდება საქართველოს მეაბრეშუმეებს.

ეკონომიური ცხოვრება

◆ **ახალქალაქის მაზრაში** მეთევზეობის საქმის განსავითარებლად საქართველოს სასოფლო სამეურნეო ბანკმა გადასდო 15 ათასი მანეთი.

◆ **ახალგორის საკრედიტო** ამხანაგობა ამზადებს 7ათას ფუთ მატყლს.

◆ **თამბაქოს მეურნეობისთვის** საქ. სასოფლო - სამეურნეო ბანკმა მისცა სესხი: ლაგოდეხის საკრედიტო ამხანაგობას — 30 ათასი მანეთი, ამხ-ბა „სიმართლეს" — 17 ათასი მანეთი.

◆ **გურჯაანის საკრედიტო** ამხ-ბა აგებს ევროპიულ ტიპის დიდ სარდაფს.

◆ **სესხი.** საქ. სას.-სამ. ბანკმა ამიერ - კავკასიის ბანკიდან მიიღო 118.000 მანეთი მიმდინარე წლის მეორე მეოთხედის ანგარიშში. ამ თანხიდან 83.000 მანეთი გადასდო საკრედიტო ამხ-ბათა სპეციალურ საბრუნავ თანხების გასაძლიერებლად და 35 ათასი მან. ძირითად კაპიტალის გასაძლიერებლად.

შეცდომის გასწორება

„კომუნისტი"-ს № 93-ში მოთავსებული იყო ცნობა სათაურით: „რადიო-კურსები". ამ ცნობაში ნათქვამი იყო, რომ 29 აპრილს გაიხსნება რუსული რადიო-კურსები, ნამდვილათ კი რუსული რადიო-კურსების გახსნა განზრახულია მაისის ბოლო რიცხვებისათვის.

შემთხვევები

ორი ბავშვი დაახრჩო და თვითონაც თავი დეიხრჩო

გუშინ დოლაურის მახლობლად მოქ. **ევდოკია გალანინამ** მტკვარში გადაყარა ორი თავისი ვაჟიშვილი, ერთი—4½ წლისა და მეორე—5 წლისა. შემდეგ გალანინას ქალი თვითონ გადავარდა მტკვარში. ყველანი დაიხრჩო.

თავის დახრჩობის მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **მკვლელობა,** 27 აპრილს, ტაბახმელის საზრატე სადგურის შენობაში, შურისძიების მიზნით, გრიგოლ არუთინოვმა კეტით მოკლა ბეჩო კარაპეტიანცი. მკვლელი შეიპყრეს.

◆ **გვამის პოვნა.** 27 აპრ. სადგურ რუსთავის ახლოს, მტკვრის პირას იპოვეს თავ და ფეხებ მოჭრილი და თოკით ხელებ შეკრული მამაკაცის გვამი, მოკლული აღმოჩნდა ვინმე მახმედ-ალი-ოღლი.

◆ **დაჭრა.** 27 აპრ., დესიმონოვის ქუჩაზე, სერგო ლაპატინმა რევოლვერით დაჭრა სადიკ სუროვი.

◆ **ქურდი ნოქარი.** 27 აპრ. დააპატიმრეს მუშკოოპის თევზეულობის მაღაზიის ნოქარი ს. ბახჩიევი, რომელიც მალულად ყიდდა საქონელს.

◆ **ჯიბგირობისთვის** 27 აპრ. მილიციამ შეიპყრო მოქ. ათამ ბაღდასაროვი.

◆ **წინდების ქურდები.** 26 აპრ. შეიპყრეს პართენ ალავიძე და იოსებ ვურგენიძე, რომლებმაც ვაჟარ ვეფხვაძეს მოპარეს თორმეტი წყვილი წინდა.

◆ **ამავე დღეს შეიპყრეს** ანდრონიკ მანუკიანცი, რომელმაც მკრტიჩ ნაზთიანცის სავაჭროდან (პუშკინის ქ. 25) მოიპარა ერთი ტომარი ლობიო.

ვენახების აღდგენა

ამჟამად მთელ საქართველოში სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა ფილოქსერისაგან დაზარალებულ და განადგურებულ ვენახების აღსადგენად. ფილოქსერისაგან განადგურებულ ვენახების აღდგენის საქმეს აწარმოებს მიწათმოქმედების კომისარიატი, კოოპერატიული ორგანიზაციები და სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები. ჯერ-ჯერობით დამზადებულია მუკუზანის მამულში—300.000 ცალი დამყნილი ვაზა, წინანდალის მამულში—350.000 ცალი, ნაფარეულის—200.000, ვარციხის—150.000, კარდანახის—1.500, იყალთოს სანერგეში—300.000, კონდოლის სანერგეში—150.000, ჩუმლაყის—150.000, სალხინოში—200.000 ცალი; სულ დამზადებულია—1.950.000 ცალი.

პურის შემოზიდვა

საკავშირო სახ. ვაჭრობის სახ. კომისარიატიდან ა. კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატში მიღებულია ცნობა, რომ მაისის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში შემოტანილ იქნება 775.000 ფუთი პურის ფქვილი. აქედან „ხლებოპროდუქტმა" უნდა შემოიტანოს 425.000 ფუთი, სახ. ბანკის ინიციატივით შემოზიდავენ 200.000 ფუთს, „ცენტროსოიუზი" შემოიტანს—100.000 ფუთს, „ხლიბოცენტრი"—50.000 ფუთს და „კავშირები"—50.000 ფუთს.

ა.-კ. შინავაჭრობის კომისარიატის ვარაუდით, აღნიშნული რაოდენობის პურის შემოზიდვით პურის ფქვილით სავსებით იქნება დაკმაყოფილებული ამიერ-კავკასიის ბაზრების მოთხოვნილება.

ხელოვნება

საოპერო სეზონის შედეგები

ჩვეულებისამებრ საოპერო დასი შესდგა სეზონის დაწყების წინ, რაც არაფრის გზით არ შეიძლება ჩაითვალოს მიზანშეწონილად, რადგან ასე დაწყებულ საქმეს შემთხვევითი ხასიათი აქვს. წელს დასში შედიოდენ ბოგოლეპოვა (დრამატიული სოპრანო), ბოკოვა (ლირიკო-დრამ.სოპრანო), სპრიშევსკაია (ლირიული). მეორე პარტიებიდან გილბერტი, გაბაშიძე, ვლადისლავსკაია. მეცო სოპრანოებიდან დამსახურებული მსახიობი სკიბიცკაია (დრამატიული), ვოლჩანეცკაია (ლირიული). მეორე პარტიებიდან: მაყაშვილი. დასის დიდ ნაკლს წარმოადგენდა კოლორატიულ სოპრანოს პარტიის ამსრულებელი მომღერლის უყოლობა, რაც გავლენას ახდენდა რეპერტუარის შერჩევაზე. პირველი პარტიების შესასრულებლად მოწვეულმა დრამატიულმა ტენორმა **ვიტინგმა** ვერ გაამართლა იმედები უმთავრესად იმიტომ, რომ მას არ ჰქონია ფართო რეპერტუარი. მსახიობმა **ქუმსიაშვილმა** წელს გააფართოვა თავისი რეპერტუარი ევროპიული ოპერების საპასუხისმგებლო პარტიების შესრულებით. მომღერლის ხმა საერთოდ უმჯობესდება. მთელი სეზონის განმავლობაში კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა თავისი ლამაზი ხმით, საქმისადმი კეთილსინდისიერი მოპყრობით ლირიულ ტენორი **კანსბურგი**. დამაკმაყოფილებელი იყო მეორე პარტიებში **პოვიანოვი** და **ფროლოვი**. ამ სეზონში რამოდენიმე პარტიაში გამოვიდა ახალგაზრდა მომღერალი **ანდღულაძე**, რომლის მონაწილეობასაც დასში, სამწუხაროდ, შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. ბარიტონის პარტიების პრემიერათ მოწვეული იყო **გორელოვი**, რომელმაც სრულიად გაამართლა იმედები, როგორც კულტურულმა მსახიობმა. **ქარცივაძეს** აქვს ხმის მდიდარი მასალა, მაგრამ აკლია სკოლა. ვენაძე მუშაობს და თანდათან აუმჯობესებს თავის ხმას. ეპიზოდურად გამოდიოდა ბარიტონი დოლონაძე, რომელსაც აქვს მშვენიერი ხმა, მაგრამ აკლია სცენიური ერუდიცია. იანვრიდან ოპერაში მონაწილეობდა **ს. ინაშვილი**, რომელმაც შექმნა რამოდენიმე მხატვრული სახე. წინსვლა ეტყობა **ქურხულს.** მეორე პარტიების შესასრულებლად მოწვეული ტენორი **სვანიძე** მუსიკალური მომღერალია და იმედებს იძლევა. ბანებს შორის მღეროდენ **შარაშიძე,** რომელსაც აქვს ლამაზი ხმა და სცენიური განსახიერების უნარი, და **მესნიაევი,** რომელიც არის უაღრესად მუსიკალური მომღერალი და, რომელსაც ემარჯვება პარტიების მხატვრული სცენიური განსახიერება. ბასო-ბუფის პარტიების შემსრულებელი **დემიანენკო** იძლეოდა მხატვრულ სახეებს, მაგრამ მღეროდა მკრთალად. კაპელმეისტერები **ფალიაშვილი და სტოლერმანი** სავსებით აკმაყოფილებდენ დამთავრებული მხატვრული შემოქმედების სერიოზულ მოთხოვნილებებს. ზოგიერთ ოპერებს დირიჟორობდა ახალგაზრდა კაპელმეისტერი **მელიქ - ფაშაევი**, რომელსაც აქვს გარკვეული მუსიკალური ნიჭი.

მიგაის და **სტეპანოვას** გასტროლებმა წელს ვერ გამოიწვიეს იმდენი ინტერესი, როგორც გასულ წელში; უფრო მეტი წარმატებით ჩატარდა სტეპანოვას გასტროლები. გამარჯვებით ჩატარდა გასტროლები **დიმიტრი სმირნოვის,** რომელსაც პირველ ხარისხოვანი ხმა არა აქვს, მაგრამ რომელიც შესანიშნავი მომღერალი და მსახიობია. ჩვეულებრივ მშვენიერი და ძლიერი იყო ორკესტრი. ჩვეულებრივი გამოცდილება გამოიჩინა მომღერალთა გუნდმა. ბალეტის შემადგენლობაში აღსანიშნავი არიან: ჭაბუკიანი, გვარამაძე, რატუშენკო, ლეონოვა, ჩიკვაიძე; სემიონოვა, ჭყონია, სერგეევი, გორსკი, გულულოვი; დიმიტრიევი და ბარხუდაროვი.

წელს განახლებულ იქნა რეპერტუარი. დაიდგა **ჩაიკოვსკის „მაზეპა"**. სენ-სანსის „სამსონ და დალილა" ორივე ეიხენვალდის ტრაქტოვკით. განახლდა აგრეთვე „ტრილბის" და „ლოენგრინის" დადგმა. წარმატებით ჩატარდა მარია პერინის 30 წლის იუბილე.

ვ. ზ.

1 მაისის დემონსტრაციების მხატვრული პროგრამა.

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ მიიღო ზომები პირველი მაისის დემონსტრაციების მხატვრული ნაწილის გასაცხოველებლად.

1 მაისს დილის 9 საათიდან დაიწყება რადიო-კონცერტების გადაცემა სხვადასხვა ქუჩებზე; ამისათვის დადგმული იქნება შორისმაუწყებელი აპარატები.

ამას გარდა, ოპერის თეატრის აივნიდან აკადემიური გუნდი **კ. ფოცხვერაშვილის** ხელმძღვანელობით შეასრულებს სხვადასხვა ხალხურ და რევოლიუციონურ სიმღერებს.

რუსთაველის თეატრის აივნიდან კი სხვადასხვა სიმღერებს შეასრულებს „ჰაიარტუნის" გუნდი.

გარდა ამისა, რუსთაველის პროსპექტზე მოწყობილი იქნება 6 ტრიბუნა-მოედანი, საიდანაც დემონსტრანტებს უჩვენებენ სხვადასხვა პანტომიმებს, შარადებს, სკეტჩებს და სხვა.

გიოტეს ლექსებისა და წერილების პოვნა

ლენინგრადში, გეოლოგიურ კომიტეტში მტვრიან ქაღალდებში, რომლებიც შეიცავენ ცნობილ სამთო გამოკვლევებისა და ანგარიშების ბაქოს რაიონში ქა-ბურღილების აშლების შესახებ, იპოვეს გიოტეს წერილი და ორი გაყვითლებული ფურცელი, რომლებზეც აღმოჩნდა გიოტეს ხელით დაწერილი ექვსი ლექსი.

აღნიშნული ლექსები გიოტეს 1825—30 წ. გაუგზავნია თავის მეგობარისა და ამხანაგისთვის. დერპტის უნივერსიტეტის პროფესორ გებელისათვის.

პროფ. გებელი გარდაიცვალა წარსული საუკუნის 50-იან წლებში. (მისი არქივი დარჩენია მის შვილს, რომელიც მრავალი წლების განმავლობაში მსახურობდა სამეცნიერო აკადემიაში და იყო მინერალოგიური მუზეუმის გამგე.

გებელის შვილი დიდი ხანია რაც გარდაიცვალა.

თუ როგორ მოხვდა გიოტეს ხელთნაწერები გეოლოგიურ კომიტეტში, ჯერ არ არის გამორკვეული.

პროლეტარულ მწერლების ლიტერატურული გამოსვლა

28 აპრილს პროლეტარული მწერლები გამოვიდნენ კომუნალურ საქარხნო - საფაბრიკო სკოლაში. **ბ. ჟღენტმა** მოხსენებაში გაარკვია ხელოვნების კლასიური აზრი და განიხილა საქ. პროლეტარული ლიტერატ. წარსული და აწმყო. მომხსენებელმა გაარკვია, როგორც რუს, ისე ქართველ პროლეტარულ მწერლების შემოქმედება. მოხსენების შემდეგ გამოვიდნენ შემდეგი პროლეტ. მწერლები: **მაგერი, ა. მაშაშვილი, კ. კალაძე, კ. ლორთქიფანიძე, ილ. ხოშტარია და სხვები.** მოხსენების და მწერლების გამოსვლის შემდეგ გაიმართა გაცხოველებულ აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რითაც მუშა ახალგაზრდობამ გამოამჟღავნა დიდი ინტერესი პროლეტარულ ლიტერატურისადმი.

„მიუსიკ-ჰოლლ".

„მიუსიკ-ჰოლლ"-ის შენობა გადაეცა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირს ვანო სარაჯიშვილის სახელობის ხელოვნების სახლის მოსაწყობად.

„მიუსიკ-ჰოლლ"-ი აქამდე კერძო წარმოება იყო; ეხლა კი თეატრის შენობა დიდი დავალიანების გამო ჩამოერთვა თეატრის მოიჯარადრეს. თეატრში მომუშავე დასი გადაყვანილი იქნება შრომის კოლექტივზე.

მიღებულია ზომები მოიჯარადრეს დავალიანების დასაფარავად, რისთვისაც ხელოვნების მუშაკთა კავშირმა სთხოვა შრომის სასამართლოს წინასწარი ყადაღი დაადოს მოქ. სიხარულიძის (მოიჯარადრეა) ქონებას, რომელიც „მიუსიკ-ჰოლლ"-შია.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **სათეატრო თათბირი.** ხელოვნების განყოფილება 5 მაისს თბილისში იწვევს სათეატრო თათბირს. თათბირზე მოწვეული იქნებიან თეატრის ყველა ხელმძღვანელები. თათბირის მიზანია—გამოარკვიოს ჩვენი სათეატრო აღმშენებლობის პირობები.

◆ **მოძრავი თეატრი.** ამჟამად მუშავდება გეგმა მოძრავი თეატრის დასაარსებლად.

◆ **ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის** დღესასწაულის აღსანიშნავად ხელოვნების განყოფილება უახლოეს მომავალში გამოაცხადებს კონკურსს ორ პიესაზე.

◆ **მუსიკალური სტუდია.** დღეს მოსკოვის მუსიკალური სტუდია დასდგამს უკანასკნელად „პერიკოლას".

◆ **სიმღერის მასწავლებელთა კურსები.** უახლოეს მომავალში თბილისში გაიხსნება საშუალო სკოლების სიმღერის მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები.

◆ **პროლეტ. პოეტების ანთოლოგია.** იბეჭდება

◆ **ხაშურის თეატრი.** ხაშურის რკინისგზის და უახლოეს მომავალში გამოვა პროლეტარულ პოეტების ანთოლოგია.

თეატრის დრამწრე დასადგმელად ამზადებს „ამერიკელ ძიას".

◆ **სამეცნიერო ფილმები.** საქ. სახკინმრეწვი უახლოეს მომავალში დაიწყებს მუშაობას მეფუტკრეობის შესახებ სურათის დასადგმელად. მზადდება სურათი მევენახეობის და მეღვინეობის შესახებ.

◆ **დუროვი—ეკრანზე.** სახკინმრეწვი ამ დღეებში გამოუშვებს ახალ სურათს საბავშვო კინო-ფილმს დუროვის ცხოვრების მონაწილეობით.

◆ **საბავშვო სიმღერების კრებული.** გამოვიდა კომპოზიტორ თამარ შავერზაშვილის მიერ შედგენილი საბავშვო სიმღერების კრებული.

ხელოვნება. მგისზცხა დ;ზსუვო უვო უ სუ სვო

◆ **ელიზბარ პოლუმორდვინოვის** მოთხრობების წიგნი **„ვერცხლის ქამარი"**, გამოვიდა და იყიდება ყველა სახელგამის მაღაზიებში. წიგნში მოთავსებულია შემდეგი მოთხრობები: „ვერცხლის ქამარი", „ორი მზე", „ლურჯი სუფრა", „მეგობრები", „მოხეტე" და „საჭეები". წიგნი შეიცავს 154 გვერდს, ღირს 1 მან. გამოცემა სახელგამის.

ნარევი

როგორ იბეჭდება ღია ბარათები ამერიკაში

1926 წ. შეერთებული შტატების საფოსტო უწყებამ გამოუშვა ორი მილიარდი ცალი ღია ბარათი. ბარათები იბეჭდებოდა საფოსტო უწყების საკუთარ სტამბაში, ვაშინგტონში. გამოშვებულ ღია ბარათების რაოდენობის მხრივ სარეკორდო დღეს წარმოადგენდა 26.000.000 ღია ბარათის გამოშვება ერთ დღეში. ბარათები იბეჭდება ათ საროტაციო მანქანაზე, თითეულ მანქანა ბეჭდავს 6.400 ბარათს წუთში. ღია ბარათების დასაგზავნად საფოსტო განყოფილებებისათვის ყოველდღე მზადდება 6.000 ყუთი.

ღვთაებრივი კომედია

იტალიის მთავრობამ შეიძინა დანტეს „ღვთაებრივი კომედიის" მეტად იშვიათი ეგზემპლიარი, რომელიც გამოცემულია 1.491 წელს. წიგნს დართული აქვს შესანიშნავი სურათები, რომლებიც საუცხოვო ასურათხატებიან ჩარჩოს. სურათებს აწერენ მხატვარი პიეტრო დე-თეგინოს. 10 წლის წინათ წიგნი ეკუთვნოდა ვიღაც ინგლისელ ქალს და მისი სიკვდილის შემდეგ, წარსულ წლის დეკემბერში, აუქციონით იყიდებოდა პარიზში. წიგნი ჩალის ფასად შეიძინა მილანის ერთმა ფირმამ, რომელმაც შემდეგ 160.000 ლირად მიყიდა იგი ფაშისტურ მთავრობას.

იურიდიული დახმარება

ეკონომიურ ტეხნიკუმის მოწაფეს ლავრენტი მაჩაიძეს

პასუხი

თუ კი თქვენ იმყოფებით თქვენი მშობლების კმაყოფაზე და ცხოვრობთ ცალკე (არა მშობლებთან), მაშინ თქვენ გადაიხდით ნორმალურად ბინის ქირას თვითეულ კვადრ. მეტრზე თვიურად 20 კ. რაოდენობით. მაგრამ, როგორც თქვენი შეკითხვიდან სჩანს, თქვენ ცხოვრობთ ქალაქის განაპირა უბანში (ავლაბარში) ნახევრად სარდაფში, რომლის იატაკის დონე მიწის ზედაპირთან შედარებით იმყოფება მიწაში სამი არშინის მიღრმით, ამიტომ თქვენ უნდა მოგეცეთ 83 პროცენტის შეღავათი ე. ი. თითოეულ კვადრატიულ მეტრზე ბინის ქირად თქვენ გადაიხდით სამ კაპეიკს, უფრო სწორად კი 3,4 კაპ. (იხ. საბინაო ტარიფის მუხ. 14, 17 და 18).

მიწა - ტყის კავშირის წევრს (წიგნ. № 8021)

პასუხი

გასასვლელი დახმარება ორკვირეულ ხელფასის რაოდენობით ეძლევა შტატის ისეთ მუშამოსამსახურეთ, რომელთაც არ მიეცათ დამქირავებლისაგან წინასწარი ორკვირეული გაფრთხილება. თქვენ კი გაფრთხილება დაწესებულების ლიკვიდაციის შესახებ მიგიღიათ წინასწარ. აქედან ცხადია, რომ თქვენ არ მოგეცემათ გასასვლელი ორკვირეული დახმარება (თქვენი სიტყვით „ლიკვიდაციო"). იხ. შრომის კანონთა კოდ. მუხ. 89.

ხოლო თქვენ მიიღებთ სრულ ხელფასს მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც თქვენ დაჭყავის სამუშაოზე საქმის გადაბარებამდე, აგრეთვე უნდა მოგეცეთ მივლინების ჯილდოც, თუ კი თქვენი გამოსვლა თბილისში გამოწვეული იყო ცენტრის მოწერილობით, რომლის ძალით საქმების გადაბარება თქვენ უნდა მოგეხდინათ თბილისში და არა სამსახურის ადგილას, სადაც თქვენ გაქვთ მუდმივი ბინადრობა.

ოფიც. განყოფილება

საქ. მ.-გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატისაგან

საქ. ყველა სახელმწიფო, სავაჭრო, სამეურნეო, კოოპერატიული და პროფესიონალურ დაწესებულება-წარმოებებს ევალებათ დაუყოვნებლივ შეიძინონ სააქციო საზოგადოება „ზაკორგსტროი"-საგან (თბილისი, სოლოლაკის ქ. № 2) შრომის სიების ფორმები და შემოიღონ ასეთი ყველა თანამშრომელთა პირადი შემადგენლობის აღსარიცხავად.

ეს განცხადება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

საქართველოს მ.-გ. ინსპექციის სახალხო კომისარი: ა. დოლიძე.

პარტკალენდარი

საქართველოს ა. ლ. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იტყობინება, რომ პარასკევს, საღამოს სრულ 5 საათზე ა. ლ. კომკავშირის რაიკომის შენობაში შესდგება რაიკომის გაფართოებული პლენუმი უჯრედთა ბიუროების მდივნების, წევრების და ხელისშემწყობ ჯგუფების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ყველა ზემოდ დასახელებული პირები აუცილებლად უნდა გამოცხადდენ დაუგვიანებლად.

შაბათს, 30 აპრილს, დღის სრულ 1 საათზე, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების შენობაში მოწვეულია უჯრედთა საორგანიზაციო კომისიის თათბირი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. მ. კერესელიძეს გამოცხადდეს 29 აპრილს 9 საათზე საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პრ. № 24, მე-3 სართული, ოთახი № 12).

პარასკევს, 29 აპრილს, საღამოს სრულ 7 საათზე, მოწვეულია სახ. უნივერსიტეტის სოც.-ეკონომიურ ფაკულტეტის კომ. უჯრედის კრება. დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთათვის სავალდებულოა.

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო აცხადებს იმ ამხანაგების საყურადღებოდ (კომუჯრედების წევრების)), რომელნიც მსახურობენ პირველ რაიონულ კომიტეტის ფარგლებში შემავალ წარმოება-დაწესებულებებში, რომ ამა წლის 29 და 30 აპრილს, დღის 12 საათიდან 2 საათამდე ისინი უნდა გამოცხადდენ გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიუროში ამხ. ს. კიკაბიძესთან რეგისტრაციაში გასატარებლად.

სახ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტთან არსებული კომუჯრედის ბიურო ამით აცხადებს, რომ ამა წლის 29 აპრილს, პარასკევს, საღამოს სრულ 6 საათზე მოწვეულია აგრონომიული ფაკულტეტის კომპარტიის და კომკავშირის უჯრედების გაფართოებული კრება.

დღის წესრიგი: ფაკულტეტის დეკანის მოხსენება. დასწრება სავალდებულოა.

ამავე დღეს, დღის ორ საათზე, მოწვეულია აგრონომიულ ფაკულტეტის კომუჯრედის ბიუროს სხდომა, სადაც უნდა გამოცხადდენ ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში მიღების შესახებ.

სრულიად საქართველოს ხელოვანთა კომიტეტი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას რომ 24 აპრილს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ილია ჭავჭავაძის ქვრივი

ოლღა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა

დაკრძალვა მოხდება პარასკევს, 29 აპრილს მთაწმინდაზე ილია ჭავჭავაძის საფლავის გვერდით: გამოსვენება ქაშვეთიდან ნაშუადღევის 4 საათ. 3—3 ნ. 1076

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 24 აპრილს, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ილია ჭავჭავაძის ქვრივი

ოლღა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა

დაკრძალვა მოხდება, პარასკევს, 29 აპრილს, მთაწმინდაზე ილია ჭავჭავაძის საფლავის გვერდით. გამოსვენება ქაშვეთიდან ნაშუადღევის 4 საათზე. ნ. 1076 3—3

წიგნების გამომცემელი და გამავრცელებელი ქართ. საზოგადოების სალიკვიდაციო კომისია აუწყებს საზოგადოებას, რომ 24 აპრილს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სასიქადულო მგოსნისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ქვრივი

ოლღა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა

დაკრძალვა მოხდება 29 აპრილს, მთაწმინდაზე ილია ჭავჭავაძის საფლავის გვერდით. გამოსვენება ქაშვეთის ეკლესიიდან დღის 4 საათზე. პანაშვიდი ყოველდღე, საღ. 6 ნახ. ს. ნ. 1083 2—2

გამომცემლობა „ქართული წიგნი" მწუხარებით აუწყებს, საზოგადოებას, რომ 24 აპრილს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ილია ჭავჭავაძის ქვრივი

ოლღა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა

დაკრძალვა მოხდება პარასკევს, 29 აპრილს, მთაწმინდაზე ილია ჭავჭავაძის საფლავის გვერდით, გამოსვენება ქაშვეთიდან ნაშუადღე-ის 4 საათზე. 2—2 ნ 1075

ოლღა თედეოზის ასულის, ილია ჭავჭავაძის ქვრივის დამკრძალავი კომიტეტი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 24 აპრილს, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ილია ჭავჭავაძის ქვრივი

ოლღა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა

დაკრძალვა მოხდება პარასკევს, 29 აპრილს, მთაწმინდაზე ილია ჭავჭავაძის საფლავის გვერდით. გამოსვენება ქაშვეთიდან ნაშუადღევის 4 საათზე. ნ. 1075 2—2

ღრმად დამწუხრებული ცოლი მაგდანე, შვილი სერიოჟა, და ელისაბედი, დისწულნი ვალერიანე და ეკატერინე ასათიანები და რძალი ეკატერინა ბოლქვაძისა აუწყებენ ნათესავებთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დამსახურებული რკინის გზის მოსამსახურე პენსიონერი

ლუკა მაიზოსროს ძე ბოლქვაძე

გამოსვენება—ქსენიევის ქუჩა, № 11, პირველი სართული, შაბათს, 30 აპრილს, ნაშუადღევის სრულ 4 საათზე. 2553

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მამა: ნიკოლოზ, ძმები: კირილე, სამსონი, გიორგი და რძალი ვარვარა, ბიძები: კონსტანტინე, პეტრე, ბიცოლები: ეფროსინე და სოფიო, ბიძაშვილები: ელისაბედ, მირიან, ქსენია, პარმენ, ელენე ნინო, ვალოდია, ნადია და შალიკო ურუშაძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 27 აპრილს უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

რომანოზ ნიკოლოზის ძე ურუშაძე

დასაფლავება მოხდება ქ. ლანჩხუთში, შაბათს, 30 აპრილს, დღის 4 საათ. 2552

გულდამწვარი და დამწუხრებული შვილები: ეპიფანე, სანდრო, ნიკიფორე, მოსე, მარო და ელისაბედ, რძლები: ბაბულია და ნინო, სიძე ალექსანდრე ფრიდონისძე ცინცაძე, შვილისშვილები: შოთიკო ცინცაძე, ბესიკა და ზუზიკო იმნაიშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობარ-ნაცნობებს, რომ მათი ძვირფასი საყვარელი და დაუვიწყარი დედის

გაბილინა საყვარელის ასულ იმნაიშვილის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე შაბათს, 30 აპრილს, 1 საათზე, ს. შუხუთში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვილი

საქართველოს სახკინმრეწვის ახალი სურათი
„თავად შირვანსკის ასულის გოროტმოქმედება"
დადგმა: ივ. პერესტიანის, ოპერატორი ა. დიღმელოვი.
მთავარ როლებში: მარია შირაი, მ. იაკობინი, ა. შირაი.
პირველი სეანსის დასაწყისი 7 საათზე. არფასტოში ადგილები დანომრილია.

განსაკუთრებული შედევრი
„ქალი პროვინციიდან"
მთავარ როლში ქსენია დესნი
პარტერში ადგილები დანომრილია. ფასები დაკლებულია.

უკანასკნელად თბილისში „ბაღდადელი ქურდი"
დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით.
ა ნ ო ნ ს ი: მალე „მ ი ს მ ე ნ დ"

აპოლლო ტელ. 7—61.
არფასტო ტელ. № 19—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარბაზი ტელ. 14—03.
0—24 ნ. 924

ამ დღეებში „მეჟრაბპომრუს"-ის სურათი „მე-41-ე".

სახელმწიფო დრამა
2—1 ნ. 1088

სეზონის დახურვა
შაბათს, 30 აპრილს, ან. გლებოვის
ზ ა გ მ უ კ
4 მოქმ. თარგმ. ს· შანშიაშვილისა
დადგმა: ალ. ახმეტელის. მხატვარი: ირ. გამრეკელის.
მუსიკა: იონა ტუსკიასი.
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი: ალ. ახმეტელი.

სამტრედიის რაიონში
გაზ. „კომუნისტზე"
ხელის მოწერა
მიიღება შემდეგ პირებთან
1) ქალ. სამტრედიაში—ლასა გოგელიასთან (რკ. გზ. კიოსკში).
2) მოძრაობის დარგში (რკ. გზ. სამკითხველოში) მ. წულაიასთან.
3) საყუდში—ს. ქავთარაძესთან.
4) საჭილაოს ხე-ტყის ქარხანაში—დ. თელიასთან.
5) დიდ ჯიხაიში—გ. ბიბილეიშვილთან.
4—1. გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

ქ. თბილისის შრომის სასამართ. აღმასრულებელი
გრ. .ა დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 4 მაისს 1927 წლ. დღის 1-ლ საათ. რუსთაველის თეატრის შენობაში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ყოფ. ქართულ დასთან არსებულ დრამის სტუდიის მოძრავ ქონებას: ორი ცალს ბეკკერის ფირმის როიალს შეფასებულს 600 მანეთად, ხელოვნების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 26 აპრილს 1927 წლ. თარიღით, № 1983 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1085

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 5 მაისს 1927 წლ. დღის 2 საათ. თბილისის სადგურში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ლევან კორსავას მოძრავ ქონებას: სადგურ თბილისის მე-3 კლასის ბუფეტის მოწყობილობას, ფრაჟეულობას და სხ., შეფასებულს 663 მანეთად და 90 კაპ., სახ. კვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 16 ივლისი 21 მარტი 1926 | 7 წლ. თარიღით, № 2979 და 897 გაცემულ აღმსრულებელ ფურცლისა. ნ. 1085

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს. რომ ის 3 მაისს 1927 წლ., დღის 2 საათ., სახლში № 52 ალექსანდროვის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. არამ მარანჯიანცის უძრავ ქონებას: ქვით ნაშენს, თუნუქით დახურულს ერთ სართულიან სახლს, რომელიც შესდგება 4 სრული ოთახებისაგან, ერთი სარდაფისაგან, ერთი ვანით, მოწყობილ სამზარეულოსაგან, მოთავსებულია ქალაქის 225 ოთხ. კუთხ. საჟ. მიწაზე, შეფასებულს 5.000 მანეთად მოქ. გრინბერგის და სხ. ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. ბათომის შრომის სასამართლოსაგან 24 ნოემბ. და 18 თებერვ. 1926 | 27 წლ. № 1930 და 7 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა, საჯარო ვაჭრობა დაიწყება შემოძლეულ ფასებიდან და მოხდება ს.ს.ს. კოდექსის 311—312 მუხლის დაცვით. ნ. 1085

ცირკი
დამსახურებულ მსახიობების ძმ. ტანტების ხელმძღვანელობით
ტელ. 16—67
1—1 ნ. 1086

დღეს, 29 აპრილს,
კავკასიის უძლიერეს ფალავანის მოჭიდავე
სანდრო კანდელაკის საღამო
ბევრი რამ ახალი საინტერესო!!! გრძელდება ჭიდაობის ჩემპიონატი
ჭიდაობს 3 წყვილი
პირველი გადამწყვეტი სანდრო კანდელაკი—ბულ
მეორე—გურსკი—ვანდეიკ, მესამე—სკარბე—ერტნერ.
დაწვრილებით აფიშებში წაიკითხეთ!!!
ადმ. ხელმძღვანელი მ. ი. ტადე.

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის
ყოველთვიურ
სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალ „თანამედროვე მედიცინა"-ზე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უნცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა.
ჟურნალის ფასი { 1 წლით . . 10 მან. ½ წლით. . 5 მან. ცალკე ნომერი 1 მან.
რედაქციის მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 58, ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ. კლინიკა.
2428 25—12

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—5

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—16

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—16

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—21

ქალ. ზესტაფონში
გაზ. „კომუნისტზე"
ხელის მოწერა მიიღება
1) ქალ. ზესტაფონში—ათ. ცხომელიძესთან (რკ. გზის კიოსკი).
2) საყუდში—რაფიელ მეგრელიშვილთან.
3) მოძრაობის დარგში—პალიკო საყვარელიძესთან (რკ. გზ. სამკით.)
4. დაბა ჩხარში—გამთენაძესთან (დამზ. სალარო'ში).
5. სოფ. თერჯოლაში—შ. ნემსიწვერიძესთან (სამკითხველოში).
6) მომხ. საზ. კოოპერატივში—ამხ. კამკამიძესთან.
4—1. გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

ს. მ. უ. ს.
საქართ. აბრეშუმის მრეწველობის ტრესტი
„საქართველოს აბრეშუმი"
აცხადებს საქართველოს მეაბრეშუმეთა და ყველა დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ, რომ ა. წ. 15 აპრილიდან დაიწყო და გრძელდება საქართ. ყველა მაზრებში
აბრეშუმის ჭიის თესლის დარიგება
თესლი არის შემოწმებული საბრეშუმო სადგურის მიერ და მისი ღირსებისათვის პასუხის მგებელია „საქართველოს აბრეშუმი". თესლი ეძლევათ მეაბრეშუმეებს ნისიათ, პარკის მოსავლამდე, თითო კოლოფი (25 გრამი ანუ 6 მისხალი) 2 მ. 50 კ. თესლის მისაღებათ მეაბრეშუმეებმა უნდა მიმართონ ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობებს და სამომხმარებლო კოოპერატივებს (ეპოებს).
„საქართველოს აბრეშუმი".
ნ. 1080 3—1.

მედმუშაკთა კოლექტივი აცხადებს, რომ ყველა სპეციალობის **ექიმთა გამოძახება სახლში** მწოლარე ავადმყოფებთან შეიძლება დილის 9 საათიდან, საღამოს 8 საათამდე შემდეგ პუნქტებიდან:

1) მე-6 საბჭ. აფთიაქი (ყ. ზელკინის) ოლღას ქუჩაზე.

2) ყოფ. ჰეინეს აფთიაქი თავისუფლების მოედანზე.

3) მე-7 საბჭ. აფთიაქი კლინიკური ინსტიტუტის (მიხეილის საავადმყოფო) პირდაპირ.

4) სადგურზე მუშკოოპის გვერდით საბარგო სადგურის პირდაპირ.

5) ავლაბარი, მე-9 საბჭ. აფთიაქი, კახეთის ქუჩაზე.

ექიმის გამოძახება—60 კ.

საშუალო პერსონალის გამოძახება—35 კაპ.

საფასურის გადახდა პუნქტებზე.

იქვე ექიმების მორიგეობა ღამეობით. 25—19

დაკარგე თბილისის ქალაქის ბანკის აქციის დროებითი მოწმობა № 41, ივანე გაბაშვილის სახელზე, ღირებულებით 250 მან. ჩ. გ. 2557

დავკარგე თბილ. ქალ. ლომბარდის ქვითარი № 57301, ნოზაძეს სახელზე, ჩ. გ. 2558

დავკარგე ავჭალის აღმას. გაცემული წლიური მოწმობა № 2350, გლეხკომ გაცემული მოწმობა № 6, არტემ ყარიმელის სახელზე, ჩ. გ. 2555

დავკარგე ქალაქ ლომბარდის ორი ბილეთი №№ 6970, 8013—სამსონ სპირიდონის-ძე კაციტაძეს სახელზე, ჩ. გ. 2551

დავკარგე მელითონეთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 806—ი. ღამბაშიძე' სახელზე, ჩ. გ 2545

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების ბალანსი

1927 წ. 1-ლი იანვრისათვის.

აქტივი

	გირ. სტერლ.	გირ. სტერლ.
სალარო	50: 8: 0	
სახელდახელო ანგარიშები ადგილობრივ ბანკებში	9:12: 8	
„ „ უცხოეთის „	332: 7: 6	392: 8: 2
ფასიანი ქაღალდები		163: 2: 2
გასარეცხი მადანი მაღარ. პირ. და ქარხნ. ესტოკ.	17036: 7: 3	
შავი ქვა მაღ. პირ. და ქარხნ. ესტოკ. .	8645:15: 9	
„ „ რკ. გზ. ბაქნ. ჭიათურის რაიონში	34942:11:10	
„ „ ფოთის ბაქნებზე . . .	3270:14: 1	63895: 8:11
უძრავ მოძრავი ქონება		1056277:10: 1
მასალები		94: 6: 1
სესხი აქც. გირ. ქვეშ.	1146: 9: 4	
ავანსები დივიდ. ანგარ.	157:18: 3	
სხვ. და სხვ. პირები (მოვალეები) .	42281:19:11	
საზ. „ჩემო".	93:15: 7	43680: 3: 1
მისავალი გზები ჭიათურის სამრეწ. რაიონში		265: 3:11
გარდამავალი თანხები		19365: 4: 8
		1184133: 7: 0
ზარალი 1926 საანგ. წლის . . .		66793:15:10
ბალანსი .		1250927: 2:10

ნ. 1084

პასივი

	გირ. სტერლ.	გირ. სტერლ.
ძირითადი თანხა	1079514:13: 7	
სათადარიგო თანხები	14075:17: 8	
ძირითადი თანხის გასანაღდებელი ფონდი .	3638:19: 6	1097229.10: 9
საზ. „ქართ. მარგანეც"-ი	127596:17: 8	
სხვ. და სხვ. პირები (მევალეები) . .	8077:19: 3	
გადაუხდელი დივიდენდი	1374:14: 9	137049:11: 8
წ. წ. ოპერაციათა ლიკვიდაცია . . .		1968:13:10
გარდამავალი თანხები		14679: 6: 7
ბალანსი		1250927: 2: 10

გამგეობა

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.